ლიტერატურული გაზეთი

№18 22 იანვარი - 4 თებერვალი 2010 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი

რეზო ჭეიშვილი

ახალი „კურუ“



შესავალი

სასაცილოდან სასატირლომდე ერთი ნაბიჯიაო... ასე ვიწყებდით, ასე ვიცოდით, ასე გვეგონა და ასეც იყო ნაბიჯი! მისით იწყება, მისით მთავრდება, საბედისწეროდ, - ზოგჯერ; არადა ნაბიჯი, ბიჯი აუცილებელია: ან ბიჯი წინ, ნაბიჯი უკან, ერთი წინ, ორი (ღმერთმა დაგვიფაროს) ისევ წინ და ნაბიჯი აქ, ჩვენთან, ჩვენში საზღვარს, რუბიკონს კი არ მიანიშნებს, არამედ - ზღვარს, ხილულსა და უხილავს შორის, არა საშუალს, არა ორტაბახს, არამედ ორ თვალსა და ორ ყურსშუა - სიცილიდან ტირილამდე - დატოვებულ მანძილს.

ხან ვიცინოდით (ღიმილის თანხლებით), ხან ვტიროდით და ვცხოვრობდით ავად თუ კარგად. დრო შეიცვალა, შებრუნდა რომელიღაც ციური სხეული წაღმად და დამთავრდა ერთი, რიგით მორიგი, ციკლი და ჩვენ, ჩვენც პირადად, სხვა საუკუნეში გადავედით ნარნარად, ერთში ვიყავით, მეორეში, თავი წინარეში გვგონია, მოვხვდით. აკრძალული აუკრძალავი გახდა... ჩვენი სულის კატეგორიები გადაადგილდნენ, ზოგი წინ წამოვიდა, ზოგიერთი, შესაბამისად, უკან დარჩა, სირცხვილის გრძნობა, იგი არ იყო საჭირო და ვერ ვხვდებოდით, - წაიშალა. რაც დაგვრჩა, სხვამ იკითხოს ჩვენს შემდეგ, ჩვენ გვეყოფა... ეს სირცხვილი, მართლადა მართლა, რაღა უბედურება იყო, გვტანჯავდა ბავშვობაში, ცხადში და ძილში, მხუთავ სიზმრებში და გავთავისუფლდით, - უსირცხვილობამ, სხვა პრობლემები ვთქვათ, არ შეგვაწუხოს აწი ერთბაშად.

ბესარიონ ლორდ-კიფანიძე ევროპული ცეკვების საყურებლად წაიყვანა ძმისძემ - ნიკუშამ ღამის კლუბში და როკვა, ბრუნვა-ტრიალში გადაავიწყდა ბიძია, რომელმაც ერთხანს ნარდის თამაშში (ძველი დროა), შეიქცია თავი, მერმედ ნახევრად შიშველი ქალბატონების ცქერით იჯერა გული და ძმიშვილმაც მოიკითხა:

- ...ბიძია, მოგეწონა ევროპული ცეკვები?

- მაგალითად რომელი? - კითხვა შეუბრუნა ბიძიამ.

- მაგალითად... ლამბადა, წითელ-ლურჯ ტრიკოთი რომ ცეკვავდნენ.

- მაგი მომეწონა, კი, რა ქვია, ყმაწვილო. მაგ ცეკვას?

- ლამბადა...

- ჩვენ მაგას ტყნ-ურობას ვეძახდით ადრე, ნამდვილი სახელი არ ვიცოდით, სწავლა-განათლება არ გვყოფნიდა...

ენა არ უგვალავდათ არც იმ დროს, როცა სწავლა-განათლება არ ჰყოფნიდათ, არც მაშინ, როცა ინტიმურ ამბებსაც თავის სახელებს არქმევდნენ, თუ ამის საშუალება მიეცემოდათ; სამაგიეროდ - სად რისი თქმა, სად რისი განცხადება შეიძლებოდა, იცოდნენ, თავაზიანობის ნორმებსა და ეტიკეტებს მტკიცედ იცავდნენ, იუმორი კი, მათი იყო...

ახლა ყველაფერს იუმორი ჰქვია, საუბედუროდ... წავიდა ის დრო, წავიდნენ ისინი, ტრაკიმასხარები გამოვიდნენ ავანჩავან-სცენაზე. რას იზამ, დრო ბატონობს ჩვენზე და არა ჩვენ - დროზე...

ერთხელ მოლამ, მოლას ხომ ვიცნობთ, სუპერმარკეტის გატეხვა დააპირა ფანასკერტელ-ონჭეიშელის ცხრა (9) ნომერში და როცა მარკეტმა ჟალუზები ჩამოუშვა, ჩაჯდა დედო კართან ღრუბლის ჩეროში და დაშუაღამებას დაელოდა მთვარის ბორიალში სიგნალიზაციის თვალის ციალში. ჩამოიარა მარტოსულმა კლიენტმა და მარკეტის წინაკართან ადამიანი გალანდა. ეე, ვაა, ისაა? ის იყო.

- მოლაა?

- ზახრუმა...

- მოლა!

„მიცნო ამ შობელძაღლმა!“

- მოლა, რას აკეთებ მანდ?!

- საქსაფონს ვუკრავ!

- ხმა რომ არ ისმის?

- ჩაიარე და დილით გაიგონებ...

კურუ სიცილით ავადმყოფობაა, ვიცით. ერთი თავი ახალი „კურუდან“.

ორიოდე ეპიზოდი სოსოს სიცოცხლიდან
ოთარ მამფორიამ სოსოს ქუთაისის ჭიშკრის გამღები შეარქვა

უფროსი იყო და უფროს-უმცროსობის ფასი იცოდა ერთმაც, რაღა ლაპარაკი უნდა, - მეორემაც. ერთ მრავალრიცხვადგილიან სადღესასწაულო სუფრაზე მთავარმა მეორე პირველ მოადგილედ დაასახელა.

...ეს იყო, ბატონო, თქვენის მხრიდან, უდიდესი შეცდომა, - გადაულაპარაკა თამადას სუფრის ერთმა დარბაისელმა წევრმა.

- რაში მდგომარეობს ჩვენი შეცდომა, თუ უკაცრავად არ ვიყო? - იკითხა მამფორიამ.

- ნახავთ თქვენ თვითონ.

ბრძენი იყო ის კაცი, რომელსაც იმის შემდეგ, იმ საღამოს თავი მაინცადამაინც აღარაფრით გამოუჩენია.

...ისე აგიხდათ ყველაფერი კაი, მესამე ჭიქაზე გადამიჭრა სინათლე... ქუთაისის საზოგადოების სახელით ერთი სადღეგრძელოს უფლება უნდა მომცეთო. მივეცი. ქუთაისის საზოგადოების სახელით მოითხოვა და მივეცი: თქვა და ტაშის გრიალში შესვა. იმერული ოდა-სახლების კრამიტიან სახურავებს რომ კოხი დაცხებს, იმნაირი ხმაური ატყდა. სამი სადღეგრძელოს შემდეგ ისევ საზოგადოების სახელით გამოვიდა და სათავადაზნაურო, ქართული გიმნაზიის დირექტორის, ოთხმოცი წლის უკან გარდაცვლილი იოსებ ოცხელის შესანდობარი დალია და ალავერდი თამადასთან (ესე იგი, ჩემთან) გადმოვიდა. იქ გახლდით (რ.ჭ.) და მესამედ რომ წამოდგა, სუფრის საზოგადოების მხარდამჭერთა იმედით, და მამფორიამ აღარ აცალა:

...თამადობა მე გასწავლე,
გზრდიდი ობოლ ძმასავით,
აბა შენ ვინ გაგიცნობდა
საკალბასე მასალით.
ახლა ვხედავ, ამ ჩემს ამაგს
მიყრი წყალში ძალადა,
სოსოია, იქ გაგკარი,
- სადაც იყო თამადა!

- ანტონიჩ, აღარ გააგრძელო! - იყვირა სოსომ. თუმც ექსპრომტი, ჩვენებურად - ლექსპრომტი იქ დამთავრდა, სადაც შეწყდა, ადრესატმა კი, რომელსაც მახსოვრობა არ ღალატობდა, ლექსი სუფრაზევე, მცირეოდენი შეხსენებით, ჩაიწერა უბის წიგნაკში და „სამახსოვროდ“ შეინახა... თამადობა კი ბევრისაგან შეისისხლხორცა, ისწავლა, ბევრსაც ასწავლა. სტუმრისთვის მასპინძელი იყო, მასპინძლისთვისაც მასპინძელი ხშირად და მამფორიას აფორიზმით (მამფორიზმით) კი არა - მეტაფორით დარჩა იმერეთის, შემდგომში ქუთაისის ჭიშკრის გამღებად. ეს მოვალეობა იტვირთა და წია ჭაპანი, სანამ დრო არ გადაბრუნდა, შვილის - ძის დაღუპვის ტრაგედია არ გადაიტანა და ჯანლონეც არ ჩამოეშალა.

- სოსო, რატომა ხარ სულ შენ თამადა?! - უთხრა ერთმა.

- გადაიხადე და შენ იყავი! - უპასუხა მან, იმ კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარემ, თორემ იგი მაინც სუფრის თავში იჯდა, როცა აღარც გადახდის თავი ჰქონდა, აღარც ჯანი ადრინდელი... დიდების ჟამსაც კი (მოშურნე არ ჰყავდა) გამკილავი არ აკლდა: უსაქმურებს საქმოსანი ეგონათ, საქმოსნებს - უსაქმური, ზოგიერთს სამსახურისათვისაც, - კვების დიადი მრეწველობისათვისაც - შეუფერებელი (იმჟამად საძეხვე საამქროს ტექნოლოგი და დამსახურებული მეძეხვე გახლდათ). ერთიც ვნახოთ, საძეხვეს მოულოდნელად სარევიზიო ბრიგადა (რეიდი) ესტუმრა კვების მრეწველობის სამინისტროდან ყოფილი მომღერლის კუკური ბენიძის, თავკაცობით. ბენიე ახალი პერსონაჟი იყო იმ სისტემაში და სოსო კუკურის არ იცნობდა და, რაც მთავარია, თავად კუკური ბენიძე არ იცნობდა სოსოს. იგი საკმაოდ მკაცრი და უცხვირპირო, ერთი შეხედვით, პიროვნება აღმოჩნდა. არც საამქრო, ძეხვებამდე არმისულს, მოუვიდა თვალში და სოსოს ფამილარული „გამოხტომები“ არ მოეწონა.

- ...სხვათაშორის, - უთხრა, - თქვენ წვერგაუპარსავი იმყოფებით კვების ობიექტში, რაც, ჰიგიენური თვალსაზრისით, ყოვლად დაუშვებელია!

- ...პატივცემულო კუკური, უნდა გითხრათ, წვერგაუპარსავი კი არა ვარ, არამედ წვერმოშვებული, მამა გარდამეცვალა...

ამ ცნობამ, რომელსაც ბევრმა ალაგობრივად წაუყრუა, უხერხულობაში ჩააგდო სარევიზიო ბრიგადის წევრები და რასაკვირველია, მათი ხელმძღვანელიც. ვიზიარებ თქვენს მწუხარებასო, თქვა ყრუდ და საამქროც ამრეზით მოათვალიერა, მწუხარება მარტო სოსოს მამის „გარდაცვალების“ გამო რომ არ გამოუხატავს, ბევრი მიხვდა...

- მაინც როდის მოხდა ეგ ამბავი? - იკითხა მაინც...

- ორმოცი გადავუხადე დღეისსწორს, პატივცემულო კუკური.

- და, - თქვა კუკურიმ და საამქროს დათვალიერება დაიწყო, იმჯერზე მხოლოდ ვიზუალურად.

ბოლობოლო კეთილად გასრულდა ის დღე (დასაწყისსაც, კაცმა რომ თქვას, არაუშავდა) და დამხვდურმა გაიღო, მომხვდურმა აიღო, როგორც იმდროინდელი წესი და რიგი ითვალისწინებდა და საღამოს სტუმარ-მასპინძლებმა გოგისვანიძეების დუქანში დაიყარეს თავი.

სოსომ ითამადა, რაღა თქმა უნდა, რაც თავში უნდა ეთქვა თავშივე თქვა, მშობლები დროულად მოიხსენია, ცოცხლებს, ცოტანი აღმოჩნდნენ, ჯანმრთელობა და დიდიხნის სიცოცხლე უსურვა, მკვდრებს შენდობა, ცხონება შეუთვალა და არ დაივიწყა მშობელი მამაც, რომელიც კაი ხნის (აცხონებს უფალი) გარდაცვლილი აღმოჩნდა.

- ...და ამიტომ, - ეღიმებოდა კუკური ბენიძეს (იქაურები დაუფარავად იცინოდნენ): - წვერი, სოსო ბატონო, ახლა მოუშვით?

- მაშინ წვერი არ მქონდა, პატარა ვიყავი და რა მექნა...

- ორმოცი რატომღა გადაუხადეთ დღეისწორს?

- აბა იმ დროს ობოლს და უპატრონოს საორმოცე თანხას ვინ მომაშავებდა... ვიშოვნე და გადავუხადე 40 წლის შემდეგ, კიდევ კარგი, მოვასწარი, თქვენ ჩამოსვლამდე, თვარა ამასაც ვერ შევძლებდი...

ამაზე რეიდის ერთი მონაწილე კინაღამ გადაფიჩინდა, რამაც სიტუაცია განმუხტა არამარტო ერთგვარად.

კუკურიმ ძმა ხარ ჩემიო, უთხრა სოსოს და ცედური - მრა, მრა, მრა... შენ ბანი! - მრავალჟამიერი წამოიწყო.

... დილით ნაბახუსევზე დაიწყეს ბახუსითვე გამოსვლა და დააშუადღევდათ ერთიერთში. ზაფხული ძალას იკრეფდა, ცხელოდა, სამზარეულოში სიგრილე იყო, ჩრდილოეთ მხარეს ბინას მზე არ ადგებოდა. ისხდნენ, სვამდნენ გრილ ღვინოს ქამრიანი ჭიქებით, სამსახიობო მისაყოლებელით, ყველის ნარჩენებით, პომიდვრით, ნარჩევალა კიტრის მჟავით.

- მოვა თინა და შემოამატებს სუფრას რაღაცას, როგორც იცის... - იმეორებდა დროდადრო მასპინძელი და ცარიელ მაცივარში იხედებოდა, - კარაქი არი, კვერცხი...

- თენგიზ, ბიჭო, არ გვინდა არაფერი, ნუ შემაწუხე!..

- არა და მაინც, მოვა თინა და გადაახალისებს სუფრას, ორი გაკვეთილი ჰქონდა სულ ჩასატარებელი, მოვა საცაა და მოგვხედავს.

- არ გინდა, სიმონ, მყოფნის რაც არი, ესეც არ მინდა, შემარგე ეს ღვინო, მირონი...

- დიასახლისი მაინც, ხომ იცი, მოვა თინა და...

და მოვიდა თინა. გააღო სადარბაზოს კარი, შეყოვნდა იქვე მცირე ხნით, გაკაკუნდა წინა ოთახში, შეიხედა სამზარეულოშიც ილინცურად, გაილანდა, გაქრა და გახმიანდა სულ მალე, რაღაც ნივთები გადაადგილა მაგიდაზე, საკლასო რვეულები, წიგნი და ჩანთა დადო ალბათ.

- თინაა, მოგვხედე, მე და სოსო ვართ...

- შეგხედეეთ...

- შენ რომ იცი, იმნაირად გადაგვიხალისე სუფრა!

- არ მცალია მე თქვენთვის, ათასი საქმე მაქვს! - გაკაკუნდა, ჩაურა სამზარეულოს ღია კარს, გაილანდა, გაქრა, გეზი აიღო, როგორც ჩანდა, იქით, საიდანაც შემოვიდა, გავიდა და როგორც სტუმარსა და მასპინძელს მოეყურათ, მოაჯახუნა ზურგსუკან მძიმე კარი, დატოვა რა უხერხული სიჩუმე. სიტუაციის განმუხტვა სტუმარს ევალება არა დავალებითა და დავალდებულებით, არამედ ინტუიციით, მოვალეობით და, როგორც დაინახავთ, - ასეც მოხდა, სოსოს, სტუმარსა და თამადას, ორკაციანი სუფრის ხელმძღვანელს, ეს არ შეეშლებოდა, ცხადია და არც შეშლია:

- ერთი ეს მითხარი, თენგიზ, შენ ქორწილში რამდენი კაცი იჯდა სუფრასთან? - იკითხა მოულოდნელად.

- რაში გაგახსენდა? - შეფიქრიანდა მასპინძელი, თუმცაღა კარგად მიხვდა „რაშიდაც გაახსენდა“ სუფრა, თუმცა სუფრის წევრთა რიცხობრივი რაოდენობით რატომ დაინტერესდა, ვერ გაიგო.

- მაინტერესებს, უბრალოდ...

- შენ არ იყავი მერე, შე კაი კაცო, თამადა, შენ უფრო გემახსოვრება!

- სამასი იურიდიული პირი ხომ იქნებოდა ქალი და კაცი?

- სულ ცოტა...

- რა ვქნათ იცი, ვინც იმ დღეს გისურვა, - შენ და თინა მზე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთსო, მოდი, - ამ ჭიქით ყველას დედა მოვტყან...

X

დასაწყისი № 9-17

ვითომ დაფნის ფოთლები და ნათლიაჩემი

ეხლა სულ ნერვოზები მომადგა და კი არ ვიცი რატო. პრიჩინას ვერა ვხედავ. დავიღალე რა. იმ პონტში კი არ დავიღალე, რო რამეები ვზიდე მეხუთე სართულზე, პროსტო ვაბშე დავიღალე, ტვინი დამეღალა.

ეხლა იმეების გახსენებაც დამეზარა, რო გითხრა. რაღაცა ძველი ამბები უცბათ მამენტ გისწორდება და მერე ვსიო, მოგბეზდა. აი, ეგრე გამოვიდა.

მიუტანე ხო ის ყვავილები იმ გოგოს პატივისცემის ამბავში და ეხლა რამდენი ვილაპარაკო. რაც იყო ის ეხლა ჟივოი რამე აღარ არი და როდემდე ვიხსენო და ვიხსენო. კაროჩე, მეორე დღეს ვერ მივედით ჩურთეს საცოლესთან. ეს სიდორაც ძლივს ვნახეთ და მე კიდე, მეთქი, ჩურთე, ძმაო, მაგრა მიყვარხარ, მარა მე წავედი, იმიტო რო თამაზას ვერ დავაღალატეფ და ვერ გადავაგდეფ. გადაგდებაა, აბა რა არი.

ეხლა რო გითხრა, ჩურთე ვაფშე დრო რო აირია, იმის მერე იქ ცხოვრობს სულა, აღარც ჩამოსულან წესიერათ, რო დიდიხანი ყოფილიყო აქ, ჩამოვიდოდა ეგეთ პონტში, ნატუკა და ბავშები რო მიდიან მახინჯაურში და მერე დავაი აბრატნა.

კაროჩე, იქ საქმე ეგრე ყოფილა, რო რის ჩეჩნები, რა ჩეჩნები. გოგოს ჩვენი ჩურთე აუჩქარებია. გოგოები ხო სულ ერთიდაიგივე პონტს აკეთებს ყველა, რო გადაწყვიტავს უნდა გავთხოვდეო, ვისაც უნდა მითხოვდეს, იმის აჩქარებას იწყებს.

ხოდა ეხლა იმანაც იფიქრა, ეგ ჩემი ჩურთე წავიდა იმ თავის თბილისშიო და იქიდან ეგ რაღას ჩამოვაო. მერე თითონ უთქვია, შემეშინდაო, რო არასდროს არ ჩამოხვალო და ვერ გაგიბედე თქმაო, რო პროსტო ჩამოდიო. თუ არ ჩამოხვიდოდი, მერე მე ჩამოვიდოდიო. შეყვარება, რა. კოზმანაშვილი იყო, ქვემოთკენ, ოქტომბრის ქუჩაზე იდგა ხოლმე, მერე მაგ დგომა-დგომაში გამოირბინა მანქანამ და გამოსროლეს ტყვია და მოკლეს, რატო, ვერავინ ვერ გაიგო, ვაბშე, დღევანდლამდი. და იმან თქვა, ჩურთეს კლასელი იყო ეგა და სიყვარულიო მართლა ბრმა არიო, ჩურთე რა შესაყვარებელი იყოო. მეთქი, როგორიც არი. ის აღარ მომიყოლია, ყინვის ამბები.

რა ჩეჩნები, რომელი ჩეჩნები, ვისა ცალია, იქ გოგო იმდენია, რაღა შენი ჩურთეს საცოლეს ეტაკებიან. მისულან და სუფრა ეგრევე გაუშლიათ, ხოდა ვსიო.

ეგ ამბავი, სამი თვის მერე გავიგე, ჩურთე რო ჩამოვიდა და ის თავისი ცოლი რო ჩამოიყვანა. მთელი იმის მამისთვის

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება



მისაცემი ჭაჭები მე იმ გოგოს და ბიჭს დაუტოვე და მაგრა სწორათაც ვქენი. რო შემეძლოს ეგეთი რამეები, იმათ კი არ დავკარგავდი, მარა არ შემილია და თან კიდე, აბა ჰა, არ დაკარგო და რანაირათ უნდა გააგძელო? ადრე იყო, სულ ჩამოყვანა ეგეთების და მასპინძლობა და თითონაც წასვლა. მერე კიდე აღარ არი. მაგეების დარდიც არ არი, ისეთი ცხოვრებაა. იმ პონტში მაგარი იყო და მეორე პონტში აღარ უნდა გამოცადო, ისეთი ველარ იქნება. ეგ მაგრა ზუსტათ ვიცი. ისე კიდე ხოშიანები იყვენ და დღესაც ისე მახსოვს.

მე კიდე, იმ დღესაც რო ვერ მივედით, დავჯექი მატარებელზე და წავედი ლვოვში. იმდენი ხანი ვიყავი იმ ლვოვის აეროპორტში, რო ბოლოს კინაღამ მუშაობა დამაწყებიეს. მოდიო, ქემერო, შენა კაი ბიჭი ჩანხარო. კაროჩე, ადრე ჩავედი. აღარ მქონდა იქ გაძლების თავი და თან ხო იცი, როგორც არი ხოლმე, რო იგრძნოფ, რა ჩეჩნები და სისხლები და ამბავი, ეგ არაფერი არ იქნება. იმიტო დავტოვე ჩურთე, თორე რას დავტოვებდი. თან თამაზაზე კიდე შეპირებული ვიყავი. კაროჩე ათი საათი ვიყავი იმათ აეროპორტში, მარტო სიგარეტის ყიდვამ დამღალა. იქ ვიღაცა ციგნები დაიჩითენ და ვითომ მარაზვოდებდენ თავის ჭკუაში, მერე გამანებეს თავი, რო შეხედეს რო არიფი არა ვარ. დავჯექი, ჩამოვფრინდი და თბილისში არი კაი ამინდი. იმ ყინვების მერე. ის თბილები რო ვათრიე, აღარც ჩამიცვია იმის მერე და იქეთაც აღარ ვყოფილვარ იმის მერე.

სითბოები მერჩივნა. ქალებს კიდე მე ისე არ დავდევდი, რო თვითმფრინავის ბილეთი ვიყიდო.

მერე უბანში კითხვა დამიწყეს, ჩურთე რა უყავიო და მეთქი, მე რა უყავი, დარჩა თავის ძმაკაცთან.

ქორწილში კიდე სპლაშნოი გავწვალდი, ვერც დავლიე, ფოტოგრაფებს ცალკე დავდევდი და კაროჩე, ვფიქრობდი, ხო არ დაბრიდეს ეს ჩვენი ჩურთე ჩეჩნებმათქო, მარა რამე რო ყოფილიყო, ოჯახში ხო დარეკავდენ, პასპორტი ედო და ყველაფერი.

ეგეთი სურათიც წარმოვიდგინე, რო მკვდარი აგდია ჩურთე იმ თავის ჩაფუთნულებში. ზუსტათ ისე წარმოვიდგინე, ყინვაში რო ტელეფონის ბუტკასთან ვიჯექით და ვსვამდით და მერე კი მეცინებოდა, მარა ეგეთი თავი მაქ, რო ფიქრისგან გამისივდება ხოლმე.

ყველაზე აპასნი ეგ არი. მაშინაც პირველათ შევატყვე ჩემ თავს, რო ცუდების ფიქრისკენ მიმდის უფრო, ვინემ კარგებისკენ. იმიტო რო ადამიანებს ვერ ვენდობი ეგრევე, უფრო მგონია, რო ცუდი აქვთ გულში, ვინემ კაი და რო არ ვენდობი ეგრევე, ეგრე ფიქრი გამომდის. სულ ეგრე ვიცოდი ადრეც, ჩუმათ უყურებდი ბაზარი რო მიდის, რო მეთქი,აბა, ქემერ, კარგათ დაამუღამე მართლა რა ხდება და ვის რა უნდა.

ეგ კიდე ხო ვიცი და ვიცი, რო ადამიანები უფრო მეტი იმას ლაპარაკობენ, რასაც სინამდვილეში არ ფიქრობენ. ისეთი ბაზარი აქთ, რო გადააკეთონ რაღაცეები, რაც გულში აქთ, რო თავი გაჩვენონ, რო უკეთესია. მე რას მატყუეფ, შე ჩემისა, შენ ხო იცი გულში რა გაქ, შენ თავს ხო ვერ მოატყუეფ. გარედან რო უკეთესი ხარ, მაგით რა? ისა ხარ? რა ქვია, ის ქალი როა. არ ვიცი მაგ მსახიობების სახელები, სულ მავიწყდება. მაგარი ქალი როა, კაროჩე. რომელიღაცაც არი. იქით იყოს. ხო, რა, ეგ არი, მაგას ვეძახი, ბაზარში ნაშობას. ნაშა ხარ ვითომ კაროჩე და სინამდვილეში კიდე ხარ კუდიანი ბებერი. გულში კუდიანი ბებერი და გარეთ — ნაშა.

სათამაშოში უმეტესი ეგეთი ხალხია. კაი იგროკია, ცუდი იგროკია, პატარაა, დიდია, მანეთიანია, მოთამაშეა თუ ვინ არი, ათიდან ერთი რო არ აწვებოდეს ეგეთ რამეს. სათამაშო ისედაც მოტყუებაა, ეგ მოტყუება მაგრათ ეხმარება, რო ყველაფერში მოტყუება წავიდეს.

მაზი რა არი?

რაღაცა მოიფიქრე საშენოთ კაი. იმენა საშენოთ კაი რო გახდეს, სასხვისოთ ცუდი უნდა იყოს. სასხვისოთ ცუდი კიდე როგორ გახდება, სხვამ თუ იცის, რო ცუდია. ხო არ დაგირტყამს ხელს? ამიტო, ეგეთი უპაკოვკა აქ მაზს, რო ცუდი ვაფშე არ არი, არც კაი არ არი, პროსტო აი ეგეთია და თუ გაწყობს, ძმაო, აჰა და ჩაარტყი ხელი. სინამდვილეში კიდე, რამდენი ხანი მოფიქრებული გაქ და იმას კიდე ვაფშე არა აქ ნაფიქრი. პროსტო იგროკი ეგ არი, რო უცბათ გამოთვალოს, რას თავაზოფ და ან არ მიიღებს, ან თუ იღებს, ატვეტნი გადმოკეთება შეილება დაგიწყოს და ისე შემოგთავაზოს, მაგისთვის კიდე შენც ხო მზათ უნდა იყო და იასნია, რო მზათ ხარ, აბა იქ რა გინდა, მაშინ იქნები არიფებივით რო მოდიან და რო უნდათ, რო ყველაზე მურტალ მაზავიკს გაუმაზონ, იმიტო, რო ეგრე გონიათ, ძველი ბიჭი ვარ, კაი ბიჭობას ვაწვები და იასნია, რო მაზებშიც მაგრა ვარ და მოვა და ვინმე არიფს კი არ იჭერს, მაგართან მოდის, იგროკთან და იმას უმაზავს. იგროკი კიდე რისი იგროკია, რო წააგოს? იმიტო ვთქვი, არიაფიათქო. მაგ ამბავში არიფი, რო გინდა კაი ბიჭია, თუ ვინ არი, მაზებში მაგარი გონია თავი.

ამ დროს კიდე მაგარი ვერ არი, პროსტო მაგარი წარმოდგენა აქ თავის თავზე და ეგ უშლის ხელს, მერე კიდე მაგათ უყვართ დიდ ფულებზე თამაში, დიდზე რა, მამენტ ძესიტტისცებს გამოვლენ და მერე დარბიან, იმიტო რო კაი ბიჭობა ჩატანას მოითხოვს, თორე იქ იმდენი ფუფლოა, იმდენი ვიღაცა იკარქება, რო რას დაითვლი.

მაგიტო, მაგათთან თამაში კაიც არი და ცუდიც. კაი იმიტო, რო ჩამომტანია და ცუდი კიდე იმიტო, რო აწვება რაღაცას, რაც თამაშში ვაფშე არ არი საჭირო და რო არ იცის, რო არ არი საჭირო, ვითომ უნდა გპრესოს. ჩალიჩობს, რო გპრესოს, თან ეგრევე ღიათ ეზიზღები. ეგ მაგარი არი, მოგებული რო გაქ და სანამ ჩამოიტანს, მანამდე რო ჩალიჩობს შენ ნახვას, რო კიდე გაგიმაზოს, გონია, რო ახალ მაზს მოგიგებს და გაწვება, რო გამიმაზეო. ძაან ძერსკათ იცის მოწოლა. შენ კიდე იცი, რო შემდეგსაც მოუგეფ და ყველა ეგეთ მაზს მოუგეფ, იმიტო, რო მაგისგან მაზავიკი არ გამოვა. მაგას ეხლა პირდაპირ ხო არ ეტყვი კაცს, რო გაგებაში არა ხარ და თავი გამანებე. შენი ხელობაც ეგ არი, რო ის გაგებაში არ არი, მარა, კაიბიჭურს რო აწვება და ზამასკაში როა, სულ ვაფშე გიუდება. მე მაგათთან ადრე მითამაშია ხოლმე და მომიგია. ყოველთვის მომიგია, პროსტო, ეხლა მე პროსტო იგროკი არ გამოვდექი მაგათთვის.

კაროჩე, ეგეთებს პარავოზს გაუკეთებს კაცი, იმიტო რო ბრაზობენ და გონიათ რო მაგრები არიან.

მერე ცოტა გაქრენ იმიტო, რო სასტავებმა რო ტელეფონის მაზები დაიწყეს, მაგათ ეგ გაუსწორდათ და მაგაზე გადავიდენ. ტელეფონის მაზავიკები კიდე ცალკე პაროდა იყო, მაგათში მართლა მაგრებიც იყვენ ბევრი, ოღონდ ტელეფონის მაზავიკობა ცოტა სხვა რამეა და უკან ხალხი უნდა გედგას, ან კაცი მაინც უნდა გედგას. როგორ არი, იცი? ოღონდ უფრო პატარა პონტში. კინო როა, დენირო არ არი ის კაცი? დენირო როა და რო დასვამენ კაზინოს უფროსათ. ის მაგარი მაზავიკია და პრისტუპნიკი ვაფშე არ არი, მარა კანტორა ხო პრისტუპნიკების არი. კაროჩე, ხშირათ ეგრე იყო ხოლმე, რო შენ რო მაგარი მაზავიკი ხარ, კაროჩე მოზგი რო ხარ და კაი მენიუს შედგენა შეგილია, კაროჩე რიადავიო ბუკმეიკერი არ ხარ, გეტყვიან, კაროჩეო, აგე კანტორა, აგე ტელეფონი და აგე ხალხიო და დავაიო. თუ რამეა, აქა ვართო. იასნია, შენ შენი წილი გაქ იმათგან, მარა იმათი სახელით თამაშოფ და ვისაც ტელეფონით უმაზავ, იმასაც ბევრს ატვიჩაიში უდგას ვიღაცა, ვისაც აზზე ხარ. კაროჩე, იგივე სათამაშოა, ოღონდ ტელეფონით და პატარა ფულები იქ არ არი. ეგეთი სათამაშო კაია, თუ ჭკვიანი ხარ, მარა მაგარი გასაძლები რამეა მსოფლიო ჩემპიონატებზე და ევროპის ჩემპიონატებზე, იმიტო, რო იქ ლოგიკურებია ბევრი და რო იღეფ მაზებს, იცი რო გახეული ხარ, უნდა გადაიხადო და მაგარ წაგებაში ხარ. არ იღეფ და რო მორჩება, მერე ვინღა დაგიწყებს რეკვას, ხო იცის ხალხმა, რო იმიტო არ იღებდი ტელეფონს, რო ლოგიკურები იყო. კაროჩე, მთელი ამბავია ეგ და ეგეთი ტელეფონი შეუყვარდათ კაი ბიჭებს და ერთი ხანობა ცოტა ფულიან ტიპებს, ალაგალაგ პაგონები რო აქვთ.

კაროჩე, მაშინ დაბრეცილი მეუნებოდა, დავაიო, ხალხი არიო და აქ ხელების ტკაცუნს და ჩარტყმას, მივიღოთ ტელფონებითო და მეთქი თუ ძმა ხარ, ეხლა მობილურში მალაპარაკე და ვიღაცეებზე პადაჩოტნი გამხადე. არ შემილია. ჩემი ვიცი და ვსიო. კაროჩეო, გავხდეთ ბუკმეიკერებიო. არ მინდა ძმაო, მე უთხარი, მოშორდი მაგ აზრებით.

მერე თითონაც აღარ უნდოდა. სწორე იყო, პროსტო უცბათ მოუნდა, იფიქრა სულ სათამაშოში დგომასო, დავჯდები და მივიღეფ მაზებსო.

ვაფშე ერთი პერიოდი იყო, რო დაბრეცილი მიაწვა, რო დავაი ბიზნესები გავაკეთოთო. არა, ჯერ მიაწვა, დავაი ალმაატაში წავედითო. იქ ვიღაცა ახლობლები იყო და კაროჩე ოპიტნი ხალხი გვინდა, რო ტოტალიზატორები აგვიწყოსო. ერთი დიდი ტოტალიზატორიო. სასტავი იყო, იქ ფულები ბევრია. დავაიო, ჩამოდითო და

აგვიწყვეთო. გაგებაში არ იყო, კუშები,რამეები. პროსტო იცოდა, რო თუ სწორეთ ამუშავეფ, ფულს დაწერს. მაგის მეტი რა ვიცით, აგიწყოფთო, ჩვენც ვამბობდით. მარა ეს ტიპი ექვსი თვე ვერ ჩამოვიდა იქიდან, რო წესიერათ დაგვლაპარაკებოდა და ჩვენ კიდე არ შემოგვითვალა ჩამოდითო. მარტო დაურეკავდა დაბრეცილს, და დავაი, ხო ვაკეთებთო. იმდენჯერ დაურეკა, რო მეც მეთქი, დავაი ჰა, წავიდეთ, რაღა საწვალებელია, მარა არ ამბობდა წამოდითო, მოვაგვარეფ რაღაცეებსო და წამოდითო. სულ რუკები მოვაძებნინე ნატუკას, ერთი მანახე სად არი ეგ ალმაატათქო. ბავშვების რუკებში ვნახე. ესესერი რო იყო კი, პროსტო მე იქით არ მივლია და ბაქოდან იყო გაფრენა. დაბრეცილი ისე ბაზრობდა, რო წამსვლელები ვიყავით, პროსტო, რო გაიწელა და გაიწელა, მეთქი, ბიჭო, ერთი მეც დამალაპარაკე მაგ ტიპსთქო, რას გვატანცავებს, თუ ვაკეთებთ, ვაკეთებთ, თორე ეგრე სად არი, ერთი თვე გავიდა, მეორე თვე გავიდა. არაო, თითონ უნდა ჩამოსვლა და დალაპარაკებაო.

აბა, სად არი? არც ის ჩამოვიდა და მეთქი, ოჩინ ხარაშო. პროსტო ეხლა მაგ ტიპს ხო ვერ გავლანძღავდი, რო ეგრე არასერიოზულია საქმის გაკეთება. დაბრეცილი ამბობდა, ახლობელია და ნარმალნი ბიჭიაო. ხოდა, მაშინაც ეგრე იყო ავარდნილი დაბრეცილი და მერე კიდე აიტეხა, ბიზნესები გავაკეთოთო, ხოდი მაქ რუსეთშიო და უნდა გავაკეთოთ ეგ ბიზნესები, ცოტა ფულით ბევრი ფული კეთდებაო.

მეთქი, აბა, თქვი, რა ბიზნესები. რატო აიტეხა ვდრუგ ბიზნესები და ფულების შოვნა, არ ვიცი.

კაროჩეო, ეხლა რას მეუბნება: რუსეთშიო, ციმბირისკენ სადღაცას ეგეთი ბალახიაო, კაროჩე დაფნას გავსო. მეთქი, აი მანდ გაჩერდი. პატარა რო ვიყავი და რუსეთში ტურნირებზე დავდიოდი, რო გამოვიდოდით, გვეძახოდენ ლავროვი ლისტო, იმიტო, რო ქართველები ბაზარში დაფნას ყიდიდენო და იმის მერე დაფნა მაგრათ არ მევასებათქო. ეხლა ამ მოთამაშე კაცს დაფნების გაყიდვას ნუ შემომთავაზეფთქო. კი არ დამაწყებინეფ, პროსტო ნუ შემომთავაზეფთქო.

არაო, ბიჭო, მაიცაო. მაგარი ბიზნესი მაქო, მაჩუქესო. ადგილიც ვიციო, სადაც არი ეგ ქალაქიო და იმის გარშემო რო იზდება ეგ დაფნისნაირი ბალახიო.

კაი მეთქი, ხარაშო. თქვი.

კაროჩეო, ეგ ბალახიო, თუ რაც არი, ბუჩქებიო და რამე, ზუსტათ ეგეთია როგორც დაფნაო. ვიდზე რა, ტყუპიაო, კაროჩე. მერე, მეთქი. მერე.

კაროჩე ჩადიხარ იქაო, იქირავეფ ბავშვებსო, თუ ვინც იქნებაო და დავაი, მიცემ ტომრებსო და მოგიკრიფავენ, რამდენსაც მოგიკრიფავენო, რაც მეტი, მით უკეთესიო.

მერე, მეთქი.

იმ ქალაქში არი ერთი ინსტიტუტიო, ქიმია და რაღაცეებიო და იქ მექნება ხოდიო. ერთი როჟააო, იმას მაყუთს უმაზავო და ის კიდე, კაროჩე ჩითავს დაფნის ეკსტრაკტსო. ამ ახალმოკრეფილ დაფნისნაირ რამეებს ჩაალბობს შიგაო, მერე კიდე ამოიღებსო და გააშრობსო და კარგათაც გაგიხმობსო და ვიდზე დადგება როგორც დაფნაო. მერე ამ დაფნას აიღეფ და დავაი ბაზრებში მიცემ ხალხსო. ეგ ხალხიც მეყოლებაო და ეგრე გავყიდით მაგასო და მაგრა მოვიგებთ ფულსო. ხო იცი, დაფნა როგორი ძვირი რამეა საჭმლისთვისო.

ერთი უსმინე, პროსტო.

მე უთხარი, დაბრეცილი, ეგ ვინმემ მოგიყვა, თუ შენით მოფიქრე, თუ დაგესიზმრა, თუ როგორ იყოთქო.

მომიყვა კი არაო, ერთი არიო, შენ არ იციო და ამერიკაში გააწვა ეხლაო, და იმან მაჩუქა — მეო მაგით ვიშოვე თავიდან ფული რუსეთშიო, ჩემს მეტი არავინ იციესო.

ესე იგი, კაროჩე, დაბრეცილისთვის უჩუქებია კაი ტიპობაში.

ყველაფერი მაჩუქაო, სვიაზებიო, ტელეფონის ნომრებიო და ვაფშე ყველაფერიც მასწავლაო.

იმას რა საჩუქრები ცოდნია, ნახე.

მეთქი, ბიჭო, რაღა შენ გაჩუქა, ტო.

პატივი მაქ ნაცემი მაგისთვისო.

და ვინ არითქო და ატკაზზე გავიდა ჩემი ბავშვობის ამხანაგიაო, სკოლაში აჩმორებდენ და მე ვიცავდიო და მერე სულ წასული იყოო, რუსეთში იყო დიდი ხანიო, ეხლა ჩამოსული იყოო, ამერიკაში მივდივარო და ზაადნო, ეს ბიზნესი მიგრევაო.

რას არ გაიგონეფ კაცი. რა ამბები არ გაიჩითება.

ეს დაბრეცილი კიდე მე მთავაზობს, დავაი პოლნი წილშიხარო, ერთათ წავიდეთ იმ ციმბირშიო და ვიჩალიჩოთ ვითომ დაფნებზეო.

მაგას სკოლაში ერქვა ბოტანიკა, ხო? ეგეთი ყვითელი წიგნი იყო, ზედ ფოთოლი ეხატა.

მე უთხარი, ამ ხნის კაცი ხარ, ამდენი წელიწადია თამაშოფ და ეხლა დაფნის გამყიდველი უნდა გახდე? მაგრა მონდომებული იყო, სულ დაფნებზე ლაპარაკობდა, იმიტო დავარქვი მერე ლავროვი ლისტ და ერთი ხანი ვეძახოდი ეგრე, ვერავინ ვერ ხვდებოდა რატო. სათამაშოში ეგონათ, სუხოი ლისტს ვეძახოდი, ვერ ხვდებოდენ, ლავროვი ლისტი რა პონტშია. კაროჩე, მეთქი, სადაც გინდა იქ წადი, მე მაგ დაფნების თუ ვითომდაფნების გამხმობი ვერა ვარ.

არ უნდოდა უჩემოთ. რავი რატო არ უნდოდა. მერე დაწყნარდა და კაი ხანი რო გავიდა, ერთხელაც რესტორანში წაველით და იქ ვლაპარაკობთ და მეთქი, ბიჭო, ის ლავროვი ლისტის ბიზნესი რასა შვება მეთქი. და აბა შენ არ გინდოდაო და გავყიდეო.

რა მეთქი? გავყიდეო, რა. ხუთი ათას დოლარში გავყიდე, ხალხი წასულია. მუშაობსო.

მეთქი, ხუმრობს. კაი, ხარაშო მეთქი, იაფათ მიგიცია. კიო, ახლობლები იყვნენო და კანეშნაო. ისაც გაგიჟდა, ვინც ეგ ბიზნესი მაჩუქა, ამერიკიდან გაგიჟდაო, რა იაფათ მიგიციაო.

მეთქი, ხუმრობს.

კიდე ერთი ხანი გავიდა და ერთხელაც დაბრეცილმა სახლში დამირეკა, რესტორანში მოდიო, დიღმის ტრასაზე ვართო და მეთქი, ხარაშო, მივედი.

იქ ორი როჟა იყო და ეგენი არიან, ვინც ჩალიჩობენ დაფნაზეო, შუა სმაში მითხრა. რო გამოვკითხე იმ როჟებს, ყველაფერი ეგრე იყო როგორც დაბრეცილი ამბობდა, ეგრე უნდა ვქნათო და იასნია, მართალი გამოდგა, იმხელა როჟები ტყუილს ხო არ დაიწყებდენ. კაროჩეო, ეხლა ჩამოვედითო, თბილისშიო, ცოტა ხანიო, სახლები უნდა ვიყიდოთ სამოთახიანებიო.

აზზე მოდი, იმ ვითომ ლავროვი ლისტებით.

მეთქი, თქვენ საღოლ ძმაო. მამენტ ექსპორტზე არ იჩალიჩებთ მეთქი.

ეეეო, ეგო ისეთი პონტიაო, რო წარმოებას ვერ ააწყოფო. პროდუქტი ეგეთ პონტში სხვა დონეზე მოწმდებაო. აქ კიდეო, პროსტო ბაზრის სანიტარი გვყავს გამაზულიო და შეგაქო, რა. ორმოცდაათ ბაზარში შეგვაქო. იკაიფე. ან იმდენი ბუჩქი სად იყო. მეთქი, რო გათავდეს. რა გათავდესო, დაჟე ვთესავთო.

კაროჩე, აი, ხალხი. ჰაზირ, ნადვილი დაფნა დათესე მეთქი, უკვე ხო გაქ ფული, რაღა ტყუილს თესავ.

კაროჩე, ეს იაფიაო.

და დაბრეცილიც ეხლა პატივისცემის ამბავში დაპატიჟეს, რო კაი საქმეზე დაგვაყენეო.

მშურს რა ეგეთი ხალხის. კი არ მშურს, პირიქით. პროსტო ეგრე იტყვიან, რო მშურსო. იქედან წამოვედი და დაბრეცილს ვეუნები, ეგენი ვინ არიან მეთქი შენი, და ლაპარაკში გამოვარკვიე, რო დიდი არაფერი ახლობლები არ არიან, ნათესავის ვიღაცეები არიან. მოვდივართ ფეხით დიღმის ტრასაზე, სანამ ტაქსს დაუქნევთ და მეთქი, ბიჭო, შენ რა გინდოდა, რო მე და შენ ეგეთი როჟები ვყოფილიყავით?

დაბრეცილი კიდე ხო იცი რა როჟაა და გაჩერდა და, ქემერო, ეგ რო მდომებოდა ბოლო ბოლოო, ხო არ მივცემდიო. კაკრაზ რო აღარ მომინდაო, იმიტო მივეციო და მართლა იაფათ მივეციო, იმიტო, რო პროსტო მოეშორებია ეგ ბიზნესი ჩვენგან, იმიტო, რო ხანდახან მოანდომებდა ხოლმე, რო მართლა დიდი ფულები გავაკეთოთო.

მეთქი, აი, ეგ დაიკიდე. ჩვენ ჩვენი ფული ყოველთვის გვექნება.

მართალიაო.

ნუ მიტრაკეფო, მე არ მიფიქრია რო მე და შენ ეგეთი როჟები ვართ, მე პროსტო მომეწონა ეგ ამბავიო.

ხო, რა, მე უთხარი, აფერისტობის ამბავია. კაი მოფიქრებულია, კაი მაზია კაროჩე, მარა მაზი არ არი და უტეხავსთქო.

ვიცინოდით მერე.

ეგ ვაფშე მაგარი სტრანნი დღე არი. ეგ დღე.

სახში მოვედი და ნატუკას არ ძინავს, იცდის. დივანზე ზის და მამაშენმა დარეკაო.

ეგ კიდე მაგრა გამიკვირდა, მამაჩემი სუ არ რეკავს, საწყალი დედაჩემის მიჩვეული ვარ, მარა მამაჩემი რატო დარეკავს. უთქვია, რა დროსაც არ მოვიდეს, სახში გამოვიდესო.

ეხლა რაღას წახვალ, აგე პირველი საათი გახდაო. დაურეკეო. და მეთქი, დაურეკე არა ისა. ვაფშე არ გამოდის ეგრეთ პონტში დარეკვა და აზრიც არა აქ, იმიტო, რო რაც ნატუკას უთხრა, იმას მეტყვის, გამოდი ერთი სახშიო.

მეთქი, როდის დარეკა და დიდი ხანი კი არ არიო, თორმეტის ნახევარზეო. ესე იგი, კაროჩე, გვიანობის პონტში არ არი, რო არ წავიდე და მეთქი, წავედი.

ეს ჟურნალი დადებული მქონდა უკვე თავის ადგილზე და გამოვედი ისევეს, ავიღე და ჩამოვედი დაბლა. დაუქნიე ტაქსს და მეთქი ნახალოვკა, დავაი, და წამოვედი. სახში მოვედი და ეზოს ჭიშკარი ღია იყო და შემოვედი პირდაპირ და განათებულებია და კაროჩე სუფრის პონტია და ამოვედი და ჯერ ქვემოთ შევედი კუხნაში. დედაჩემი იქ იყო და ისე შეეშინდა, რა არიო, შვილოო. საწყალი დედაჩემი. რა მოგივიდაო, კიდე ავარია ხო არ მოგივიდაო. დედაჩემმა ხო იცოდა ჩემი ძველი ავარიის ამბავი და მეთქი, არა, დედი, დაურეკია მეთქი და არ იცოდა, რო დაურეკია. ვინ არიან მეთქი და ნათლიაშენი არი გვრიტისაო. ვაااა მეთქი, ეხლა ხო მივხვდი რატო დარეკა, რო იმას მოუნდა ჩემი ნახვა, არ უნახივარ რავი, ბავშობის მერე. და მეთქი, როდის ჩამოვიდა დედი და რავიო, ჩამოსული ყოფილაო და დღეს მითხრა მოვაო, ოღონდაც მოუცლელია და გვიან მოვიდაო. ერთი-ორი საათის დამჯდარი არიანო, ეგა და ორიც კიდე სხვაო. მეთქი სვამენ? რო სვოდკები ავკრიფო. სვამენ ბებრულათო, დედაჩემმა მაგარი ჩაცინება იცოდა, ისე ვეღარ სვამენ, რო სვამდენო და კაკრაზ ჟარკოის უწვავდა. მალე იქნებოდა და დავჯექი მეც კუხნაში, დედაჩემთან ჯდომა არ მერჩია იქ ასვლას? და, აბა, რა კაცი დამდგარაო მაგეების სმენას? მარა მაინც მაინტერესებდა, კანეშნა ამხელა და ამ ხნის ქურდი და ნათლიაშენი და, აბა, ნანახი ხო უნდა გყავდეს. ეგ მთელი ცხოვრება, ვაფშე რაც ესესერი და რამე, სუ წასული იყო, ნავასიბირსკშია კაროჩე, მე ეგრე ვიცოდი, სროკებიც იქავე ჰქონდა და იქავე იყო. აქ მაგათ სახლს მამაჩემი უვლიდა, იმიტო, რო აქ ცოლი ჰყავდა და მაგის გოგო კიდე უკვე გათხოვილი და რამე. ეს ჩამოვიდოდა, წავიდოდა. რედკათ და რედკათ, პროსტო აღარც მახსოვდა წესიერათ სახეზე. კი მახსოვდა, მარა რა ვიცი, როგორია.

დედაჩემმა, ადი ბარემო და მეთქი, მერე ვეღარ წამოვდგები სუფრიდან, ქურდებია ალბათ სხვებიც და ეხლა ხო არ დავიწყეფ სირბილს. არადა ისედაც რესტორნიდან ვარ მოსული. არა, ადი, ადიო, მერე ჩამოიპარეო.

კაროჩე, გამოვედი და ავედი. დიდ ზალაში იჯდენ და მეთქი, შეილება?

მამაჩემმა დავაი, დავაიო. აბა, თუ იცნობ აქ ვინმესო, კაი მხიარულათ იყო. მე ეგრე ვატყობდი სულ, რო მხიარულათ სულ ძმაკაცებში იყო, ეგეთი გაგება ქონდა, რო სახში არ შეილებოდა, თუ რა, არ ვიცი.

კაროჩე და ეს გვრიტისა ნათლიაჩემი ეგრევე ვიცანი, კაი მსუქანი იყო, შავი საროჩკა ეცვა, კაი ძვირიანი და ყელზე ქონდა ოქროები და ჯვრები და მთელი ამბები, ხო იცი. შეხედე, შავი საროჩკა ჩახსნილი რო აქ და ჭაღარა ბანჯგვლებში რო ოქროები აქ. ამ ჩვენებთან შედარებით კაი ვიდზე იყო.

გადამკოცნა, იმ ორმაც გადამკოცნა და მამაჩემი მეუნება, დაჯდები ჩვენთანო?

მეთქი, დავჯდები.

დავჯექი და ეგრევე, გვრიტისა ეუნება, მაიტა მამე ერთი სადღეგძელოო, იასნია რო მე უნდა მადღეგძელოს და მამაჩემმა, რათაო, იცინიან, უკვე ბაზარი აქთ შეგდებული და შუტკები. ხო იცი ეგეთი შუტკები. მე არ მევასება ეგეთი შუტკები, რო ვერ იგეფ — სერიოზულშია თუ შუტკაა. უცბათ მამენტ მოატრიალეფ და აღარ არი შუტკა, ბაზარი ისეა აწყობილი.

ეხლა ვფიქროფ, დაღლილი ვარ, ამათთან რა დაჯდება. მაიტა, ბიჭოო, ქართველები არა ვართო, შემოსწრებულის სადღეგძელო ხო უნდა დავლიოთო, და პროსტო მე მინდა დავლიოო, ჩემგან ითქვასო, ჩემი ნათლულიაო.

მამაჩემი ეუნება, ეგ შემოსწრებული არ არი, მასპინძელიაო.

გვრიტისა კიდე ეუნება, მასპინძელიც შეილება იყოს შემოსწრებულიო.

და გააგძელეს ეგრე ერთი კაი ხანი შპაგაობა და თან იცინიან.

კაი ხალისია, ხო აზზე ხარ.

აღარც მოვყვები, იმან რა უთხრა და ამან რა უპასუხა. რა მოსაყოლი ეგ არი, გასართობია. იტოგში, მადღეგძელეს და მეც სპასიბა მეთქი და მერე დაიწყო ის ლაპარაკი, რო უსმინე, უსმინე და ბოლოს კიდე მეც მეთქი, ორ სიტყვას ვიტყვი.

კანეშნა, ვეტყოდი. მიქარული მე არა მაქ და არაფერი. თან მაინც ამხელა გზაზე მომიყვანა და ტყუილა ხო არ მოვიდოდი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მამუკა წიკლაური

იგორ ქააძის ბალადა

იგორ ქააძე თელავში გაჩნდა -
რუსეთის ჯარის ოფიცრის სახლში.
შვიდი წლის იყო ღრმა რუსეთში რომ გადასახლდა
მისი ოჯახი და დაეწყოთ დიდი „სვლა-წასვლა“.
იქ მიდიოდა, სადაც მის მამას
სამხედრო შტაბი სამსახურად განამწესებდა.
დრო მიდიოდა — თავის სახვნელს ხნავდა სახნისი,
დრო მიდიოდა — მიჰკვალავდნენ სივრცეებს ფრთები.
შეცურდა ბიჭი დავიწყების მტაცებელ ზღვაში -
ზღვამ მიიტაცა თელავური ბაღ-ვენახები,
ზღვაში ჩაინთქნენ ის სიტყვები და სიმღერები,
რაზეც იგორის ყმაწვილობა ამოყვავილდა.
პაპა-ბებიას აჩრდილებიც ზღვამ ჩაიტანა
და აი, ხეთქებ-ხეთქების შემდეგ
ნაპირს მიადგა გეზაბნეულ მენავის ნავი -
ურალსიქეთში, ღრმა რუსეთში კვდებოდა იგი.
კვდებოდა, მაგრამ ვერც კვდებოდა იგორ ქააძე -
სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე გადაიხიდა -
ბოდვა დაეწყო, ხან — ცოცხლებთან, ხან მკვდრებთან იყო.
გაოცდნენ მისი ახლობლები —
უცხო რამ ენით ამეტყველდა იგორის ენა.
ზედაპირზე ამოცურდნენ ჩაძირული სიტყვები.
სიკვდილის წინ ცოცხლდებოდა იგორი -
გათბა და გალბა, გაეშალა შეკრული შუბლი,
კახეთის მთვარე დაეფინა თითქოს სახეზე -
ალაპარაკდა, ამომაღლდა, ამოზეიმდა...
ვერავინ მიხვდა, ვისთან ბჭობდა და კამათობდა,
ან რა სარკმლები გამოაღო მისმა გონებამ,
ვის შეხვდა გზაზე, რა ენაზე ალაპარაკდა,
სად მიიცვალა, რა ენაზე დალია სული.
სულ ბოლოს პაპა-ბებიასაც გაესაუბრა -
გადმოიარა ტრამალები იმისმა სულმა,
გადმოიფრინა ურალი და კავკასიონი
და ჩაიჟონა მოხუცების სამარეებში.
- შენა ხარ შვილო? - მთრთოლვარე ხმით გაეპასუხნენ -
მიხვდა იგორი, არ ეძინათ, მას მიელოდნენ...
- შენ გენაცვალოს შენი პაპა, შე დაკარგულო!
- შენ გენაცვალოს შენი ბებო, როგორ ცივი ხარ,
ჩამო, ჩამოთბი, ჩაგვეხუტე, ჩამოგვიერთდი!
გაიხსნა მიწა, აიწია მწვანე საბანი
და თავის პაპა-ბებიასთან ჩაწვა იგორი.
კვდებოდა იგორ ქააძე — სადღაც
ურალსიქეთში, ღრმა რუსეთში კვდებოდა იგი.
...ვინც წაიკითხავთ, თითო ცრემლი ყველამ გაიღეთ,
საერთო ცრემლით ვიტიროთ და მოვისაკლისოთ.

სალომე დარჩა

წლები მოვიდნენ და წავიდნენ -
მზე მოდიოდა და მიდიოდა,
დღე თენდებოდა და ღამდებოდა,
ლხინის ქარები მოდიოდნენ და მიდიოდნენ...
ჭირის ქარები მოდიოდნენ და მიდიოდნენ...
ყველა წავიდა, ვინც კი მოვიდა,
წასვლისას ზოგი ფეხაკრეფით გავიდა გარეთ,
ზოგმა კი კარი მთელი ძალით გაიჯახუნა.
აი, სალომე მოვიდა და აღარ წავიდა,
დგას ჩემს თვალწინ და სილამაზის ცეცხლში ბრიალებს.
მთვარე ამოდის, კვლავ ძველი გზით ამოდის იგი -
არც შემოდგომებს ემორჩილება,
არც — ზამთრის ქარებს;
თვითონ სალომე ამოდის თითქოს
და მისი მზერა აყვავებულ მინდორში მტბორავს.
...სხვები მოვიდნენ და წავიდნენ,
სალომე დარჩა...



გორდა ჯუღელი

ბევრი იომა „ცხოვრებასთან“ გორდა ჯუღელმა.
ის ათ წელს „იჯდა პოლიტიკურზე“.
ციხიდან გრძელი კუდი გამოჰყვა -
შესძულდა შხამით და სიყალბით სავსე სიტყვები:
„პასუხისგება“, „სასამართლო“, „პროკურატურა“...
თავიც შესძულდა — მოხრილ ბეჭებში
არარაობის ეკლიანმა ქარმა დაჰქროლა.
გარეთ გასულმა ციხის სუნი ვერ მოიშორა -
მიხვდა, ციხიდან კვლავ ციხეში გადმოიყვანეს.
...მას ისევ რკინის კარის გაღების
და გარეთ გასვლის სუსხიანი სურვილი უვლის -
უნდა, რომ კარი სამუდამოდ გაიჯახუნოს
და გააღწიოს საძულველი მატერიკიდან,
სადაც სიცოცხლის პრობლემები მგლებს დაემსგავსნენ
და ცეცხლისმფრქვეველ კბილით ხრავენ ძვლებსა
და ნერვებს...
მას ახლა მხოლოდ კარის გაღების
და გარეთ გასვლის დამთრგუნველი სურვილი შერჩა,
თუმცა... მე ვიცი,
კარს დილით რომ გაიჯახუნებს,
საღამოს ისევ შემოაღებს წელში გახრილი...
...
ჩაწყნარდი, გორდავ, მიაჩვიე ტკივილებს გული,
ჯოჯოხეთიდან ვინ გასულა, რომ შენ გახვიდე?!.

მთვარე და ღმერთი

მთვარე და ღმერთი ცაში არიან.
ერთი დედ-მამის შვილებია მთვარე და ღმერთი,
სიკეთეში და სიყვარულში დააცურებენ
თავის თეთრ გემებს მთვარე და ღმერთი,
სიკეთითა და სიყვარულით გადმოგვყურებენ
და გვპატრონობენ მთვარე და ღმერთი.
ერთმანეთს ჰგვანან:
- ღმერთიც, ვით მთვარე, კეთილია და უსუსური,
- მთვარეც ღმერთივით კეთილი და უსუსურია.

ქარი

ეს ქარი მაინც გააჩერეთ! რკინის დილეგში
ჩაამწყვდიეთ და ჩაუკეტეთ რკინის კარები!
...
ქარს წაუღია გაზაფხული.
ისე წასულა, რომ ვერ გავიგე.
როდის გადაძვრა ღობეზე და გადაიკარგა?!
გაუძარცვივარ! - წაუღია, რაც კი მებადა:
კესანეების გულიანი სიცილ-კისკისი,
ხარირმების და ფურირმების ღია რომანი,
გაუტაცნია მთვარიანი საღამოები,
ჩამოუხსნია ჩემი მთვარე და წაუღია,
წაუყვანია იის სუნით მთვრალი სალომე.
დრო გაქცეულა, ქედი ისე გადაუვლია -
თვალი ვერ მოვკარ.
იმ მთვარის ნაცვლად უცხო მთვარე ამოდის ახლა -
მინდა, რომ ახლოს მივიდე, მაგრამ
ვიცი, მგელი ზის მაგ მთვარეში და კბილებს მალავს,
ეგ სხვა მთვარეა, ვერაგია, მე არ დამინდობს!
...
- დრო გააჩერეთ! რკინის დილეგში
ჩაამწყვდიეთ და ჩაუკეტეთ რკინის კარები!

გიორგელი

„მე ბევრს ყურს არას ვუგდებდი
ძია სტალინის თხრობილსა“ -
უთქვამს ლუთხუბელ ყაჩაღს, გიორგელს.
...
არც ისე იყო, დისიდენტები
და პოლიტიკოს-ადეპტები რომ გვიმტკიცებენ:
- სრულმა მონობამ დაივანა სტალინის დროსო...
- ქარსაც ამოსდეს ლაგამი და ქარიშხალსაცო...
- წყალსაც დაუფშვნეს ხერხემალი და მეწყერსაცო...
არა, სტალინი არ ყოფილა ახალი ზევსი!
ეცადა, მაგრამ ცა მიწაზე ვერ ჩამოამხო,
მაინც ბრწყინავდნენ ვარსკვლავები სტალინზე მეტად;
ეცადა, მაგრამ პოეტების ხმა ვერ ჩაახშო -
მაინც ისროდნენ მსროლელები ლექსს ტყვიასავით;
ეცადა, მაგრამ ვერ შეიძლო გამყინვარება,
ყინულქვეშ მაინც შეუპოვრად დიოდა წყალი.
მერე რაა, რომ ძირს მთაა და ზემოთ ღრუბელი?! -
დაჰქროლებს ქარი, გადაბერტყავს ღრუბლებს გრიგალი,
მთებს კი რა დაძრავს?! - იდგნენ, დგანან და იდგებიან!
...
არ დაუჩოქა გიორგელმა სტალინის აჩრდილს,
გამოაცხადა: მაგის ნათხრობს ყურს არ ვუგდებო.
დაუჩოქებელ ბიჭის ძვლებზე დგას ეს სოფელი...

გველისშვილი იასონას ლეგენდა

შეგრცხვეს სოფელო, ეს სირცხვილი ათრიე კისრით,
იასონა კი მხარგაშლილი ჩავა შავეთში.
...
საწყალი ჩვენი იასონა!
რა ულმობელი ამბავი შეთხზეს!..
მე ეს ლეგენდა მეწისქვილე გაბომ მიამბო:
- ეგ ქვრივიშვილი კი არ არის, გველისშვილია.
ქვრივ ანას ერთხელ ციხის გვერდით დასძინებია.
დაძინებულ ქალს მიჰპარვია ჩხრიალა გველი
და იასონას დედა გველმა დააორსულა.
სამი თვის თავზე იასონა გაუჩნდა ანას.
აბა, შეხედე, რა წვრილ-წვრილი კბილები უჩანს -
ნემსებს არა ჰგავს?!
შხამი კი წინა ორ ბრტყელ კბილში აქვს ჩაგროვილი -
მაგიტომაა, იასონა რომ იგესლება,
სულ შხამიანი სიტყვა მოსდის ენა-პირიდან;
და-ძმებიცა ჰყავს იასონას, გველი და-ძმები,
მისვლა-მოსვლა აქვთ ერთმანეთში, მიკითხვ-მოკითხვა.
ერთხელაც ღამით მოვდიოდი ამ ჩვენს შარაზე -
თორღუს ციხესთან უცნაური ხმა შემომესმა,
ციხის ღრიჭოში შევიხედე და დავინახე -
იასონა ზის თავის და-ძმებში
და რაღაც შავზე შავ სიმღერას აგუგუნებენ...
ალბათ, დის, ან ძმის ქორწილი იყო
და იასონა იმ ქორწილში დაიპატიჟეს...
... მე ეს ლეგენდა მეწისქვილე გაბომ მიამბო...
და იმის შემდეგ შემძულდა გაბო!
საწყალი ჩვენი იასონა!
რა ულმობელი ლეგენდა შეთხზეს,
როგორ ულმობლად გაწირეს და გამოიმეტეს! -
მხოლოდ იმიტომ, რომ იასო პირში ებმოდა
ყველა მტყუანს და თავმომყივარს, ყველა მედროვეს,
რასაც ფიქრობდა, ზუსტად იმას ეუბნებოდა
და ეს სიმართლე ჩაუთვალეს შხამად და გესლად.
...
შეგრცხვეს სოფელო! - ეს სირცხვილი ათრიე კისრით!
იასონა კი მხარგაშლილი ჩავა შავეთში.

სიძულვილის სონატა

სალომეს ცა და ჩემი ცა გაქრა -
გადაყვავილდა, გადაჭკნა და გადაწარსულდა.
ცამ ცა შეიშრო,
ცას თითქოს ცა გადაეფარა -
აღარც ის მზე და ის გულუხვი ბრიალ-ბრიალი,
არც ვარსკვლავების ჟიკჟიკი და კრიალ-კრიალი,
აღარც მთვარეში ანგელოზის კაბის ფრიალი...
გაფრინდნენ ჭრელი ფრინველები და იმათ ნაცვლად
ერთი ყორანი — სიძულვილის ყორანი დაჯდა,
ირგვლივ სიძულვილს ავრცელებდნენ მისი თვალები
და სიძულვილით გაბასრულან მისი კლანჭები.
საძულველია ეს ფრინველი თავისი ფერით
და სიძულვილის ამოყივილ-გადაყივილით.
სალომეს ცა და ჩემი ცა გაქრა -
გაქრა მთვარე და „მთვარის სონატა“,
სიძულვილი ამოფრქვეულ ეტნასავით ღმუის -
ეს შავზე შავი მუსიკაა და სახელადაც,
„ყორნის სონატა“ — შავზე შავი სახელი ჰქვია.
მე ამ დროისგან და ჟამისგან ვარ გარიყული,
ნიშნისმოგებით გამომყურებს ჩემი ყორანი -
ერთი სული აქვს, ნათელს როდის გავემიჯნები -
მაგას ჰგონია, რომ ვგიჟდები სიცოცხლისათვის...

მზევინარი

- ვეღარ გიცანი! - მზევინარმა მომიბოდიშა, -
ვეღარას ვხედავ, დამიშრიტა ცრემლმა თვალები,
მლაშე ცრემლებმა მზე და მთვარე ჩამომიბნელეს,
აბა, რაღა ვარ, ნახშირი და ნაცარიღა ვარ,
საერთოდაც ხომ ბნელი იყო ჩემი სიცოცხლე -
ქმარი დიდ ომში წაიყვანეს და
აღარ დაბრუნდა, სიკვდილთან დარჩა.
მე დამრჩა ჩემი სამი შვილი — სამი ობოლი...
ასე მგონია, გზაზე კი არა, ცეცხლზე ვიარე.
- ფინაგენტებო, მიპატიებია ის გულქვაობა!
- ბრიგადირებო, მიპატიებია ის უღმერთო შემოყივილი!
ასეთები ხართ, აბა, როგორ გადაგაკეთოთ!
ბევრ ჭირს შევესწარ, ბევრ მახვილზე შევაჭერ გული,
ბევრჯერ ვიწივლე — გველო, სად გაქვს ამდენი შხამი?!
სულ, სულ ვტიროდი, რა შემეძლო ტირილის გარდა, -
თქვა მზევინარმა, ნაცრისა და ნახშირის ქალმა.
...მალევე მოკვდა. მეც შევუდგი მის კუბოს მხარი,
მსუბუქი იყო და ვიფიქრე, ცხედარს კი არა,
ცრემლებისაგან დაცლილ ღრუბელს მივასვენებდით.

თეთრი

შენზე რომ ვფიქრობ, ვიძირები ღრმა სითეთრეში -
დღეც თეთრია და ღამეც თეთრია,
ტყეც თეთრია და მიწაც თეთრია,
თოვლიც თეთრია, ქარიცა და წვიმაც თეთრია
და ჩვენი მკვდარი სიყვარულიც თეთრზე თეთრია.
და შენც თეთრი ხარ -
მუქი თეთრი, ძალიან თეთრი.

ხომ არის მუქი ცისფერი და მუქი წითელი,
მუქი შავი და მუქი ლურჯი, მუქი ყვითელი...
შენ კი თეთრი ხარ,
მუქი თეთრი კაბა გაცვია.
შენ ახლა დიდი მინდორი ხარ — თეთრი მინდორი
და ამ თეთრ ველზე ძალიან შავად
გადაკლაკნილა ბილიკივით შენი სიკვდილი.

ღამის სიმღერა

გადასულია შუაღამე.
ღამე ჩაუწვა ყველას ლოგინში.
დუმილში ჩაწვნენ ღამე და ძილი
და მთელი ღამე ერთმა კაცმა მიისაკუთრა -
მიდის გზაზე და მიიმღერის მთვრალი ბულბული.
„მთვრალი ბულბული“ გადამჯდარა სიმღერის ფრთებზე -
ხან ცაშია და ხანაც მიწაზე:
წავა, სიმღერით მიმოივლის ცას და ვარსკვლავეთს
ცის სივრცეებში სიყვარულად მიმოიბნევა;
მერე კვლავ ქვევით დაეშვება მთებთან და ზღვებთან,
მდინარეებთან, ოცნებებთან, მოგონებებთან...
მეც მიმღერია მაგ „ბულბულივით“ -
მეც გავფრენილვარ, მთები ფრენით გადამივლია;
მეც ჩემი მითქვამს მოციმციმე ვარსკვლავისათვის
და ერთი ქალის დამათრობელ ღიმილისათვის.
ახლა ეგ მიდის, ხვალ სხვა ჩაივლის.
მთავარია, რომ სიყვარული არ მიდის არსად,
სიყვარული და ვარსკვლავები არ ძველდებიან.
...
ახლა ეგ მიდის — თავის დროშას მიაფრიალებს,
ხვალ სხვა ჩაივლის — სიყვარულის დაცლის ფიალებს.

შემოდგომის გამოფენა ცაში

მალე ცის პროგრამა შეიცვლება -
მთვარის, მზისა და ვარსკვლავების ერთფეროვნებას
სხვა გამოფენა, სხვა დადგმა შეცვლის:
გამოჩნდებიან დევებისგან ამონასუნთქი ქარები,
დაერევიან ქარები ღრუბლებს -
ცის აისბერგებს სამხრეთისკენ გააცურებენ;
ცა აივსება დევებით და გველეშაპებით,
აყმუვლებული მგლებითა და შავი ტყეებით...
მოვლენ ქარები (უკვე ისმის მათი ზუზუნი),
ააგრგვინებენ დიდ-დიდ ღრუბლებს თავის ენაზე -
მზეს განდევნიან, ჩააგდებენ ჯურღმულში მთვარეს...
ღრუბლის კლდეებში ჩამწყვდეული ვარსკვლავები კი
მავედრებელი, ცრემლიანი მზერით გვეტყვიან:
- მოგვეშველენით, დაგვიხსენით საპყრობილედან!
და ჩვენ ავძახებთ: - ვერ გიშველით, ფრენა არ ვიცით...
ჩვენ მხოლოდ ფიქრი შეგვაერთებს, ფიქრით შევწვდებით
და ფიქრის სიმზე დასხდებიან ჩვენი ცრემლები -
ქანცგაწყვეტილი შემოდგომის წვიმის წვეთებად.

ლომის გალადა
იგავ-არაკივით

ერთხელ ლომები შეიკრიბნენ და გადაწყვიტეს,
რომ მოძმე ლომი გამოეხსნათ ზოოპარკიდან.
გადაუფრინეს ტრამალებს და მაღალ მწვერვალებს
და ჩალისფერი გრიგალივით მიაწყდნენ დილეგს,
მაგრამ... ამაოდ! - ვერ უნახეს კარი გალიას,
ვერც გადაღრღნეს და ვერც შელეწეს რკინის დილეგი
და... გალიითურთ გაიტაცეს ჯუნგლებისაკენ
უღრან ტყეებს და ღია დღეებს ნატრული ლომი;
მაგრამ სად იყო სამშობლო და თავისუფლება?! -
სურდა, ტოტებით შეხებოდა მშობლიურ მიწას.
მაგრამ ფეხები რკინის ხლართში ვერ გაატია;
სურდა, როგორმე დაენახა ცა-ვარსკვლავეთი,
მაგრამ თვალებით რკინის ბანი ვერ აარღვია;
სურდა, თავის ტყეს მქუხარე ხმით მისალმებოდა,
გალიიდან კი მხოლოდ კვნესამ გამოაღწია.
იქ მოკვდა ლომი, დილეგიდან ვერ გამოვიდა.
... ბოლოს რა მოხდა?
ისევ ჟანგმა თქვა თავის სიტყვა,
ჟანგმა დაფლითა და შეჭამა რკინის გალია.
ახდილ ჭერიდან თბილი წვიმა ჩამოიღვარა,
ძვლებს დაედინა და ამღერდნენ ტყვე ლომის ძვლები
ლომმა ისევ იმ ძველებურ ხმით დაიღრიალა
და სიხარულის ჟრუანტელი მოედო ტყეებს.
...
ჩემო ძმებო და მეგობრებო,
ჩვენც ასე არ ვართ?! -
ვერ გამოვდივართ კომუნიზმის გისოსებიდან.
ჟანგს დაველოდოთ,
ჟანგი დაღრღნის ამ გალიებსაც -
გაიღვიძებენ ჩვენი ძვლებიც და იმღერებენ.

გასაუბრება არწივთან

დაფრინავს დიდი არწივი მთებზე.
გადაიფრენს და გადმოიფრენს — მე აქა ვარო!
...
- მოდი, არწივო, აქ ჩამოფრინდი,
ამომწიე და ამომთარე ამ ჭაობიდან
მეც ამაფრინე, სხეულიდან წამომიბერტყე
პრიმიტიული ტკივილები და სურვილები;
განდევნე ჩემი ბაგეებიდან
ყველა ისეთი სიტყვა და ფრაზა,
რომელიც ჩიტის ბუმბულივით ფრიალებს ქარში
და მხოლოდ ქარის — ჩამქოლავი ქარის ლუკმაა.
ძალა მომეცი, ფრთა წამომკარი,
რომ ეს უვალი მყინვარები გადავიარო
და შენ რომ ჯდები, იმნაირად დავჯდე სალ კლდეზე;
მოდი, არწივო, ჩემთან მოფრინდი,
წინ გამიძეხი, მიმიტანე სასაფლაომდე -
დასატირებლად შენი ერთი ცრემლიც მეყოფა.
...
დაფრინავს დიდი არწივი მთებში...
გადაიფრენს და გადმოიფრენს — მე აქა ვარო!

კესანე მოკვდა

თუ ჩემზე გკითხოს — უთხარი, რომ ქარების რემამ
შემოანგრია ჯებირები და ზღუდეები
და მოურჩენელ ჭრილობებით დაფლითეს მკერდი...
უთხარი, როგორ დაიძენძა მთვარის საბანი
და როგორ იქცნენ ქარიშხლები გველის ენებად,
...მაგრამ ნუ ეტყვი, ნუ გაუმხელ კესანეს სიკვდილს -
ნუ ეტყვი, როგორ მიიცვალა ლურჯი კესანე -
ხატის მინდორზე ამოსული ხატის ყვავილი -
ჩვენთვის მთრთოლავი, ჩვენი ციდან ჩამოგზავნილი
და ჩვენი მიწის წიაღიდან ამოღერილი.
მოკვდა კესანე — სიყვარულის ქალღმერთი მოკვდა.
ის გაზაფხულის მზემ აანთო და მოიყვანა
და იმავე მზემ ჩამოახრჩო თავის სხივებზე.
...გემუდარები, ნუ გაუმხელ კესანეს სიკვდილს -
კესანე ჩვენი სიყვარულის ყვავილი იყო -
სამნი ვიყავით, ორნიღა დავრჩით...

მთიბლური სიმღერა

მოვიდნენ მთიბლები, გალესეს ცელები
და ყვავილოვან ველს მიადგნენ მკვლელები.

ცისფერ კესანეებს აბა, რა იხსნიდათ
და ჩამოიცალნენ ცისფერი სისხლისგან.

წითელმა ყაყაჩომ ფხა ვერ აისხლიტა,
მინდორში ჩაგუბდა წითელი სისხლის ტბა.

და თეთრი გვირილა — თეთრ მკერდს რომ იხსნიდა,
უცებ დაიცალა უთეთრეს სისხლისგან.

ტიროდნენ მინდვრები, მღეროდნენ მკვლელები,
მღერით გაიარეს სათიბი ველები.

სისხლის სუნს ვერ გრძნობდნენ პრიალა ცელები
და მთიბლურს მღეროდნენ ლამაზი მკვლელები.

ბერუჩა

ფიქრებმა მოკლეს, ფიქრმა იმსხვერპლა!
ბერუჩა ერთი იყო, ფიქრი კი - ბევრი
და ბევრმა ფიქრმა მოახრჩო იგი.

...იფიქრა, როგორ გაეღწია მძაღე სუნიდან -
რევოლუციის სიბინძურემ რომ მოიყოლა,
აყროლებული დევივით რომ ჩაწვა ღამეში;

...იფიქრა, როგორ გაეღწია ნისლიან დღიდან
მის მიდამოში რომ ჩაწვა და ჩამოიქუფრა;

...იფიქრა, როგორ გაეღწია პროცესებიდან -
მემკვიდრეობის გაყოფაზე რომ ატყდა ძმებში;

...იფიქრა, როგორ გაეღწია ტკივილებიდან -
ხალხს და ქვეყანას ქვებივით რომ დაატყდა თავზე.

...იფიქრა, როგორ მოედრიკა სული, რომელიც
გარეთ და გარეთ მიიწევდა დაბმულ ძაღლივით.

...ბოლოს ფიქრებმა რევოლვერი აიღეს ხელში,
ჩადეს შიგ ტყვია, შეაყენეს სასხლეტი ფეხზე,
ხოლო სიკვდილი თვით ბერუჩამ მიიპატიჟა.

დაბერდა თანდი ცქიმანაური

...ერთი ამ ჩამდნარ კაცს ჩახედეთ ჩამდნარ სახეში,
თვალებში ხომ ჩანს აყვირებულ ხარის აჩრდილი?
იმ ხარმა უკვე ჩაიარა, აჩრდილი დარჩა.

...
დიდხანს ისმოდა ხეობაში მისი ბუბუნი,
მზესა და მთვარეს შეჰყვიროდა ცქიმანაური -
რქებს აელვებდა და ჩხუბობდა მეტოქეებთან,
მისი თვალები საარაყე ქვაბივით დუღდნენ;
ადიდებული ართხმოს წყალივით
გუგუნებდნენ და ბუბუნებდნენ მისი ფილტვები...
ტყვიაც ესროლეს, ქვაც დაარტყეს, ციხეშიც იჯდა,
თუმცა... „იჯდაო“ ვერც იტყოდი ცქიმანაურზე.
იჯდა კი არა, განუწყვეტლივ ეხეთქებოდა
კედლებს, გისოსებს, განაწესებს, განკარგულებებს;
ახლა რაღაა?! - იქ დალია მთავარი სული -
სტალინის კედლებს შეაცვდა და შეადნა იგი.
- სიკვდილის აღარ მეშინია, - ამბობს თანდილა, -
სიკვდილი ვნახე, მის სოფელზე ჩამოვიარე!..
...
იმ ხარმა უკვე ჩაიარა, აჩრდილი დარჩა.

ლოცვა გაფრენილ გუგულებისთვის

დრო მოვიდა და აგერ, მერცხლები
და გუგულები გასაფრენად ემზადებიან.
წავლენ და როგორ მოვისაკლისებთ! -
გამოყრუვდება ჩვენი ტყეები
და დერეფნებიც უმერცხლებოდ დაყრუვდებიან.
ჩვენ ხომ ერთნი ვართ — ფრინველები და ყვავილები,
ჩვენ ხომ ერთნი ვართ: მიწა, წყალი, წვიმა და ქარი...
ბოლოს და ბოლოს, ხომ ყველასია -
მთვარე ხომ ყველას სიყვარულით ჩამოდის ციდან,
როცა მდინარის მორევებში დაცურავს იგი;
ბოლოს და ბოლოს, ხომ ყველამ ვიცით,
რას ამბობს მთვარე, ლამაზ ირმებს რას ეუბნება;
ბოლოს და ბოლოს, ერთ მიწაზე დავიბადენით
და ამ მიწაზე დავცვივდებით ბოლოს ყველანი...
დრო მოვიდა და აგერ, მერცხლები
და გუგულები გასაფრენად ემზადებიან.
მოდით, ავანთოთ სანთლები და ერთად ვილოცოთ
თბილ ქვეყნებისკენ გაფრენილი ფრინველებისთვის.

ომია სასაფლაოზე

გადადის შავი ღრუბელი, შავი ნაბადი გადააქვს,
ცა მაინც ისევ ბნელია, ისევ სატირლად მზადაა,
სადაა ღრუბლის სათავე ან დასასრული სადაა?!

...
ქვები და ქვები — წვიმებისგან და ქარებისგან,
თოვლ-ყინულისგან, ქარ-სეტყვისგან ნაკორტნი ქვები;
ქვები და ქვები — სულ ახალი, პრიალა ქვები,
ახალი ცრემლით დანამული, ახალ წარწერით
აკვნესებული ახალი ქვები;
განუწყვეტელი წარღვნის კვალი — ქვები და ქვები;
ქვათა ცვენა და ქვათა კვნესა, ქვათა ტკივილი -
ალბათ, სიცოცხლე ომს უცხადებს სიკვდილს ამ ქვებით,
იბრძვის სიკვდილიც — მიწადქცევის პროცესი მიდის -
ქვები იშლება, იფიტება, ხოლო მათ გვერდით
ახალი ქვები „ამშვენებენ“ ახალ საფლავებს.
ჩვენ ცოცხლები ვართ და ვიდრე ვცოცხლობთ
არ დავნებდებით, სიკვდილს ვიწვევთ ორთაბრძოლაში -
ბოლომდე ვიბრძვით — ამ უაზრო ომით ვერთობით.

...
გადადის შავი ღრუბელი, შავი ნაბადი გადააქვს,
ცა მაინც ისევ ბნელია, ისევ სატირლად მზადაა,
სადაა ღრუბლის სათავე, ან დასასრული სადაა?!

ახლახან გამომცემლობა "საარმა" გამოსცა რეზო თაბუკაშვილის მოთხრობების სრული კრებული "მზეო არ ამოხვიდე". დღეს გთავაზობთ ერთ თავს რომანიდან, რომელზეც მწერალი ამჟამად მუშაობს.

რეზო თაბუკაშვილი

დღე მეხუთე

(თავი რომანიდან)

„სალამი, გოგი ექიმო. თქვენ იცით, რომ თუ სადმე ნიანგი გამოგედევნათ, ზიგზაგით უნდა გაექცეთ? უჭირს მიმართულების შეცვლა. პირდაპირი ტრაექტორიით კი სწრაფად დარბის, დაგეწევათ, შეგსანსლავთ და დოქტორი აიბოლიტი ველარ დაგეხმარებათ... ეს ისე, ხუმრობით. სადღაც ამოვიკითხე.

რა გითხრათ, რით გაგახაროთ? მძიმეა ცხოვრება. განსაკუთრებით ნაბახუსევზე, როდესაც თვალის გახელა გიჭირს და სიზმრისეულ სამყაროში გირჩევნია ჩარჩენა. ფანჯარას მიბჯენილი ნაცნობი პეიზაჟის დანახვა აღარ გინდა... ბევრი, ბევრი რამის ხილვა და განცდა აღარ გინდა. მაგრამ, რას იზამ? უნდა ადგე, თავი მოიწესრიგო და გააგრძელო ცხოვრება. ეს მრავალმხრივ კეთილად მოსახსენიებელი ცხოვრება.

...ქუჩაში გამოსულებს კარგი ამინდი დაგვხვდა. გიგომ გასეირნება შემომთავაზა. ერთი ქუჩა გავიარეთ. მერე აღარ მესიამოვნა გიგოს არაფხიზელი ენერგიული ქაქანი. ცუდს და მოსაწყენს არ ყვებოდა, მაგრამ მომეჩვენა, სულერთი იყო მისთვის მე ვიქნებოდი გვერდით თუ ვინმე სხვა გოგო. ტელეფონის ნომერი არ დავუტოვე. თვითონ გადმოგირეკავ-მეთქი. სევდიანად გამომხედა: „იმედი მაქვს... — აუცილებლად დამირეკე," — მითხრა. თითქოს გამოფხიზლდა ისე თქვა. დაეტყო, რომ საღამოთი ხშირ-ხშირად დახედავდა მობილურს ზარის მოლოდინში.

სახლში მიბრუნებული დიდ ხანს ვიდექი შხაპის ქვეშ. წყალი მამშვიდებდა, საამოდ მთანგავდა. გოგოების ნახვა არ მინდოდა. მარტო მსურდა ყოფნა... „საღამომდე?..." „ჰა, დაურეკე, ჯერ-ჯერობით შენი რა მიდის", — მეუბნებოდა ირეჩკა. — „ჯერჯერობით არაფერი." მერე რომ დამიჯდეს ძვირად?.. გამიჭირდება. ბოლო ბიჭთან (ისე ვთქვი, თითქოს ბლომად მყავდნენ. სულ — ორი, მაგრამ სერიოზული ორი) დაშორების შემდეგ არც თუ დიდი ხნის მოშუშებული მქონდა იარები. ჭრილობების შეხსნის მეშინოდა. „□□□ □□□□ □□ □□□□□□□□□", —შემომცინა ირეჩკამ.

საღამოთი დავურეკე. ოდნავ ვანერვიულე. გვიან საღამოთი ავკრიფე მისი ნომერი. ეგრეევე აიღო. გამეცინა. მელოდა. არც დაუმალავს. მეგონა, აღარ დამირეკავდიო...

ვერ გამოდგა რომანტიკული ჩვენი პირველი შეხვედრა. პატრულის მანქანიდან გადმოსული ორი პოლიციელი იდგა გიგოსთან და ენერგიული ჟესტიკულაციით კამათობდნენ. მივხვდი, რაშიც იყო საქმე. გოგი ექიმო, დიდი შანსია, თქვენც ჰყოლოდით ტაქსიდან გადმობრძანებული, ან სახლისკენ ფეხით მოსეირნე განყოფილებაში გამწესებული და მოსაშარდათ რიგში დაყუდებული.

საბრძოლველად და გიგოს დასახმარებლად განვეწყვე. რაშია საქმე-მეთქი? — მკაცრად ვიკითხე. სამივე გაჩუმდნენ. ფერდაკარგულმა გიგომ გამიღიმა და სცადა აღელვება დაემალა.

— დიაცსა მუდამაც უხდება პაემანებზე დაგვიანება, — მითხრა მოსალმებისას.

— ძალით არ დამიგვიანია, — არც თუ გულწრფელი ვიყავი, — არ მეგონა, თუ ასეთი სახიფათო იქნებოდა ჩემი დაგვიანება.

— კარგი, ამჯერად წადი, — თქვეს პოლიციელებმა და მანქანისკენ დაიძრნენ, — კიდევ შევხვდებით, — გამოხედეს გიგოს.

— დარწმუნებული ვარ, — ჩვენ შევბრუნდით და ქუჩას გავუყევით.

— რა გვინდაო? — ხანმოკლე დუმილის შემდეგ ვკითხე გიგოს, — წამობრძანდით, ფისი-ფისი გააკეთეთო?

— ჰო... მაგათი დედა ვატირე, — აჭრილი იყო გიგო, — პატრულს ნაკლებად ვგულისხმობ. ვინც ეს კანონები შემოიღო — იმათ.

— ამაყი ქართველები (ასაკისდა მიუხედავად) ვაჟკაცურად დგანან ტუალეტთან რიგში და იძულებით აფსმეინებენ... ასწორებს. — ზედმეტი მომივიდა. გიგოს სახე კიდევ უფრო აელეწა.

— აღარ გვინდა მაგაზე, — თქვა მან, ჩემი ბეჭიდან ხელი ჩამოიღო და ტაქსისკენ დაიძრა. თითქმის კუდში მივსდევდი.

ტაქსში ხმა არ ამოგვიღია. გიგო წინ იჯდა და ზურგიდანაც ვგრძნობდი მის სიმწარეს.

შარდენზეც, ღია კაფეში ჩუმად ვისხედით. გიგო ლუდს სვამდა, მე — წვენს.

— კარგად დასამახსოვრებელი შეხვედრა არ გამოგვივიდა, — ოდნავ მოეშვა. ეკლიანი მზერა აღარ ჰქონდა. — სანამ ისინი მოვიდოდნენ, ვიხსენებდი სკოლის დროინდელ პაემნებს. ძნელად დასავიწყებელი წუთებია: დაძაბულად ველოდი ქუჩის ბოლოს გოგოს გამოჩენას. მათი სიარული, ჩაცმულობა, იმდროინდელი სურნელებაც კი მძაფრად ჩამრჩა მეხსიერებაში.

— ბევრის ჩაცმულობა დაგამახსოვრდა?

— რამდენიმეს. ეხლა უკეთ იცვამენ გოგოები. მაშინ ცუდი მოდა იყო.

— გოგოები?..

— გოგოები — კარგები. მაშინაც და ახლაც.

მჭიდროდ მოდგმულ მაგიდასთან სამი გოგოშკა იჯდა. არაუშავს ნაშები. მოვლილები. ზომიერად ტუჩებდაბერილები, ძვირფასი მობილურებით, ხელჩანთებით და ტრაკში პეროებით. ვიღაც ბიჭი წამოადგათ თავზე. ერთ-ერთის სკამის საზურგეზე დაყრდნობით მიესალმა მათ. ბიჭი ნასვამი იყო. გოგოებს ესიამოვნათ მისი გამოჩენა. გაიბადრნენ, მხიარულად აჟღურტულდნენ. ბიჭს ჭრელი ჰალსტუხი ბეჭზე შემოეგდო. ჩაწითლებული თვალები კმაყოფილებისგან უელავდა. უკან ოდნავ მოშორებით, პიჯაკებში გამოკვეტებული დაცვის ორი ჯანიანი ტიპი იდგა. შეუვალი სახეებით ელოდნენ პატრონს. გოგოებმა ერთბაშად დაიწყეს ჩანთებში ტელეფონების და სიგარეტების ჩალაგება და ბიჭის შემოთავაზებას „უფრო მაგარ ადგილას" ქეიფის გაგრძელებას ხალისით დათანხმდნენ.

— გოგოებო! — მათი ანგარიშის გადასახდელად სქელტანიანი საფულე ამოიღო ბიჭმა, — აი, ოცდაცამეტი წლის ვარ და ეხლა ვიწყებ ცხოვრებას, — გაბადრული სახით, ხელების განზე გაშლით თქვა.

გიგომ გაუფუჭა ხასიათი.

— ამ სირს შეხედე! — მომმართავდა ჩაცინებით, მაგრამ მათ გასაგონადაც, — ოცდაცამეტი წლის ვარ და მგონი ვამთავრებ ყველაფერს, — დაუტრიალდა პატრულის ამბავი. იმ ჩათლახი კანონის ერთ-ერთ შემქმნელად დალანდა ეს ბიჭი. გიჟივით გამოიხედა. გული ჩამიქანდა. ერთმა ნაშოჩკამ იყოჩაღა. კისერზე მოხვია ხელი, ლოყაზე აკოცა, წყენანარევი ღიმილით რაღაცა ჩასჩურჩულა და გულთან ჩამოუსვა თხელი თითები რამდენიმეჯერ.

— ნუ იგინები ჩემი თანდასწრებით, — გიგოს აგრესიისგან შეშინებულმა თუ გაბრაზებულმა მკაცრად ვუთხარი, ჩემკენ გამოვახედე. მოკლედ, ქალებმა ვიყოჩაღეთ, თორემ შარს ვერ ავცდებოდით. გიგოს რა ედო ჯიბეში არ ვიცი, მაგრამ ფაქტი იყო, მოერეოდნენ. ის ორი დაცვა მურტალი ჯანიანები იყვნენ, თან მარტო მუსკულების ამარა არ იქნებოდნენ. რასაკვირველია, ბოლოს მაინც გიგოს დააჭერინებდნენ. არ უნდა მოვსულიყავით შარდენზე.

— მე უფრო ცუდი სიტყვებიც ვიცი, — გამიცინა გიგომ და აქედან წასვლა შემომთავაზა.

ბილიარდი გიყვართ, ბატონო გოგი? რუსული? (თუმცა, ეგეც ინგლისელების გამოგონილია). ანა-ბანა მაინც თუ იცით? გიგოს უყვარდა. ერთ მის ჩანაწერს წაგაკითხებთ:

„როცა ბილიარდს ვთამაშობ დიდ ხანს, ყოველდღიურად როდესაც ვუთმობ მწვანე მაგიდას რამდენიმე საათს, შემდეგ ყოფაში სხვადასხვა მოქმედებებს, ფრაზებს, გარემოსთან დამოკიდებულებებს ამ თამაშის დარტყმების, შარების გაგორების მიხედვით ვაფასებ.

მაგალითად: თინასთან უმნიშვნელო თემაზე ვკამათობდი. თანდათან შევყევით და არ ვთმობდით საკუთარ პოზიციებს. ბილიარდის ენაზე ვხედავდი ჩვენს დიალოგს.

თინამ თავიდან ადვილი შარი ჩააგდო შუა ლუზაში, ოდნავ ეფეს გამოყენებით. გრძელი სვოით ვუპასუხე მარჯვენა ლუზაში, ლუზის მოპირისპირე მხარის ნაკატეფეთი დარტყმულით. თინამ არც თუ იოლი მოსაჭრელი ჩუჟოი ჩააგდო ისევ შუა ლუზაში გლაჯანით. ოტიგრიშზე გადავედით. ბურთების ხანმოკლე გორაობის შემდეგ თინამ ბორტთან ახლოს მდგარი შარიდან ასხლეტილი სვოი ჩამიგდო. შეტევაზე გადასულმა ძლიერად დაარტყა და არ გაუმართლა, პადსტავკა დამიყენა. ყველა შარი ირტყმება, და ყველა შარი უნდა გამოიყენო. სამი შარი ავიღე მშვიდად. თინას დარტყმები აგრესიული ხდება და ხშირად აცდენს. გრძელი, ლამაზი ჩუჟოი გამომდის ერთი კუთხის ლუზიდან მეორე ნახევრის კუთხის ლუზაში. თინა „ტრუდავოი" შარით მპასუხობს. უდიერად ვარტყამ, მოუმზადებლად. დამიზნებულ შარს ვაცილებ. ბურთი თავის ნებაზე მიგორავს — êî ëõî ç, ñï àñàé — მშველის, სხვა შარს ოდნავ ეხება. თინა დასარტყმელ ბურთს ვერ წვდება, „ò¸ù à-ს" იხმარს, გრძელ სამწვერა კიას. ცალი ხელით მაგიდაზე დადებულ ჯოხს ასწორებს, მეორეთი შუა ღარზე ჩამოდებულ კიის თავს უმიზნებს დასარტყმელ შარს. აგდებს. ფრეა. შვიდით-შვიდი. თინა რისკავს, რთულ დარტყმას ასრულებს – კუთხის ლუზის გასწვრივ ორი შარი დგას ერთმანეთზე მიტყუპებული. ადრე შეიძლებოდა მათი „ზაიჩიკად" დარტყმა და ორივეს ჩაგდება, მაგრამ წესები გამოიცვალა. ორივე ბურთი ერთი სისწრაფით რომ გაგორდეს — ჯარიმაა. მაგ შემთხვევაში, თვალისთვის შეუმჩნევლად კია ორჯერ ეხება შარს. მაქსიმალურად ნიზშარათი უნდა შესრულდეს ეს დარტყმა, კიის თავი უკანა ბურთის სულ ქვედა ნაწილში უნდა მოხვდეს. წინა ბურთი ლუზისკენ მიგორავს, უკანა შენსკენ ბზრიალდება. ნერვებმა უღალატა თინას და კიკსი გამოუვიდა. ჩასაგდები დამიყენა და ჩავაგდე. მოვიგე. თინას ბრალი იყო, უმიზეზოდ შუხურობდა. ხან თინა იგებს ხოლმე, ხან — მე. მხოლოდ კამათისას როდი ვაგდებთ „ინტერესნი" შარებს, მხოლოდ მოგებისთვის არ ვთამაშობთ ყოველთვის. ýõ. ÿáëî ÷êî êóäàæ òû êàòèø ñÿ... მინდა, თინა შევაქო, მაგიდას კარგად ხედავს. ბილიარდის ერთ-ერთი მთავარი მუღამიც ეგ არის, რომ საინტერესო დარტყმა დაინახო მწვანე მაუდზე გაბნეულ თეთრ ბურთებში. შემდეგ კი შესრულების ამბავია. რომელსაც ბევრი ვარჯიში სჭირდება".

შარდენიდან კიროვის ბაღის საბილიარდოში წამიყვანა გიგომ. მართალია, გვიანი იყო, პირველი საათი ხდებოდა, მაგრამ კიბეებზე ასვლისას უკვე მოგვესმა თამაშის ხმა.

— ბევრი ხალხია. იმედია, ცარიელი მაგიდა დაგვხვდება და ლოდინი არ დაგვჭირდება, — კარების შეღებამდე თქვა გიგომ.

მართლაც, თითქმის ყველა მაგიდა დაკავებული დაგვხვდა. პულის სამ მაგიდას არ ვგულისხმობ. ერთ-ერთზე პატარა გოგო-ბიჭები თამაშობდნენ.

მამაკაცების სამყაროში მოვხვდი — სიგარეტით გაბუღულ, კია მომარჯვებულ, დაძაბული სახეებით მოთამაშე კაცების გარემოში. ბევრი მათგანი გიგოს გულიანად მიესალმა. ჩემი დანახვა დიდად არ ესიამოვნათ. გაგონილი მაქვს, არც გემებზე და არც ალპინისტურ ექპედიციებში არ უყვართ ქალის გამოჩენა. თარსებად ვყავართ მონათლული მეზღვაურებსა და მთასვლელებს. აქაც იმდაგვარი განწყობა იგრძნობოდა. თითქოს, დავნასავდი მოთამაშეებს და გაგორებულ ბურთების ტრაექტორიას ჩემი (ქალური) უარყოფითი ენერგიით დასახულ მიზნამდე მიღნევაში ხელს შევუშლიდი. ბოდიში და, ფეხებზე მეკიდა მათი დამოკიდებულება. ჩემმა კაცმა (შემეძლო თუ მინდოდა გიგოს უკვე ამ კონტექსტში მოხსენიება) თავის მოსაწონად საკუთარი სამყაროს ძვირფასი მხარეების გასაცნობად მომიყვანა.

გიგომ მარკიორი დიტო იკითხა. ბარის უკანა ოთახიდან დაბალი კაცი გამოვიდა. ათ წუთში კარგი მაგიდა გამონთავისუფლდებაო, ბოლო პარტიას ამთავრებენო. დახლთან მოვთავსდით. გიგომ ლუდი დიტოსთვისაც შეუკვეთა.

— ისევ არ თამაშობ? — ჰკითხა მარკიორს.

დიტო დინჯი და დარდიანი კაცი ჩანდა. თავიდან ლუდზე უარი თქვა, შემდეგ გიგოს ხათრით მოსვა ბოთლიდან.

— არა, გიგო. გადაღლილი ვარ, — ჩუმად ლაპარაკობდა, —მაგიდა არ მღებულობს, მეც დიდი ლტოლვა და მონატრება არ მაქვს... პაუზაა საჭირო.

ორმოცდაათს მიტანებული იქნებოდა დიტო. აფხაზეთის ომში სნაიპერი ყოფი-



ლა. ამას მერე მომიყვა გიგო. — ვერაფრით გავახსენე ჩვენი შეხვედრა გაგრაში, — მითხრა, — არადა, ერთად ვიყავით ოპერაციაზეო. მგონი, საერთოდ აღარ უნდა მაგ პერიოდის გახსენებაო. აფხაზეთის შესახებ გიგოსაც ბევრი არაფერი მოუყოლია ჩემთვის. გაკვრით თუ იტყოდა რამეს.

— პარტნიორი არის ვინმე? — ჰკითხა გიგომ.

— აი, გივჩოს ვეტყვი, — მაღალი, ქერა ბიჭისკენ გაიხედა დიტომ.

— ზდაროვა, გივჩო, — შორიდან ხელის აწევით მიესალმა გიგო, — გავაგოროთ ცოტა?

— რატომაც არა? — გივჩომ ზანტად აიჩეჩა მხრები.

— დიტო, შენი კია მათხოვე რა, — სთხოვა გიგომ.

სანამ მარკიორი კიას მოიტანდა, გიგომ მოკლედ მოინდომა საბილიარდოსთან ჩემი შეჩვევა, აქაური წესების და კანონების გაცნობა. დიდ ფულზე ერთმანეთში თამაში არ მოდის, რადგან ყველა ერთმანეთს კარგად იცნობს. გორელები, ქუთაისელები, სხვა ქალაქელი მოთამაშეები ჩამოდიან ხოლმე სპეციალურად და მაშინ კარგი ფსონებია. ისე, „ჟირნი ზალიოტნი“ იშვიათი ხილია აქ.

ის ხალხი, რომელთა ნაწილიც თამაშით იყო დაკავებული, ნაწილი კი მათ უყურებდა ან ბარის მაგიდებთან მიმსხდარი ლუდის სმისას სამყაროს ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს, თურმე ფაქტიურად აქ ცხოვრობდნენ. ნაშუადღევს მოდიოდნენ სამსახურივით. შეიძლება მთელი დღე არც ეთამაშათ, მაგრამ სულ მაგიდების გარშემო ტრიალებდნენ, დიდი ხნის წინ მომხდარ ძველ თუ ახალ ამბებს არჩევდნენ, ბჭობდნენ, კამათობდნენ. მოკლედ, სამსახურზე მეტად, სახლივით არის მათთვის აქაურობა. შეიძლება დღე ისე გავიდეს, რომ ბილიარდი არც ახსენონ, მაგრამ მაინც ეს თამაში არის მათი გამაერთიანებელი და ცხოვრების შემავსებელი. სმით დიდად არ სვამენ. ბილიარდი და სმა ვერ არიან მეწყვილეები. ოდნავ შეიძლება, რამდენიმე ჭიქა. მთვრალი კი არა, ნასვამიც ვერ ითამაშებ სათანადოდ, „მაგიდა არ მიგიღებს!“ დაგსჯის.

ერთ-ერთ მაგიდასთან ბევრი მაყურებელი შეკრებილიყო. რუსეთიდან დაბრუნებული ჩვენი თანამემამულე, ძლიერი მოთამაშე, მაზიანს აგორებდა ორი შარის ფორის მიცემით ქუთაისელ მოწინააღმდეგესთან. „ვინტს“ თამაშობდნენ. რთული თამაშია, წესებში ბოლომდე ვერ გავერკვიე. გიგოც მათ ადევნებდა თვალს, სანამ დიტომ არ უხმო. გივჩო ორად დაშლილ თავის კიას აწყობდა. დიტოს კია მთლიანი იყო. — არ მიყვარს დასაშლელი კიები, — მითხრა გიგომ, — არასრულყოფილების განცდას იწვევსო.

გიგოც და გივჩოც აუღელვებლად, აუჩქარებლად მოძრაობდნენ, მაგრამ აზარტი იგრძნობოდა მათ გამოხედვაში.

ყველას აშკარა დისკომფორტს ჰგვრიდა პულის მოთამაშეთა სიცილ-ხორხოცი და არც თუ ზრდილობიანი, ხმამაღლა წამოსროლილი ფრაზები. ბილიარდს სიჩუმე უყვარს. გიგოს გადამკიდემ შევიმეცნე ეს ნიუანსები. ხშირად მივყავდი საბილიარდოში. რამდენიმეჯერ კიის სწორი დაჭერა სცადა ჩემთვის ესწავლებინა, არაფერი გამომივიდა. მეტი აღარც მიცდია, მაგრამ მომწონდა აქ სიარული და გიგოსთვის თვალის დევნება. პლასტიკა ეცვლებოდა ბილიარდის მაგიდის გარშემო სიარულისას. როცა კიას ბეჭზე მიიდებდა, დინჯი ნაბიჯით რომ გაუყვებოდა ბორტს, შემდეგ შეჩერდებოდა, დანახული შარის დარტყმამდე კიის თავს კიდევ ერთხელ გაცარცავდა, მზერა მიზანდასახული უხდებოდა. მოხრილი იდაყვის მოძრაობაზე ვხვდებოდი, რა ძალის დარტყმას შეასრულებდა... აკი გითხარით, თეორიულად რაღაცები ვისწავლე-მეთქი. მაგიდაზე გადახრამდე რამდენიმე, ერთი და იგივე სიმღერის წაღიღინება უყვარდა, მაგრამ დარტყმის დროს ჩუმდებოდა. „უსინდისოდ“ არჩავარდნილ შარს „ñóêà“-ს ეძახდა.

მის თამაშს მაღალ სკამზე მოკალათებული ვადევნებდით ხოლმე თვალს. ერთადერთხელ გამიჩნდა უსიამოვნო გრძნობა და პარტიის შეწყვეტა და წასვლა მოვთხოვე გიგოს. თავიდან უარის თქმა დააპირა: მოვრჩები და წავიდეთო, მაგრამ რომ შემომხედა, უთქმელად დამთანხმდა. საქმე კი შემდეგში იყო: გვერდით მაგიდასთან, ჩემნაირად მაღალ სკამზე წამოსკუპებული რუსის შალავა გოგო იჯდა. სქლად მოთხუპნული პომადიანი ტუჩებით აბოლებდა სიგარეტს და დამცინავად აკვირდებოდა ორ ნასვამ მოთამაშეს. ირონიული ღიმილით ჩემკენაც გამოიხედა შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ კაცები მასზე თამაშობდნენ. გამარჯვებულის პრიზი იყო ეგ...საწყალი.

— რა ვითამაშოთ?— ჰკითხა გივჩომ.

— ამერიკანკით გავხურდეთ და სიბირიაჩკაზე გადავიდეთ, —უპასუხა გიგომ.

გივჩომ ხის სამკუთხედში მოათავსა ბურთები, ენერგიული მოძრაობით შეამჭიდროვა, სამკუთხედი ფრთხილად აიღო და მოკლე ბორტის ქვეშ ლურსმანზე დაკიდა. გიგომ დაშალა. პირამიდის კუთხის ბურთზე მსუბუქად შეჯახებული „ბიტოკი“ მარჯვენა ლუზისკენ გაგორდა. არ ჩავარდა. რამდენიმე შარი გამოეყო სოლად შეჯგუფულ, დაბორცვილ თეთრ ჯარს. მძიმე პარტია გამოდგა. პირველი იყო და ხელის გაწაფვა სჭირდებოდათ მოთამაშეებს. დარტყმებს შორის განყენებულ თემაზე საუბრობდნენ, ნაცნობების ასავალ-დასავალით ინტერესდებოდნენ.

მე გიგოს დამატებით ფსიქოლოგიურ ბარიერს ვუქმნიდი. ჩემი იქ ყოფნა ზედმეტად ძაბავდა, სილაღეს აკარგვინებდა. პირველი პარტია წააგო. შემდეგ მოეშვა. ჩემი იქ ყოფნა პოზიტიურ ენერგიად გამოიყენა და თამაშიც წაუვიდა.

ლუდი მოვატანინე ბარის ქალს. გიგო არ სვამდა. მერე გამომიტყდა, რომ ყოველი შეკვეთა თარსავდა. საერთოდ, ცრურწმენა გიათმაგდება ბილიარდის თამაშისასო. შვიდით-შვიდზე სიგარეტს არ ვუკიდებ, დასარტყმელ ბურთზე ამოტვიფრულ ციფრებსაც საკმაოდ დიდ დატვირთვას ვანიჭებო, იქნება ეს „ვინტი“ თუ გინდა „ამერიკანკა“. უფრო სწორედ, „13“-ზე მაქვს გართულებაო. ჩემი რიცხვია და არ მსიამოვნებს მე თუ არ ავიღებ ამ შარსო. შვიდით-შვიდზე მოწინააღმდეგესგან „13“-ის ჩაგდება ლამის ღალატად მიმაჩნიაო.

გიგომ ისიც მითხრა, რომ მოთამაშეები წონასწორობიდან გამოსაყვანად ხშირად იყენებენ ერთმანეთის სუსტ წერტილებს. გაშიფრულ ადგილებში დანდობის გარეშე ურტყამენ და ნერვებს უშლიან მოწინააღმდეგეს, იქნება ეს რაიმე ფრაზა თუ სპეციალურად ჩადენილი მოძრაობა დარტყმის დროს. ასეთ შემთხვევაში ჩხუბი და ცემა-ტყეპა იშვიათია. შეურაცხყოფას ხომ არ გაყენებს. დაშვებული, მაგრამ საკმაოდ ბინძური ილეთია, გიგოს ასე მიაჩნდა. მაგარ მოთამაშეს მაგ ჩათლახურ ფანდებზე ვერ წამოიკიდებ, რადგან არ გააჩნია ასეთი სუსტი წერტილები.

გამოცდილებასთან ერთად, ამ ცუდ ჩვევათაგან ბევრს მორევია გიგო, მაგრამ მაინც საკმარისი დარჩა. რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მუშაობს და მეტწილად მართლდება ეს ცრურწმენები. ეტყობა ქვეცნობიერი ერთვება მაგ დროსო. — „ჯერჯერობით უხვად ვარ დახუნძლული ამ ჩვევებით, ჩამოსაბერტყია,“ — მითხრა გიგომ. — „მეც ჩამოსაბერტყთა სიაში ხომ არ გყავარ?“ — გამეცინა. ჯერ არ ვიციო. ლენინგრადში (მაშინ ასე ერქვა პეტერბურგს) თავისი გოგოს თანდასწრებით უთამაშია. შვიდით ნულს აგებდა ვიღაც ჩეჩენთან, თან ინტერესზე აგორებდნენ. წადიო, უთქვამს. და ნაწყენი, ტუჩაბზუებული გოგოს გასვლისთანავე რვა შარი აუღია ერთ ხელზე. — „იმედია, შენ კარგი ხარ, იღბლიანი“, — გამიცინა. ჯერ კარგად არ ვიცნობდით ერთმანეთს.

გიგოს და გივჩოს პარტიების გარჩევით თავს არ შეგაწყენთ. დიდხანს ითამაშეს. ვუყურებდი და ვუსმენდი. გივჩოს ვუსმენდი, რომელსაც გიგომ ძმის ამბავი ჰკითხა. გივჩო მაღალი, ქერათმიანი ბიჭი იყო, ნაღვლიანი და ირონიული თვალებით (თვალებზე გართულება მაქვს, ხომ გითხარით). ძმის ხსენებაზე ჩაეცინა ცალყბად და თქვა:

— არ მელაპარაკება, — ოდნავ წელავდა სიტყვებს.

— რატომ?

გივჩომ კიდევ ერთი შარი აიღო და სიგარეტს მიუჯდა.

ჩვენი ვაკის სახლი ხომ გახსოვს? —

ჰკითხა გიგოს, —გაგვიჭირდა და გავყიდეთ. მერე წყნეთის აგარაკიც მივაყოლეთ. მორჩენილი ფულის დატრიალება დავითამ იკისრა, ჩემმა ძმამ. მეთქი-მიდი!.. მაგ ხომ უფრო მარიფათიანია, ვითომ... ï ðî ñðàë âñ¸.

კიდევ რაღაც მოვასწარი და ნუცუბიძის პლატოს ერთ-ერთ მწვერვალზე ერთოთახიანი ბინა დავიგდე ბუნაგად. დილაობით არწივები მაღვიძებენ, ზამთარში წრიაპებით და ძალაყინით უნდა ახვიდე, ისეთ ტრაკში ვარ... ბოდიში გოგონასთან, — მე მგულისხმობდა, — ეს პრეზიდენტი ვინ ვერელებს და ვაკელებს ებრძვის? კაციშვილი აღარ დარჩა ძველებიდან. სხვა ენაზე ლაპარაკობენ ეხლა იქ... მოკლედ, დავითა ცოლთან გადაბარგდა, ოღონდ — დროებით. ცოლმა, ცოტა ხანში, მთელი თავის ბარგი-ბარხანა გარეთ გამოუდგა და, სანამ წარმატებულად არ იშოვი ფულს, არ დამიბრუნდეო. რა ბარგი-ბარხანა, ორი ჩემოდანი შმოტკები გამაატანა. ხომ იცნობ მაგას ჩაცმა როგორ ევასება. მეტი არც არაფერი ჰქონდა... ეს რა ლუზერ კაცს გავყევი ცოლადო, თურმე ჩიოდა ინგა. სულ გადელდნენ ეს ქალები... ბოდიში გოგონასთან, — კვლავ მე მგულისხმოდა, — ჩემთან შემოაფარა თავი. შევიკედლე, აბა, რას ვიზამდი? ოღონდ ვსვამდი მაშინ. მაგრად. ეგ კიდევ არ არის მაგის კაცი, ხომ იცი, სადღაცსადღაც მიქროდა დილაობით. გაიზმანებოდა, სარკესთან ნახევარ საათს გაატარებდა და საშოვარზე გადიოდა. ოხრად ბიზნეს-გეგმები ქონდა, მისი აზრით, ერთი-მეორეზე უეჭველი. გვიან საღამოთი ბრუნდებოდა სახლში დაღლილი. ცდილობდა, მაგრამ არ უმართლებდა... მე ერთი იქაური ჯიგარი მყავდა პადელნიკად. პირველი სართულის მეზობლის, გასაყიდად ჩამოტანილ ვითომ „ჭაჭას“ ვსვამდით. საძაგლობა იყო. იაფი. ერთ დღეს ვიღაც სიმონები დაგვეწვიენ. ბოლოს ჩხუბი მოხდა. ჩვენი ერთადერთი ფანჯრის მინა თავით გავატანინე უზრდელ სტუმარს. თებერვალი იყო. ციოდა. მე — არა, დავითა ძაგძაგებდა ღამღამობით. მეთქი, მიდი და ჩასვი, თუ ესე გცივა. მე მეკიდა... ბოდიში გოგონასთან.

— აღარ მოიხადო ბოდიში, — გამეცინა.

— კაი, დაიკო, ბევრ უწმაწურ სიტყვებსაც არ ვიხმარ... გაბერილი მქონდა. ჩემი დაბნედილი ტვინით ვთვლიდი, რომ ათონური ტიპიკონით უნდა მეცხოვრა. ყოველ ღამით სამ საათზე ვაღვიძებდი დავითას და სანთლის შუქზე ვალოცებდი (შუქი გადაგვიჭრეს).

რას ვალოცებდი — უბრალოდ, არ ვაძინებდი. იჯდა საბანში და შალის პლედში შეფუთნული და ჩაკიმარებისას ბეჭში ვურტყამდი გამოსაფხიზებლად. ლოცვანით ხელში ჩამტვრეულ ფანჯარასთან ალიონს ველოდი. ვატყობდი, რომ გულით ვერ ლოცულობდა, — გაეცინა — და მთელი მისი საამაყო შმოტკები ერთ დილას გარეთ გადავუყარე. მიწიერი ცდუნებებისგან უნდა გაგანთავისუფლო-მეთქი. გამწარდა, რომ გაეღვიძა. ქუჩაში გავარდა, მაგრამ იქ ვინ რას დაახვედრებდა. ხანმოკლე ჩხუბის და ჭიდილის შემდეგ ვილვეტის შარვალი უკან წაართვა ვიღაც ლტოლვილ ბიჭს. ვიგრძენი, რომ ცუდად დამებოღმა, მაგრამ იცოდა, რომ ვერ მომერეოდა, თან ვსვამდი... ღამის ლოცვები გრძელდებოდა. გაყინულმა შუშის ჩასმა გადაწყვიტა. მოტანისთანავე გავუტეხე — ეგრე ყოფილა საჭირო, უფალმა ინება ცოტათი უნდა შეგვცივდეს-მეთქი... მწარდებოდა. სამი თვე გაძლო. ხომ გითხარი, მე ვერ მიბედავდა, მაგრამ ჩემ პადელნიკს ახრჩობდა ერთ დილას. იმისმა ხროტინმა გამაღვიძა სკამზე ჩაძინებული, ლურჯი იყო უკვე და ხელებს საწყლად ასავსავებდა. ძლივს გამოვგლიჯე. რა ერქვა იმ ჯიგარს, აღარ მახსოვს, — რომ არ სვამს, მაგის ბრალია, ნერვები ცუდად აქვსო, — ფილოსოფიურად მიუდგა დავითას გაშმაგებას.

აპრილის ბოლო იყო. მზიანი ამინდი იდგა. საქმეებზე ნაწანწალებ დავითას სადარბაზოსთან დავხვდი შუადღისას. წინაპრებისგან შემორჩენილი დუბლიონკა მეცვა, თოფი მქონდა ბეჭზე გადაკიდებული, ზურგჩანთაში თბილი ტანსაცმელი მეწყო. — „რას შვრები?“ — მკითხა დაბნეულმა. — „წადი, რამდენიმე ასანთის შეკვრა, სუხარი და ტუშონკა იყიდე“, — ვუთხარი. — „რატომ?" — მგონი, არც გაკვირვებია. —„პირდაპირ გეტყვი. ჩვენი ბიძა, ანდრო მოკლეს აჭარაში... ვიცოდი, რო გეტკინებოდა. სისხლი უნდა ავიღოთ, მერე ტყეში გავალთ. ასანთი ბევრი წამოიღე.“ — „ვინ არის ანდრო ბიძა?“ — ალალად მკითხა. ამაზე მე აღვშფოთდი. თოფი გადმოვიღე ბეჭიდან და ვუბრძანე ასანთი ბევრი მოეტანა. რატომღაც ასანთზე გავჭედე... ისე, არც ანდრო გვყოლია ბიძა. კარგიო, მითხრა წყნარად. წავიდა. იქვე მშენებლობიდან პარკეტის ნაჭერი მოიტანა, უკნიდან მომეპარა და კეფაში მხეთქა გამეტებით. მძიმე ტვინის შერყევა მქონდა. მაგის მერე აღარ ვსვამ. ეგეც არ მელაპარაკება...

გოგი ექიმო. დანარჩენი შემდეგისთვის იყოს. ეხლა ერთი სული მაქვს ვიბანავო და დავიძინო... აბა, მხნედ, ექიმო გოგი!“

დავით ქართველიშვილი

დაბრუნების სიმღერა თერთმეტ ლექსად

1.

33 წელი ვიცხოვრე უცხო ქალაქში.
წამოსვლისას ვიგრძენი,
რომ თითქმის მშობლიურ ქალაქს ვტოვებდი, სადაც
დავტოვე;
დედაჩემი (მამამ ოდესღაც თავად დამტოვა),
ჩემი ცოლი, ჩემი შვილები: გოგო და ბიჭი, ჩემი ახალი
მეგობრები.
ორმა მათგანმა ზამთრის ღამეში მიმაცილა
აეროპორტამდე,
დავტოვე ღამე და სიცივე,
რომელსაც ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ სხეულით
შევეჩვიე.
თვითმფრინავში მშვიდად ვიჯექი ილუმინატორთან,
ჩემს გვერდზე იჯდა უცხო კაცი მკვეთრი სახით,
სახელურებზე ედო ხელები და მე ვფიქრობდი,
რომ ცაში ფრენა სულ არ ნიშნავს ცაში ცხოვრებას,
ამასობაში თვითმფრინავმა დაშვება იწყო
და როგორც მგზავრი მას მივყევი, სხვა გზა არ
მქონდა,
დაშვებამდე კიდევ ერთხელ გავიფიქრე,
რომ ცაში ფრენა სულ არ ნიშნავს ცაში ცხოვრებას,
ასე დავბრუნდი ცაზე ფიქრში დედამიწაზე.
საბაჟოზე გავიარე ფორმალობები;
შემდეგ თითო ხელში თითო ჩემოდნით გარეთ
გამოვდგი მარჯვენა ფეხი,
შემდეგ მარცხენაც,
ყველა ცრურწმენა კვლავ გაცოცხლდა ჩემს გულში,
რადგან სამშობლო თავისთავად ცრურწმენაა და
ცრურწმენების გარეშე იქ ვერ იცხოვრებ,
ამიტომაც ყველა მართალი ადრე თუ გვიან ტოვებს
სამშობლოს,
მხოლოდ სუსტები ბრუნდებიან და მე დავბრუნდი.

2.

33 წლის განმავლობაში ვერ წავშალე ჩემი ხსოვნიდან
ეს ქუჩები და ეს სახლები,
განსაკუთრებით ჩემი ქუჩა და ჩემი სახლი,
რომელსაც ისე გულმოდგინედ ვივიწყებდი
ყოველდღიურად,
რომ ასეთი გულმოდგინებით უკვდავებაზე რომ
მეზრუნა,
დავიჯერებდი, რომ უკვდავი ვარ...
ვერ დავივიწყე, ვერც უკვდავებაზე ვერ ვიზრუნე.
ვიდექი სახლთან ჩემს ქუჩაზე,
აქეთ-იქით ვიხედებოდი,
ალბათ ნაცნობ სახეს ვეძებდი,
ვინც თვალით ეძებს, მხოლოდ თვალით პოულობს
და მე ვიპოვე ნაცნობი სახე,
რომელიც სადარბაზოში ისე შევიდა, არც გამომხედა,
მივხვდი, ის არ მეძებდა, გულდაწყვეტილი შევედი
სახლში.
სადარბაზოში ნაცნობი სუნი მეცა,
ვინც ცხვირით ეძებს, მხოლოდ ცხვირით პოულობს.
ამაღელვებელი არაფერია:
არც ლიფტი, არც კიბეები, არც კედლები, არც
წარწერები.
წარწერებს შორის წავიკითხე ჩემი სახელიც,
რომელიც თავად მე დავწერე ბევრი წლის წინათ,
ვინ მეგონა ჩემი თავი, ასე მსხვილად რომ ვწერდი ჩემს
სახელს?
ვერ გავიხსენე,
ამაღელვებელი თავისთავად არაფერია,
მაგრამ ცოდნას არასოდეს მოაქვს სიმშვიდე
და მე ვღელავდი, აღელვებულმა შევაღე კარი.

3.

33 წლის განმავლობაში ვაიძულებდი ყველას, ვისაც კი
ახსოვდა სახლი,
ჩაეთვალა, რომ სახლი სიზმარი იყო,
სახლის გასწვრივ ქუჩა, სკამები სიზმარი იყო
და ნამდვილი ცხოვრება აქ დავიწყეთ.
ისინიც თავებს მიქნევდნენ და კმაყოფილი სულ არ
ვფიქრობდი,
თავების ქნევა რამდენად იყო მართალი.
ჩვენ ვერ ვხედავთ ერთმანეთის არათუ სიზმრებს,
ერთმანეთსაც კი,
და თუ ხანდახან ვბედავთ, და ერთმანეთს ვუყვებით
სიზმრებს,
ეს არ ნიშნავს, რომ ახლობლები ვართ,
მითუმეტეს მეგობრები, ან მეგობრებზე კიდევ მეტი.
ჩვენ ვერ ვხედავთ საკუთარ თავსაც კი,
ჩვენ მხოლოდ სიზმრებს ვხედავთ,
33 წლის განმავლობაში ვაიძულებდი ყველას, ვისაც კი
ახსოვდა სახლი,
ჩაეთვალა, რომ სახლი სიზმარი იყო, ცუდი სიზმარი,
გაღვიძება კი იყო ძნელი, მაგრამ სასიხარულო,
მაგრამ უფრო თავს ვიტყუებდით, რომ გავიღვიძეთ,
სინამდვილეში კი დღემდე გვძინავს და არაფერი
გვიხარია,
რადგან ძილი სიხარულს გამორიცხავს,
და ჩვენ ყოველთვის სიხარულისთვის სინამდვილეში
მივისწრაფვოდით.
ვიჯექი სახლში, სავარძელში,
ვიხსენებდი დატოვებულ დედას და ცოლ-შვილს,
მამას, რომელმაც ოდესღაც თავად დამტოვა
და ამიტომ მამა ჩემთვის ზღაპარი იყო
და როგორც ყველა ზღაპარში
აქაც სიკეთესთან ერთად ხდებოდა ბევრი საშინელება,
ვიჯექი სახლში და ვიხსენებდი.

4.

33 წლის განმავლობაში ვფიქრობდი, რომ არასოდეს
ვიყავი ბავშვი
და პირდაპირ დიდი დავიბადე,
ასე მერჩივნა, ასე უფრო კარგად ვგრძნობდი თავს,
თუმცა ვხვდებოდი,
რომ პირდაპირ დიდად დაბადება უკავშირდებოდა
რაღაც არასწორს,
საშინელს და კიდევ ცუდად გამორჩეულს,
მაგრამ მაინც ასე ვთვლიდი,
თუმცა ჩათვლა არ ნიშნავს რწმენას
და ამიტომაც ყოველთვის ჩემთან ერთად იყო ჩემი
ბავშვობა.
სახლი იყო ცარიელი, მხოლოდ აჩრდილები
დაძრწოდნენ შიგნით:
ჩემი აჩრდილი, დედაჩემის აჩრდილი, ჩემი ცოლის
აჩრდილი,
რომელიც ამ სახლში მხოლოდ ჩემი ხათრით
ცხოვრობდა
და ოცნებობდა რაღაც დიადზე
და ეს დიადი იწყებოდა დედაჩემისგან გამოყოფით,
თუმცა დიადი რამეები ყველას ცხოვრებაში როდი
ხდება
და ვერც ყველა შეძლებს საკუთარი დედისაგან
გამოყოფას,
რადგანაც არც ცდის.
დავტოვე სახლი, აჩრდილები თან გამომყვნენ, რისთვის
დავბრუნდი?
გადავხედე აჩრდილებს და მივხვდი,
მათში არ იყო კითხვის პასუხი,
აჩრდილებს ხელი მოვუქნიე, შემდეგ ფეხიც
და აჩრდილები მიმოიფანტნენ.
“ალბათ დროებით” — გავიფიქრე და დავინახე
გამვლელები,
რომლებიც ისე მიყურებდნენ, მივხვდი რასაც
ფიქრობდნენ ჩემზე,
თუმცა ისინი აჩრდილებზე გაცილებით უცხონი იყვნენ,
მათი გაფანტვა არც მიფიქრია.

5.

33 წლის უნახავი ცოცხლების მონახულება პირდაპირ
ვერ გავბედე,
ამიტომაც ჯერ მკვდრებს მივადექ,
სასაფლაოზე იყო სიმშვიდე,
თითო-ოროლა ცოცხალი აქეთ-იქით მიმოდიოდა,
ხოლო მკვდრები იწვნენ,
წოლა, ერთადერთი მდგომარეობაა,
რომელში ყოფნაც მკვდრებს ეხერხებათ.
დიდხანს ვიდექი მკვდარი მეგობრების საფლავებთან,
ვიცოდი რაღაც უნდა განმეცადა, რაღაც:
გულდაწყვეტა, ან სევდა,
ან წარსული დღეების გახსენებით გამოწვეული სითბო,
მაგრამ ვერაფერს განვიცდიდი და ვერც ვერაფერს
ვიხსენებდი,
მხოლოდ ქარი მცემდა სახეზე.
ფეხით ვიარე სასაფლაოდან ქალაქამდე, მკვდრებიდან
ცოცხლებამდე,
ცოცხალი ვიყავი, მაგრამ სიცოცხლის აზრს ვერ
ვხვდებოდი,
გადავთვალე და აღმოჩნდა,
რომ ცოცხალ ნაცნობზე მეტი მკვდარი ნაცნობი
მყავდა,
მიუხედავად ამისა, მაინც ცოცხლებში მერჩივნა ყოფნა
და ვაიძულებდი თავს ვყოფილიყავი ცოცხლებში რაც
შეიძლება დიდხანს.
მკვდრები ცვლიან სამყაროს,
ქალაქი სამყაროს ნაწილია,
ძალიან მცირე უმნიშვნელო ნაწილი,
მაგრამ ჩემთვის ეს ქალაქი სამყარო იყო,
მკვდრები ცვლიან ქალაქს და მახსენებენ, რომ
ადრე თუ გვიან დავტოვებ ქალაქს..
მკვდრებს არაფერი ენატრებათ..

6.

33 წლის განმავლობაში ვემზადებოდი ომისთვის,
თუმცა ომი დიდი ხნის წინ იყო დამთავრებული.
ვემზადებოდი შეტევისთვის, თავდაცვისთვის,
ყველაფრისთვის სიკვდილის გარდა,
არადა ომში სიკვდილი ყველაზე რეალურია,
მაგრამ ომი დიდი ხნის წინ იყო დამთავრებული
და ერთადერთს, რასაც ჩემი თავი მიდასტურებდა,
იყო ის, რომ გადავრჩი, თუნდაც დროებით.
ერთმანეთისთვის არასოდეს გვიკითხავს ომის
დაწყების მიზეზები
და არც ის აღგვინიშნავს, რომ გადავრჩით
და რამდენიმე ხნით გადავწიეთ ჩვენი სიკვდილი.
რის გაკეთებას ვაპირებდით ამ დროის მანძილზე?
კონკრეტული გეგმა არ გვქონდა,
ჩვენ ვიცოდით, რომ კონკრეტული გეგმის ქონა
იმედგაცრუების საწინდარია,
თუმცა ხმამაღლა არასოდეს ვამბობდით ამას,
რადგან აფერისტულ გამოთქმებს,
მითუმეტეს ლოზუნგებს, მუდამ მხარს ვუქცევდით,
მაგრამ ბედნიერები სულ სხვა მიზეზის გამო ვიყავით.
გაიხსენე ჩვენი ბავშვობა,
როგორ დაემთხვა ჩვენს გარდატეხის ასაკს სამშობლოს
გარდატეხა
და როგორ გახდა ჩვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი:
მამული, ენა, სარწმუნოება...
ყველაზე დიდი წარმატებით ეს სამი სიტყვა დავივიწყე
უცხო ქალაქში,
და ახლა როცა ამ სამ სიტყვას ერთად წარმოვთქვამ,
მათ შინაარს ჩემში არ ვეძებ.

7.

33 წლის განმავლობაში ვიცვლებოდი,
ალბათ ამიტომ მომეჩვენა ქალაქი ძლიერ შეცვლილი,
ჩვენ ერთმანეთს არასოდეს ვეჯიბრებოდით,
ქალაქი იყო გარეგანი,
მე კი ჩემს თავს შინაგანი თვისებების არსებობასაც
ვაბრალებდი,
თან ვუსურვებდი.
ასეთი ხერხით მნიშვნელობას ვძენდი სიცოცხლეს,
რომლის აზრსაც თითქმის ვერასდროს ვერ ვხვდებოდი,
მაინც ვცხოვრობდი.
სიცოცხლისთვის აზრის მისაცემად მოვუგონე ჩემს
თავს განცდები:
სიყვარული, სევდა, სიშორე და დავიჯერე,
რომ ჩემი ძალა იყო მოგონებაში და არა სინამდვილის
ღრმა წვდომაში,
ან ანალიტიკურ აზროვნებაში.
თავად სიტყვებიც: სინამდვილე, ღრმა, ანალიტიკური,
აზროვნება
გაცილებით ყალბად ჟღერდნენ, ვიდრე სიტყვები:
სიყვარული, სევდა, სოშორე.
ასეთი ხედვის პატრონს აღარ უნდა გქონდეს იმედი,
რომ იცხოვრებ მარტივად და ხალხმრავლობაში
და თუ გაქვს სახლი, გიწევს ცოლი, ზრუნავ შვილებზე,
ბედნიერი ხარ!
მაგრამ ვინ დაკმაყოფილებულა სახლით, ცოლთან
წოლით, შვილების ღზრდით?
ადამიანი სურვილებშია გაუმაძღარი,
იყავი ჩემთან, ვისაუბროთ ჩვენს სურვილებზე,
ავუსრულოთ, ან დავავიწყოთ ერთმანეთს ისინი,
ნუ გეშინია, უსურვილო ცხოვრება არ ნიშნავს
სიკვდილს,
ცოცხალ-მკვდრები კი ისედაც ვართ.
ნუ გეშინია, ცოცხალ-მკვდრები ისედაც ვართ,
ავუსრულოთ, ან დავავიწყოთ ერთმანეთს სურვილები.

8.

გაღვიძება სახლში და გაღვიძება სტუმრად ორივე
გაღვიძებაა,
სხვადასხვანაირი;
სახლში თამამად ვიღვიძებთ, სტუმრად კი ფრთხილად,
ძალიან გვინდა არ შევაწუხოთ სახლის პატრონი ჩვენი
გაღვიძებით,
მითუფრო ჩვენი არსებობით,
არსებობა გულისხმობს ჭამას,
გაღვიძების შემდეგ ძირითადად მსუბუქად ჭამენ.
ვიღვიძებ, ისეთი განცდით, რომ სტუმრადა ვარ,
ფრთხილად ვიღვიძებ და ველოდები,
წუთიწუთზე წამომადგება სახლის პატრონი და საუზმეს
შემომთავაზებს, ვემზადები უარის სათქმელად,
თან მახსენდება, რომ სახლში ვარ და
ჩემს თავს თავადვე უნდა გავუმასპინძლდე,
საჭმელი არ მაქვს, გარეთ გავდივარ.
ზამთარია, ფრინველები ტრადიციულად
გადაფრინდნენ თბილ ბუდეებში, ბელურას არასოდეს
ვთვლიდი ფრინველად,
მაგრამ მიუხედავად ჩემი ასეთი შეხედულებისა,
არცერთ ბელურას არ გადაუფიქრებია ფრენა,
რაც კიდევ ერთხელ მიდასტურებს ჩემს
შეზღუდულობას.
ყველა აზრით, განცდით შეზღუდული ვარ,
ვერცერთ ბელურას ვერ გადავაფიქრებინე ფრენა,
აღარაფერს ვამბობ დიდ საქმეებზე,
არცერთი არ გამომივიდა,
რეალურად ხომ ბელურები არასოდეს არ მაღელვებდა.
დილამ იცის ასე;
მიდებ-მოდება, დაინტერესება უინტერესო საგნებით,
საქმით,

სანამ ძილის დროს სადღაც წასული შენი ცხოვრება არ დაბრუნდება
და არ დაგიმორჩილებს.
ჩაი ცხელია, პური თბილი, გარეთ ცივა და ჩემი ცხოვრება უკვე ჩემშია. ბელურები სწრაფად ეძლევიან დავიწყებას.

9.

ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი სწრაფად ცვდებოდა;
ყველა გრძნობა, ყველა სიტყვა, ყველა შეხება.
დღეს ყველაფერი უკვე შორსაა;
ჩვენი გაცნობა, ჩემი და შენი შვილის გაცნობაც,
რომელიც შემდეგ ჩემი შვილიც გახდა,
მაგრამ ცუდ დღეებში, როცა ვჩხუბობდით, მაინც შენ
შვილად იხსენიებდი,
დღეს ყველაფერი უკვე შორსაა,
ყველა შვილი ადგას თავის გზას,
ყველა ჩხუბი დავიწყებულია,
ახალი შვილი ველარ გვეყოლება,
ახალ ჩხუბს აზრი არ აქვს,
ყველამ დაგვტოვა სიყვარულის და დროის გარდა.
ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი მალე ცვდებოდა,
ყველა გრძნობა, ყველა სიტყვა, ყველა შეხვედრა,
შენ არ გაცვდი და ახლა, როდესაც
ჩემს ცხოვრებაში მხოლოდ ორი დრო არსებობს
“შენთან ერთად” და “უშენოდ”,
ვზივარ ჩვენს ბაღში, რომლიც ქონაზეც ვოცნებობდით
მთელი ცხოვრება
და არ მხიბლავს არცერთი ხე,
არ მაბრუებს არცერთი ყვავილი,
ვგრძნობ, რომ ვკვდები და
არც ბაღთან, არც წიგნებთან, არავისთან,
მხოლოდ შენთან მიჭირს გამოთხოვება,
მხოლოდ შენი უნახაობა ქვია ჩემ შიშს.
გახსოვს რამდენი გვიმსჯელია სიკვდილის შემდეგ
სიცოცხლეზე?!
ამ მსჯელობაში ყველაზე საშიში ერთმანეთთან
შეუხვედრელობის დაშვება იყო,
აქ, ცხოვრებაში, ჩემს ცხოვრებაში, შენს ცხოვრებაში,
სიკვდილის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში ჩვენი
შეუხვედრელობის დაშვება.

10.

არცერთი ჩემი მეგობარი ომში არ მომკვდარა,
ყველა მათგანი ომის შემდეგ უბედური შემთხვევის
მსხვერპლი გახდა,
მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს,
ახლა ისინი მკვდრები არიან
და მე მათ მხოლოდ სიზმარში ვხედავ,
ეს სიზმარი არის ცივი და ერთფეროვანი;
ისინი დგანან სადღაც ქუჩაში,
უსინათლო მათხოვრები არიან და რაღაცას მთხოვენ,
მე ვაძლევ ხურდას, ქაღალდის ფულს,
მაგრამ ისინი სულ სხვა რაღაცას ითხოვენ ჩემგან.
მე მათ ვცილდები, ვიღვიძებ და თავს ვიმშვიდებ,
რომ ყველაფერი სიზმარი იყო.
ჩემი არცერთი მეგობარი ომში არ მომკვდარა
და არც თავი მოუკლავს არცერთს,
მე არ მიკითხავს როგორ ხედავენ მათ სიზმრებში მათი
ცოლები და შვილები,
ალბათ ჩემგან განსხვავებულად,
ჩვენ ერთმანეთთან არ ვიხდიდით
და მითუმეტეს არც მამაშვილურად გვიყვარდა
ერთმანეთი.
დიდი ხანია არცერთი არ მომიკითხავს,
ცოლები ალბათ კიდევ დაბერდნენ,
ბავშვები კიდევ წამოიზარდნენ.
ჩემი არცერთი მეგობარი ომში არ მომკვდარა,
მაგრამ ამას მნიშვნელობა უკვე აღარ აქვს,
ახლა ისინი მკვდრები არიან და მე მათ მხოლოდ
სიზმარში ვხედავ,
უკანასკნელი წლების მანძილზე ერთმანეთთან
თითქმის აღარ ვლაპარაკობდით,
მე ვწერდი წიგნებს,
ისინი ცხოვრების მოწყობას ცდილობდნენ,
დღეს შეიძლება თამამად ითქვას,
რომ ორივე საქმე ერთნაირად უაზრო იყო.

11.
დაბრუნება ყოველთვის მტკივნეულია,
განსაკუთრებით ნებაყოფლობით,
რადგან სრულად ვერ დაბრუნდები
და რაც დატოვე, ის დაკარგე, ნაწილობრივ მაინც
დაკარგე,
ხოლო ის, რაც არასრულია, ნაკლებადაა საინტერესო,
სწორედ ამიტომ ხშირად ხელს ვუქნევთ ერთმანეთს
და გამუდმებით ვოცნებობთ არარსებულზე
და თუ რამე ჩვენში სრულყოფილია,
ჩათვალე, რომ ერთმანეთს მოვუგონეთ,
ან უბოროტოდ დავაბრალეთ, სხვა არაფერი.

თამარ შაიშმელაშვილი

***

სძინავს მთავარანგელოზს
შროშანების თოვლში.
მთვარე ავგაროზია,
ავნაღრუბლევს მოშლის...
სად მიფრინავს ეს გული,
ცრემლსაბურველს
რომ შლის?

***

მოგეცისმარე ცის ნამით
და მზე თითებით დავწანი,
რომ ნაწვიმარზე შეგეგრძნო
    იდუმალება ამ წამის...
ეს არც უნაღვლო ლექსია,
არც გარინდება ვრცელი ზღვის...
კვლავ მენატრები მთვარეში
ამღერებული ცრემლივით...

***

გამთენიისას,
    მამლისყივილისჟამს
სიზმარში დამიძახა სახლმა...
მსხლის უხსოვარი ფესვებიდან ავანთე მზე და
    გულში ჩავიმშვიდე...
დილის ლოცვას ვინ დაასწრებდა
    დედის ქარმიწიან ხელებს,
ღიღილოიანი ეკლესიის მარიამის ფრესკის ფერს...
ანდა მაყვლის თავსაბურველს
ვინ დაუწყლულებდა ჟამის ნაკაწრებს
სევდაობლად,
    ღრუბლის წეროებში...
როცა სივრცესაც კი გუმბათის ფორმა აქვს
და თვალები მტირალა კლდის მონაჟურია...
...და მოსახილველი მთვარისჩინივით—
ღია აივანზე
    ცისკრისმეჭირისუფლეს
ბებერი ვაზის
    ლერწებსიმშვიდით...
ეძინა მამას!

ქარო, შენს ფიქრად მცან...

უსინათლოა ცა.
ბინდი იმწუხრებს გზებს.
გული გაექცა ქარს,
მესიმარტოვა მზე.
ვეძებ სიცოცხლის ფერს,
საღვთისმშობლოა ცა.
სევდა ლურჯ ნათელს მფენს...
ქარო, შენს ფიქრად მცან...

მზიანი ღამე ვარ

მზიანი ღამე ვარ,
თბილი ცრემლი,
მაყვლის მონაშუქი,
ცას წასული...
შენზე სინანულით
ყველა ფერს შლის
გული ღალატით
    ჩაბასრული...
მაინც გათენებას
შუქს ვწირავ...და
მიყუჩებს ფიქრებს
ცა შორს,
    მშვიდი...
და ვნათობ ახლა
შენს თვალებში
ბაგრატის თაღი —
    ჩამოშლილი...

შავი თოვლი

ცა იანვარშიც არ გვთმობს
ასე მწუხართ და ცოდვილთ...
ვერ გადავასწრებთ ამ დროს,
ჩემი ცრემლია თოვლი.
ცა იანვარშიც მზეს გვთხოვს
დარდ და მუდარამოსილთ...
ჩამოვიღელვებთ ჩვენს დროს—
შავი ღვინოა თოვლი...

უმგულში

რას ჩამჩურჩულებს ამ დილით
მზელამარიას ნისლი?
სიკვდილ-სიცოცხლის სამანზე
ერთი ყვავილი მიცდის...
ვერა და ვერ ამოვხსენი
ზესაიდუმლო იმ ცის...

***

დუმან ნისლები-ბედაურები, ცივია ცრემლი
გულმოცახცახე, მზეს ვკარგავ ბინდში და დიდ სევდაში
ჩასძინებიათ სამშობლოს ქარებს...
განუქარველი მდევს კაეშანი, ვით მოშრიალე ნუშის
სურნელი, სულს სვეტიცხოვლად მოვიშროშანებ და
მზით ჩამოვშლი ბედმშვენ
    სურვილებს..
დასერილია ელვით ღრუბლები, მოვნაღვლიანობ,
მდინარის ღელვა თბილ ღელეების ნამღერით მავსებს
და შეფითრება მობინდავთ
    ნაძვებს..
იძილისშორებს ჩემი სამშობლო და დიდ სევდაში სულს
ცისკრად გაშლის...მზეს შევთხოვ შორეთს, ჩუმი
შრიალით ცას უხილავი
    სარკმელით ვაღებ!

***

მთელი ცხოვრება
ასე მეგონა,
სულს ვარსკვლავებად
ვანაწილებდი...
და სიყვარულო,
ლამაზ შენდობად
მე შუქგცრემლობდი,
განა წვიმები?

სიცოცხლის ხე

ჩემი სამშობლო
სიცოცხლის ხეა,
უდაბნოშიო დარჩენილი
საქსაულივით-
დასაბამიდან ღვთის თვალებს
რომ ქსოვს...

***

უშენოდ ველარ ვიარე,
გული ტკივილმა დაფლითა...
გამიუცხოვდნენ ნაძვები
შემოჯარულნი ნაღვლითა...
ხან ცა ვიყავი, ხან მთვარე,
ნათელი, ობოლმდინარე,
უშენოდ ბედის შროშანი
წმინდა მარიამს მივანდე.
შენს მონატრებას ვაცოცხლებ
და წამს, დარდებს რომ მიქარვებს..
ვარ სიყვარულის
    ცაკლდეზე
ცრემლივით ჩამომდინარე...

ვერ გაგაოცე...

ვერ გაგაოცე ამ გაზაფხულზე,
შავღრუბელივით ვარ მოტირიფე
და სააპრილო ჩემი მუდარა
ხელისგულებზე ამოგიტვიფრე...
ციხის ნაშალზე ინაღვლებს ია —
გადარჩენილი დროჟამის ხავილს...
ვინ დაუბედა ღვთისმშობლის სევდა
სამაჩაბლოში ალუბლის ყვავილს?

დასაწყისი პირველ გვერდზე

რეზო ჭეიშვილი

ახალი „კურუ“

თოლია. ქალაქში თოლიები არ დაფრინავენ. „თოლია“ რესტორანია (იყო), კორტოხზე. დილა სისხამი, დღე-უქმე. არყისფრად რომ ინათა, სოსო გამოვიდა სახლიდან, შეუხვია ცარიელ „თოლიაში“, დაფიქრდა. შუშის კედლიდან ქალაქის გული გამოჩნდა. ბულვარი კოლონადებით, მოედანი, მეფე დავით |V, თეატრი, მეწამული ცის კიდეც არქიელის გორას იქით. აბუზული მოქალაქენიც გაილანდნენ, ყვითელი ტროლეიბუსიც ჩამოდგა და მაინც ცა, ცის კიდე. სოსო ხედავს, უყურებს... შალიკოს არ ცალია, დახლქვეშ აქვს თავი შერგული, ალაგებს, რაღაცას აფხოკიალებს. სოსო თავად ხსნის ბორჯომის ბოთლს, აბუშტუკებულ წყალს სვამს, მაღალი, ფერადი ჭიქით, ამოძრავებულ მოედანს გასცქერის ორ ფერში. ზოიას, მიმტანი გახლავთ, დაორთქლილ ცივ ბორჯომის ბოთლს შემოწყობილი პატარა ჭიქები მოაქვს რაწკარუწკით. მოდის თავაწეული, მაღალ წელზე თეთრწინსაფარ შემოსარტყლული.

- მოიცა, სად მივა ეს ქალი, შალიკო?..

- მამაჩემის მამასთან!.. - დახლქვეშაა ჩაკუზული, არც კი ჩანს.

- ზოია, ე, უ! სად მიგაქვს ბორჯომი?!

- სოსო, რა გული გამიხეთქე, კუპეში შევდივარ...

- კუპეში რა გინდა, ვინაა შიგ?

- ნოგენია, სტუმრები ყავს, სამი კაცი, ერთი არ სვამს...

- აქ ეძინათ? წადი, გამიძეხი, მოგყვები...

- კაი რა, სოსო!..

- მიდი, მოვდივარ!

გაყვა, გაასწრო, შეიხედა.

- არ გამომეცხადა ხახულის ანგელოზივით, - ჩაილაპარაკა ნოგენიმ და ხმამაღლა, სხვის გასაგონად: - სოსო, სალამი, დილამშვიდობის, სადა ხარ აქამდე?.. შემოდი, ნუ გერიდება, სტუმრები ერევნიდან, შემოუშვი მაგ ქალი, მოაქვს დილის ზიარება... დრუზია, იზ არმენიი...

- ოჩენ პრიატნო, შენ წადი, ზოია, ეს არაყი შალიკოს! - ხელი აუკრა ლანგარზე ზოიას.

- კარგი რა, სოსო!

- რას შვები, შე ჩემის ბლანჯო, გადეირია ეს ხალხი!..

- აბა რაა ეს სამი ჭიქა?..

- ეს არ სვამს, მძღოლია და ჩვენ სამნი ვართ...

- მე არ მთვლით, მე რა ჩემი შაბან-ყუმბარა დავლიო!

- ვეტყვი და მოიტანს მეოთხეს...

- ერთი ბოთლი რომ გაგეხსნათ, რა იქნებოდა, უარი გითხრათ შალიკომ?! - წადი ზოია!

- არ გადამაყრევინო, სოსო, ეს ჭიქები, ვა!..

- მოეშვი მაგ ქალს!

- ზოია, ჭიქები სათითოოდ, როგორც დაგარიგე, შალიკოს, ახლა, დამიგდე ყური: გადადი გადაღმა სუპერმარკეტში, ჰოლანდიური ბრენდი აქვს მიღებული თავის ჭიქებით, ეს სასმელი უპატრონო მკვდრებს...

- სოსო, ჩემო კარგო, - მოთმინებით დაიწყო ნოგენიმ, - ერთი არ სვამს, ესენიც გზაზე დგანან...

- სად ეშმაკებში მდიან?!

- თავი შეიკავე!..

- იციან ქართული?

- ქართული იცოდნენ და შენ დღე დაგადგებოდა... ეს ერთი მსოფლიო ამქაჩველია, ყოფილი, ეს მეორე სამგზის ევროპაა კრივში, კრივს იმიტომ ვამბობ, და აქაჩვას იმიზა ვაწვები, რომ არ მიხვდნენ, რაზე ვლაპარაკობთ, კრივი, შენ გაკრივდი და შენ გაგკარი მაინცდამაინც, საიდან დამადექი თავზე ამ გაუთენებელზე.

სოსო ამ დროს ერევნელ სტუმრებს ართმევდა თავაზიანად ხელს:

- სპრიეზდომ, სპრიეზდომ...

- რა სპრიეზდომ, მიდიან შენი კეთილები მოვ-ყან, სპრაზდნიკომ გეთქვა, გერჩია, ნაშ სოსო, ზნამენიტი სოსო ხარაბავიანც...

- ხარაბადზე...

- ნაშ ნოგენი, მასტერ სპორტა, პოკრივო, ბოქსი არ უნდა ვთქვა, ხომ.

- გეყოფა ახლა, მორჩი, ვერ ხვდებიან რა გინდა!..

- გავაგებინებ!.. კაკ პრაჟივაეტ მოი ველიკი დრუგ ვლადიმერ ენგიბარიან? - ამ სახელგვარის გაგონებაზე სტუმრები მართლაც გამოცოცხლდნენ და ჰოლანდიური არაყიც მოვიდა მწვანე ბოთლებზე ჩამოცმული თეთრი ჭიქებით.

- ხუთი ბოთლი რაღად გინდოდა, ოთხი ვართ! - თავზე შემოიდო ცალი ხელი ნოგენიმ.

- იცი ხომ თვლა?

- ვიცი კი, ბიჭო, შე კეთილმონგრეულო, ხუთნი ვართ შენიანად, ეს არა სვამს, ოთხნი ვრჩებით. შენ უნდა გაგიტანოს თეთრ ხიდზე ოთხმა კაცმა ბეჭზეგადებულად, - შინაურულად, ვითომ სხვა თემაზე ლაპარაკობდა, საყვედურობდა თუ ამუნათებდა თავატკივებული ნოგენი სოსოს.

- მერე ოთხნი რომ ვართ, - აყვირდა სოსო ყველასათვის გასაგებ ქართულზე, - რომ შემოგვესწროს მეხუთემ ჩემსავით, იმას რა ჩემის შიმშლა დავალევინო, დამაცადე ახლა, მოვეფერო ამ ხალხს, ჩვენი შეხვედრის, შეყრის და არ გაყრის სადღეგრძელო უნდა შევსვა!.. - ქართულად თქვა, გადათარგმნა დააპირა რუსულად და არაა საჭიროო, ყველაფერი გასაგებიაო, უთხრეს სტუმრებმა და ჭიქები ქართულ-სომხურად დაცალეს.

- ვაცილებ, ბიჭო, ამ ხალხს, ხომ ხედავ, შინაურულად ვარ გამოსული, ფეხზე კონდრები მაცვია! - დახლთან იდგა უკვე ნოგენი, როცა სოსო დანახარჯს ისტუმრებდა.

- გზა არ უნდა დავულოცოთ?.. აცილებკაია, ცარიელი გაცილება ვის ჭირდება!..

ალიონზე რეკავს ტელეფონი, გაბმული ზარია. ყურმილი აიღო ნახევრადმძინარემ.

- სოსო ხარ?

- სოსო ვარ, ნოგენი ხარ, რას კნავი? შენ გადაგიშენდა მოხარბე, ამ გაუთენებელზე რატომ მირეკავ?!.

- გაწუხებ სოსო, შენ შეუწუხდი ყველა შენიანს, ჩემი ბინის ტელეფონი, ეტყობა, გამორთულია, გადადი დედაჩემთან, უთხარი, კარგათაა ნოგენი, არ ინერვიულოთქვა...

- სანერვიულო რა ჭირს, გადავალ, ავდგები, სადა ხარ, შე ჩემი ცოდვით სავსე?

- ერევანში.

- ერევანში? რა გინდა, შე კენთილმონგრეულო, ერევანში?!

- რა მენდომება, შენი დაბადების საათი რომ ვქუნე, ცრანც ბრაწფოხან!..

- სომხურად დაიწყე გინება უკვე, ხო ხარ ჭკუაზე?

- ვარ და მიკვირს, რაფერა ვარ შენი გადამკიდე, რატომ გაუჩნდი ამ ქვეყანას?!.

- მართლა ერევანში ხარ?

- აბა სადა ვარ, მუთნა, ტო... ქორელ ხლინგ ქაქელ... ფოსტლებით დავდივარ პროსპექტზე შენი გადამკიდე, შენი კეთილები და მოყვრები ერთიანად. დამიგდე ყური: გამომამგზავრებენ, საღამოს მანდ ვიქნები, ნახე ნათელა...

- გადავალ, ვნახავ. არადედას შენნაირი შვილი.

- ვრაც...

- ტუ, ტუ, ტუ...

- გამითიშა ამ ჩემისამ...

- არა, ბიჭო, შენ გაგინებინებ თავს... თანაც სომხურად... - მიხვდა, რასაც მიაყოლებდა ტუ, ტუ, ტუს!..

- ნათელა დეიდა!

- სოსო, რა იყო?! - ფანჯარა გამოაღო შეშფოთებულმა ქალმა...

- ტელეფონი არ მუშაობს?

- გათიშულია, სოსო, რა იყო, ნოგენი სადაა?

- მოვა მალე, არ შეეშინდესო...

- სადა ვარო.

- ზბორებზე წასულა სავარჯიშოდ სომხეთში, ახლა გზაშია...

- გზაშიც ვარჯიშობს, რაღა დროის მაგის ზბორებია და ვარჯიში, მაგ არ მოუკვდა დედამისს... შენ ჭკვიანი ხარ, სოსო.

- მე კი, ეს თავისთავად...

- და მართალი მითხარი...

- მოდის, მოდის, ნათელა დეიდა, ზოგი მიდის, ზოგი მოდის და ბოლოს ყველა წავალთ...

სოსოს ფეხები წყდებოდა უკვე, მოცეკვავე კაცს, ცეკვა ქართულის ერთ-ერთ შესანიშნავ შემსრულებელს, სიარული აღარ შეეძლო: უფულობა, ვალები, უმუშევრობა... ვაჟიშვილის იმქვეყნად უდროოდ გადაბარგებამ, დარდმა და უამინდობამ წააქცია. იწვა. ფიქრობდა. სხვის დაუხმარებლად წამოჯდომასაც ვეღარ ახერხებდა.

ფეხაკრეფით, მოკრივის სიფრთხილით შევიდა ნოგენი ნახევრადბნელ საძინებელში. იგრძნო, თვალი გაახილა და თავს წამომდგარი კაცი იცნო მწოლიარემ.

- შენა ხარ? - სველი, ქვისფერი შუბლი, ქვევით ორფოსოში ჩაწეული შიშველი თვალები ფოსფორულად ანათებდნენ ქვემოდან.

- როგორა ხარ, სოსო?

- მივჩოჩავ ნელნელა ზალისკენ.

- კარგად ხარ, კაცო, მშვენივრად გამოიყურები.

- ისე, შენი კეთილები... - აღარ დაამთავრა, ღიმილმა გადაუციალა სახეზე და ჩაქრა, კაცი მთვლემარებაში დაიძირა კვლავ...

- ...მე ამ ცხოვრების დედა ვატირე, - დაუფარავად, რამდენადმე დემონსტრატიულადაც კი იწმენდდა ცრემლებს და იგინებოდა გარეთ გამოსული ნოგენი კიბესთან, ბაღისკიდის ბიჭების თვალწინ, - ესაა ჩვენი სიცოცხლე?!.

- როგორ არი? - იკითხა ერთმა შიშით.

- მიჩოჩავს ზალისკენ!

რა თქვა, რას შვრებაო, ეკითხებოდნენ ერთმანეთს...

სოსო მერე იწვა ზალაში გულზე ძვლადქცეულ თითებდამწყვდეული, ქვისფერი, ცივი სახით...

- სოსო მოკვდა?

- აბა, ბიჭო, მომკვდარა...

თითქმის მთელმა ქალაქმა შემოუარა სასახლეს ზალაში. ახალი იანვრის დაბურულ დღეს დავკრძალეთ. ოჯახს არ შეეძლო, სხვამ დიდი სუფრის გაშლა ვერ იტვირთა და ჯგუფ-ჯგუფად დავიშალენით, ქალაქის ყველა საქეიფო წერტილებში საქელეხო მაგიდები იყო გაშლილი და პატარ-პატარა თამადები უძღვებოდნენ პატარა სუფრებს...

სოსო აღარ იყო...

დღე იდგა უსახური, უჟამო ჟამიერი...

მწერლის რჩეული

ზაალ სამადაშვილი

საყმაწვილო ბიბლიოთეკა

წასაკითხი წიგნების სამი მოკლე სია სამი წინასიტყვაობით კოლეგების დაჟინებული თხოვნით ორიათას ექვსი წლის გაზაფხულზე დავწერე. მაშინ სკოლაში ვმუშაობდი და ეს მცირედი შრომა ჩემი მოსწავლეებისთვის, ორმოცდამეცამეტე სკოლის გოგობიჭებისთვის გავწიე. ორად გაკეცილ ფერად ფურცლებზე გადაქსეროქსებულ ხელნაწერებს ამას წინათ გადავაწყდი, სამუშაო ოთახის მოწესრიგების დროს. ვიფიქრე, იქნებ, სხვა ბავშვებისთვის და მათი მშობლებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს-მეთქი თითქმის ოთხი წლის წინანდელი გარჯა და გადავწყვიტე, გამომექვეყნებინა ეს ფურცლები.

ჩემო პატარებო!

წიგნები, რომლების წაკითხვასაც გირჩევთ, ასეულ ათასობით და მილიონობით ბავშვის ხელშია გამოვლილი. მათ ფურცლებს თქვენსავით ხალისიანი და ცნობისმოყვარე გოგონებისა და ბიჭუნების დაკვირვებული მზერა ახსოვთ. ეს წიგნები ძალიან ჭკვიანი და კეთილი ადამიანების მიერ არის დაწერილი, ისეთი ადამიანების მიერ, რომლებსაც არასოდეს დავიწყებიათ, მოხუცებულობაშიც კი, თავად როგორები იყვნენ ოდესღაც, ბავშვობაში.

***

იაკობ გოგებაშვილის “საგანძური”

რევაზ ინანიშვილის “შორი, თეთრი მწვერვალი”

ალან ალექსანდრ მილნის “ვინი პუჰი”

ერიხ რასპეს “მიუნჰაუზენის თავგადასავალი”

ალექსეი ტოლსტოის “ბურატინოს თავგადასავალი”

ასტრიდ ლინდგრენის “პეპი — გრძელი წინდა”

ჯანი როდარის “ჩიპოლონოს თავგადასავალი”

პამელა ტრავერსის “მერი პოპინსი”

ჰანს ქრისტიან ანდერსენის “ზღაპრები”

რედიარდ კიპლინგის “მაუგლი”

ანე-მარია ვესტლეს “დედა, მამა, რვა ბავშვი და საბარგო მანქანა”

სელმა ლაგერლოფის “ნილსისა და გარეული ბატების საოცარი მოგზაურობა”

ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები.

ჩემო გოგონებო და ბიჭუნებო!

თქვენთვის წასაკითხად შემოთავაზებული წიგნების გმირებისთვის, ვინ მოთვლის, რამდენ ადამიანს, თქვენხელას და თქვენზე უფროსს მიუბაძავს. და თუ იცით, რატომ? ალბათ იმიტომ, რომ თითქმის წარმოუდგენელია, თერთმეტ-თორმეტი, ან ცამეტ-თოთხმეტი წლისა გახდე და მარკ ტვენის ან ჯეკ ლონდონის წაკითხვის შემდეგ არ მოგინდეს ისეთივე გამჭრიახი, შეუპოვარი და მამაცი იყო, როგორიც სმოკ ბელოუ და ჰეკლბერი ფინია და არ ინატრო მათთან ერთად მსოფლიოს ყველაზე დიდი მდინარისა და ყინულოვანი ჩრდილოეთის დალაშქვრა.

***

ჟიულ ვერნის “კაპიტან გრანტის შვილები”

ლუი-ანრი ბუსენარის “ჩხუბისთავი კაპიტანი”

მარკ ტვენის “ტომ სოიერის თავგადასავალი” და “ჰეკლბერი ფინის თავგადასავალი”

ჯონათან სვიფტის “გულივერის მოგზაურობა”

ართურ კონან დოილის “ჩანაწერები შერლოკ ჰოლმსზე”

უოლტერ სკოტის “აივენჰო”

ალექსანდრ დიუმას “სამი მუშკეტერი”

რობერტ ლუის სტივენსონის “განძთა კუნძული”

ჯეკ ლონდონის “სმოკ ბელოუ”

დანიელ დეფოს “რობინზონ კრუზო”

ჩარლზ დიკენსის “ოლივერ ტვისტის თავგადასავლები”

იაროსლავ ჰაშეკის “გულადი ჯარისკაცი შვეიკის თავგადასავალი”.

ჩემო დიდო გოგონებო და დიდო ბიჭებო!

მერწმუნეთ, ცხოვრება სხვა მრავალი რამის ძიებასთან ერთად — მეგობრების ძიებაც გახლავთ. ადამიანები მთელი ძალღონით ვცდილობთ, ღირსეული მეგობრობა გავუწიოთ ერთმანეთს, განსაცდელი შევუმსუბუქოთ და სიხარული გავუზიაროთ მათ, ვისთანაც სულიერი სიახლოვე გვაკავშირებს. თქვენ წარმოიდგინეთ, ადამიანებზე უკეთესი თუ არა, არანაკლები მეგობრობა შეუძლიათ წიგნებს, მათ შორის იმ თერთმეტსაც, რომელთა წაკითხვასაც გირჩევთ. დამიჯერეთ, მეც და ბევრ სხვასაც, დონ კიხოტი, ანდრეი ბალკონსკი, ჟან ვალჟანი და ჰოლდენ კოლფილდი — სერვანტესის, ტოლსტოის, ჰიუგოსა და სელინჯერის შექმნილი პერსონაჟები — არაერთხელ დაგვხმარებიან გაჭირვების ჟამს, მაშინ, როცა სხვაგან ვერსად ვერ გვიპოვნია, ვერავისგან ვერ მოგვისმენია პასუხები ამა თუ

იმ მომენტისათვის უმნიშვნელოვანეს და ურთულეს კითხვებზე.

***

პლუტარქეს “პარალელური ბიოგრაფიები”

სერვანტესის “დონ კიხოტი”

ჰერმან მელვილის “მობი დიკი”

ლევ ტოლსტოის “ომი და მშვიდობა”

ვიქტორ ჰიუგოს “საბრალონი”

ერნესტ ჰემინგუეის “მშვიდობით, იარაღო”

გაბრიელ გარსია მარკესის “მარტოობის ასი წელი”

ჯერომ სელინჯერის “თამაში ჭვავის ყანაში”

მიხაილ ბულგაკოვის “ოსტატი და მარგარიტა”

ვინსენტ ვან გოგის წერილები

ქართული ხალხური პოეზია.



გიზო ჭელიძე

პავლე ინგოროყვას მონუმენტური სახება

ხელთ გვიჭირავს როსტომ ჩხეიძის თითქმის ექვსასგვერდიანი წიგნი — „ბედი პავლე ინგოროყვასი“. სათაურს ქვემოთ წიგნს მიწერილი აქვს — „ბიოგრაფიული რომანი“, რაც გვაუწყებს, რომ საქმე გვაქვს ორ მთავარ ჟანრობრივ განზომილებასთან: რომანთან, ანუ მხატვრულ თხზულებასთან — ეპოსთან და მეორეც — ბიოგრაფიულ ანუ დოკუმენტებზე აგებულ ნაშრომთან. ე.ი. „ბედი პავლე ინგოროყვასი“ არის არა მხოლოდ მხატვრულ-ლიტერატურული მოვლენა, არამედ საყურადღებო მეცნიერული ფასეულობაც — მონოგრაფია.

რა ნიშნის მიხედვით ეწოდება წიგნს რომანი?

რომანს, ჩვეულებრივ, განაპირობებს ფართო თხრობითი პლანი, რთული სიუჟეტური, ზოგჯერ უსიუჟეტო, განფენილობა მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური თუ ინდივიდუალური კონფლიქტებით. დასახელებული თხზულება ამ მხრივ ტიპიურია.

ვინ იყო პავლე ინგოროყვა?

ფართო საზოგადოებრიობამ, უპირატესად შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, კარგად უწყოდა ეს სახელი და გვარი, მისი, როგორც მკვლევრის, მწერლის, ფილოლოგ-ისტორიკოსის წონა და ფასი, მაგრამ ნაკლებად წარმოიდგენდა მასზე ამოდენა მხატვრულ-მეცნიერული ეპოპეის შექმნა თუ მოხერხდებოდა. არადა, წაიკითხავ წიგნს და, ნათელი ხდება, მართლაც, რაოდენ საშურ პრობლემას ჩასჭიდებია ავტორი, რა რუდუნებით და შემოქმედებითი ინტუიციით შეურჩევია თემა, რომელსაც აქვს განუხრელი მაგისტრალური ხაზი შემხვედრი პრობლემებით დახუნძლული. მწერლური ნიჭიერებაც ხომ სწორედ თემის შერჩევით იწყება!

რომანის ინვარიანტს (მთავარ სიდიდეს) განაპირობებს ძირითადი კონფლიქტი (კონფლიქტთა წყება), რომელსაც აქვს სოციალუ-პოლიტიკური და ესთეტიკური ხარისხი. მართლაც, პავლე ინგოროყვას მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა სწორედაც კონფლიქტებითაა გაჯერებული: შეუფასებლობა, დაუფასებლობა, შეუცნობლობა, დევნა, ცილიწამება, სახელის შებღალვა! — აი, მთელი ვაკხანალია, რაც მის თავს დატრიალებულა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ამ ჯადოსნური წინააღმდეგობრივი წრიდან იგი, თითქმის, ყოველთვის, გამარჯვებული გამოდიოდა. ჯადოსნური წრე უქმნიდა პიროვნებას (ამ შემთხვევაში პავლე ინგოროყვას) ტრაგედიას, რასაც ხშირად ახლდა ტრაგი-კომიკური გამოვლინებანიც. ეს ყოველივე მწერლური ალღოთი განჭვრიტა და ნოვატორული მხატვრული ხერხებით საცნაური გახადა მკითხველისთვის როსტომ ჩხეიძემ. ავტორი ხშირად ისე განაჯგუფებს ეპიზოდებს, რომ მკითხველის თვალწინ სახიერად გადმოიშლება წინააღმდეგობრივი ძალების სოციალური არსი. გავიხსენოთ მთავარი კონფლიქტური სიტუაცია რომანიდან: პავლე ინგოროყვამ სიღრმისეულად შეისწავლა „ვეფხისტყაოსანი“. პოემაში ამოიკითხა შოთას ბიოგრაფია, დაადგინა პოეტის დაბადების თარიღი (1166 წ.), შექმნა რუსთაველის 800 წლისთავის საიუბილეო-ორგანიზაციული განწყობილება, საიუბილეოდ მოხსენებისათვისაც კი შეემზადა და რა ხდება? — მას დაურიდებლად მთლიანად ჩამოაშორებენ საიუბილეო ზეიმს. იგი, როგორც გადმოგვცემს რომანის ავტორი, „საზეიმო დღეების უბრალო მაყურებელიც არ ყოფილა, რუსთაველის ძეგლის გახსნას დაესწრო მხოლოდ ახალციხეში, ისიც ხალხში ჩაკარგული“. ეს დოკუმენტური სინამდვილე შთამბეჭდავ მხატვრულ სინამდვილედ აქცია მწერალმა და ამით ამაღლებული სოციალურ-პოლიტიკური ჟღერადობა მისცა ტრაგიკულ დეტალს.

თავს ვერ ვიკავებ ორიოდ სიტყვა არ ვთქვა, ასევე ამაზრზენ სახასიათო მეორე ფაქტზე, რომელსაც მასშტაბური ჟღერადობა აქვს რომანში. მწერალმა დოკუმენტურ-კომპოზიციური გააზრებით წარმოაჩინა ორი, დიამეტრულად დაპირისპირებული მხარე: ერთ ნაპირზეა პავლე ინგოროყვა — დაგმობილი მკვლევარი, რომელსაც თურმე, მოქირქილეთა აზრით, „პროზა და პოეზია ვერ გაურჩევია ერთმანეთისაგან. მოძველებული სახელმძღვანელოდან რაღაც გადაუწერია, ისიც მცდარად და იმაზე აუგია ყველაფერი“ — და მეორე მხარე — მწერალთა საკავშირო ყრილობის მაღალი ტრიბუნა!

რა ხდება?

საქართველოს შემოქმედებითი ინტელიგენციის სახელისუფლებო ფრთა და, საერთოდ, საქართველოს ანტიეროვნული თავკაცობა, რომლებიც ყოველნაირად ფეხქვეშ თელავდნენ ინგოროყვას მეცნიერულ ღირსებას, უცებ იძულებული ხდებიან სწორედ ამ „ნაციონალისტს“, „შოვინისტს“, „რეაქციონერს“ მიანდონ და სთხოვონ მწერალთა საკავშირო ყრილობისათვის მოხსენების (პირველი ნაწილის) დაწერა, მოხსენებისა, რომელსაც წინასწარ წაიკითხავს იოსებ სტალინი. გაიმართა ყრილობა. მალაქია ტოროშელიძე შეიმართა ტრიბუნაზე, დარბაზი აღტაცებაში მოიყვანა მის მიერ წაკითხულმა პავლე ინგოროყვას დაწერილმა სიტყვებმა. მოხსენებას მხურვალედ დაუკრა ტაში ქვეყნის პირველმა კაცმა.

„ასე მოულოდნელად დაემთხვა ერთმანეთს სტალინისა და პავლე ინგოროყვას ინტერესები“ — დაასკვნის როსტომ ჩხეიძე.

სტალინი ტაშს უკრავს პავლე ინგოროყვას! — აი, ტიპიური ტრაგიკომედია, მწერლური ოსტატობის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინება რომანში.

მსგავსი სახიერ-სურათოვანი შენაკადები, რომლებიც ავსებენ რომანის მაგისტრალურ ხაზს, ბევრია ნაწარმოებში. თუნდაც სხვა ფაქტი: საქართველოს ელიტარული წარმომადგენლობა (მწერლები, მეცნიერები) დაბეჯითებით მოითხოვენ კენჭი ეყაროს პავლე ინგოროყვას მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევას; მას ასე პასუხობენ: ინგოროყვას არა აქვს ამის იურიდიული უფლება — არ დაუმთავრებია უმაღლესი სასწავლებელი. გესმით? — შთამაგონებლად ჟღერს რომანში ეს დეტალი — ფარატინა ატესტატი ვერ გადასძლია ისეთმა აღმოჩენებმა და მეცნიერულმა სასწაულებმა, როგორიც იყო უძველესი ქართული ჰიმნებისა და მეათე საუკუნის სანოტო შედევრების აჟღერება, „რუსთველიანა“, „მერჩულე“, — მეცნიერების ციხე-სიმაგრე (როგორც იტყოდა გრ. რობაქიძე) და ქართული ფენომენის ამოკითხვა უძველეს ცივილიზაციებში! კომედიაა, ღმერთმანი, კომედია, ტრაგედია რომ არ იყოს! — იკვეთება წიგნის ფოლიანტებში.

როცა რომანში წამოწეულ შემოქმედებით, მეცნიერულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კონფლიქტების ურთიერთგადაჯაჭვაზე ვლაპარაკობთ, ყურადღებას იპყრობს მეორე თავჩენილი გარემოებაც, რომელსაც შეიძლება შინაგანი — ინდივიდუალურ-ბიოლოგიური კონფლიქტი ვუწოდოთ, რომელიც შეერწყმის ხშირად გარეგან კონფლიქტებს, ამძაფრებს მათ და ამით უფრო სურათოვანს ხდის მთავარი პერსონაჟის იერსახეს. მოვიხმოთ ერთ-ერთი: პავლე ინგოროყვას წინაშე დგება დილემა (სულ რაღაც ოცდაორიოდე წლისაა მაშინ პავლე) — ჩაერიოს საქართველოს საზღვრების დადგენა-მოწესრიგების საქმეში, რომ იმპერიულმა ინტერესებმა ვერ შებღალოს ქვეყნის ეროვნული ღირსება. საკითხი წყდება ტრაპიზონის საგანგებო კონფერენციაზე. რაა გამოსავალი? — უნდა სასწრაფოდ ჩააღწიოს ტრაპიზონს რეზო გაბაშვილთან ერთად, მაგრამ როგორ? ეს მგზავრობა მისთვის ხომ სარისკო და საბედისწეროა შერყეული ჯანმრთელობის გამო (ჭლექი, სისხლნარევი ხველება, ბავშვობიდან თანდაყოლილი ნერვების სისუსტე), მაგრამ ეს ხომ ინდივიდუალური, პიროვნული სირთულეებია. როგორ დაუშვებს, რომ პირადი გადაეღობოს წინ ერის ინტერესებს? მას ყოყმანის ნატამალიც არ უჩნდება, დაუფიქრებლად შეცურდება ქარიშხლიან ზღვაში, სასწორზე შეაგდებს სიცოცხლეს. ამ გამბედაობას მოხდენილად შეაფასებს ავტორი აკაკი გაწერელიას მოგვიანებით დაწერილი სიტყვებით: „რამხელა პიროვნება ყოფილა, გეფიცები ახლიდან დავინახე პავლე“. საგულისხმოა, რომ რომანს რეფრენივით გასდევს ამ გამბედაობის მინიშნებანი სხვა თავებში, როგორც ინდივიდუალურ-ბიოლოგიური კონფლიქტის ზნეობრივი გადაძლევის გმირული შტრიხი (ეს ხომ მარტო ზნეობრივი გმირობა სულაც არ იყო). მსგავსი მოვლენები სხვაც ბევრი ამშვენებს რომანს.

რომანი, ჩვეულებრივ, წარმოუდგენელია ქალის სახის, მიჯნურობის გარეშე. ორიგინალური შტრიხებით წარმოაჩენს მწერალი პავლე ინგოროყვას, როგორც ქალით გატაცებულ, სულით ხორცამდე შეყვარებულ ადამიანს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, საამისოდ საოცრად მწირ დოკუმენტურ მასალას ფლობს მწერალი. აქაც შემოქმედებით ნიჭიერებას გააქვს თავისი. მკითხველის ინტერესი ამ მხრივაც ჯეროვნად კმაყოფილდება.

ქეთევან ბაქრაძე! — აი, მთავარი პერსონაჟის სატრფო, შემდგომში — ერთგული, მზრუნველი, მოალერსე მეუღლე-მეგობარი!

ქეთევანი უარზეა. სატრფოს დაყოლიების ორიგინალური შტრიხი ჩაუგდია ხელში მწერალს: პავლე ბათუმიდან საყვარელ ქალს ამანათად უგზავნის მიწას და სწერს: „თავს მოვიკლავ და ეს მიწა შენ დამაყარე გულზეო“. ეს სულაც არ იყო ფუჭი მუქარაო, გვაუწყებს ავტორი. ირ. სონღულაშვილის მოგონებით, მართლაც, დასტურდება, რომ სატრფოს უარით წონასწორობადაკარგულ პავლეს მართლაც უცდია თვითმკვლელობა, რასაც რომანში მისადაგებული აქვს მეტაფორა: „დაიდო გულზე ლულა“.

რომანს არ გააჩნია სიუჟეტი, როგორც ასეთი, მაგრამ, ზემოთ თქმულისა არ იყოს, აქვს მაგისტრალური ხაზი თავისი შენაკადებით, აგრეთვე ერთგვარი წიაღსვლებით, რომელთაც ავტორი საგანგებოდ გამოყოფს და ბელეტრისტულ-ნოველისტური დატვირთვით აწვდის მკითხველს. პირველ ასეთ შენაკადზე ვისაუბრეთ, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ: „სტალინი ტაშს უკრავს პავლეს“. მსგავსი ფაქტები ამაღლებენ რომანის მხატვრულ ხარისხს და უზრდიან წიგნს მეცნიერულ ღირებულებას. აი, ისევ შთამბეჭდავად დახატული სურათი, რომელსაც, ავტორისავე ტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება გამოენახოს სათაური — „ჭიქა წყალი“:

პავლე ინგოროყვამ, აღმოაჩინა რა მეათე საუკუნის ქართული უნიკალური სანოტო ჩანაწერები, გადაწყვიტა შეემოწმებინა — ხომ არ შემოუნახავს XIX-XX საუკუნეების საეკლესიო საგალობლებს ძველქართული საგალობლების კვალი? ეწვია ხელნაწერთა ინსტიტუტს, გასინჯა დოკუმენტები, შესადარებლად აიღო ერთ-ერთი ქორალი — „სასწაულითა“, რომლითაც იხსნებოდა მეათე საუკუნის საგალობელთა კრებული და შეუდარა ოთხმოციანი წლების ჩანაწერს. ჰაუ, განსაცვიფრებელი თანხვედრა! გაოგნდა მეცნიერი და სიხარულით მისუსტებულს ეს აღმოხდა მხოლოდ — ჭიქა წყალი!

კვლევა და რაოდენი ესთეტიკაა აქ! ან კიდევ — მწერლის რაოდენი ოსტატობა!

საინტერესოა რომანში ერთი საგულისხმო მხატვრული ხერხიც.

მთავარი გმირი და ყველა პერსონაჟი, ნამდვილი ადამიანები, ისტორიული პირები არიან. მათი პორტრეტების წარმოჩენისას, რასაკვირველია, ავტორის ფანტაზია იზღუდება, რამეთუ იგი ბიოგრაფოსია და არა თავისუფალი რომანისტი. რომანისტს ყოფნის „ორიოდ ცნობაც დრამატული თხრობის გასაშლელად, ბიოგრაფოსისათვის ეს ორიოდ ცნობა ძალიან უკმარია“, — აცხადებს როსტომ ჩხეიძე. მაგრამ, ავტორის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ იგი მაინც ახერხებს მკითხველს დაუხატოს მგრძნობიარე სურათები. ასე მაგალითად, პავლე ინგოროყვას პორტრეტის სრულსაყოფად როსტომ ჩხეიძე იყენებს არაერთ ცნობას, მოგონებას, ეპისტოლურ ძეგლს, მაგრამ ავტორს მაინც რჩება უკმარისობის გრძნობა და მოულოდნელად მის ცნობიერებაში ამოტივტივდება ალ. ქუთათელის „პირისპირიდან“ სიტყვები: „რა აცოცხლებდა კიდევ ამ გამხდარ, ჭლექიან კაცს — საკვირველი იყო“. ეს სიტყვები ხომ პავლე ინგოროყვას მიესადაგებოდა პირდაპირ. განა პავლე ამ რომანის პერსონაჟია? ჩასდია მწერალმა „პირისპირის“ სიტყვებს, მაგრამ ვერსად მიაგნო პავლეს, სამაგიეროდ მან აღმოაჩინა პავლეს ბიოგრაფიის მქონე უცნობი პერსონაჟი — ჟურნალისტი, ვიღაც ერემო გოდებანიძე. საოცარია! პავლესა და ერემოს, როგორც პერსონაჟების, დაჟინებულმა შეჯერებამ, მწერალს ნათლად დაანახვა მათი იდენტურობა (ხასიათი, გამახვილებული ეროვნული გრძნობა, თავგანწირვის უნარი და, რაც მთავარია, მეტყველების სინტაქსი. არას ვამბობ ჯანმრთელობაზე — ორივეს ხომ ჭლექი ჭამდა).

აშკარად ჩანდა, რომ პავლე იყო სწორედ ერემო გოდებანიძის, ანუ ქუთათელის რომანის ერთ-ერთი გმირის პროტოტიპი და, აი, პარადოქსიც: ერემო გოდებანიძე, თავის მხრივ, იქცა ჩხეიძის რომანის მთავარი გმირის პროტოტიპად. შეიკრა, როგორც იტყვიან, ჯადოსნური შემოქმედებითი წრე, რამაც მწერალს მისცა საშუალება ერემოს სახის გამოყენებით მნიშვნელოვანი ეპიზოდები აღედგინა პავლეს ცხოვრებიდან და სიახლე შეეტანა რომანში.

მომხიბვლელი ორიგინალობა!

რომანის ბევრ აქსესუარზე შეიძლება ლაპარაკი, რომლებიც, ზემოთთქმულთან ერთად, როსტომ ჩხეიძეს წარმოგვიდგენს, როგორც ორიგინალურ და აღიარებულ მწერალ-დოკუმენტალისტს და ასეთივე მეცნიერ-ანალიტიკოსს.

დიახ, მკითხველს ხელთ აქვს დიდი წიგნი!

გამომცემელი

— ქალბატონო მარინა, „ნანინები" ის გამოცემაა, რომლის შინაარსიცა და ვიზუალური მხარეც ორგანულად ერწყმის ერთმანეთს. თანამედროვე გამოცემებში, მაღალმხატვრული დონის ტექსტისა და შთამბეჭდავად მორგებული ვიზუალის ამგვარი ერთობა იშვიათია. თუმცა, თქვენი წიგნები ასეთი სინთეზით გამოირჩევა. „ნანინებში" შესული ლექსები და მასზე თანდართული აუდიოჩანაწერი მკითხველშიცა და მსმენელშიც საოცრად დადებით ემოციას იწვევს. ამავე დროს, იგი, თუ შეიძლება ითქვას, ძალიან „ქართულადაა" გაფორმებული...

— „ნანინები" ჩემი საყვარელი გამოცემაა. ლექსების ავტორი, მარიამ წიკლაური, ძალიან საინტერესო პოეტია. იგი წერს როგორც ბავშვებისთვის, ასევე უფროსებისთვის. წიგნში, რომელიც ახალბედა დედებისთვისაა განკუთვნილი, თორმეტი ნანინა შევიდა. ეს ლექსები დედებმა, ან ბებიებმა ჩვილებს ძილის წინ უნდა უკითხონ და შემდეგ ჩანაწერი მოასმენინონ ხოლმე. წიგნის მხატვრობა ჩემს ძმას, გია ცხადაიას ეკუთვნის. მას თბილისის სასულიერო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული. მოგეხსენებათ, ნანინები სულიერი განწყობის მატარებელი ლექსებია, ამიტომ გიამ, წიგნის გაფორმებისას, გარკვეული რელიგიური ხასიათის ორნამენტებიც გამოიყენა. გამოცემას თან ერთვის, ასევე, დედის ლოცვა. როცა შვილები პატარები მყავდა, მაშინ საბავშვო წიგნის დიდი არჩევანი არ იყო, ამიტომ ვწუხდი, ვფიქრობდი რა წამეკითხა მათთვის. ახლა სურათი შეცვლილია... ვფიქრობ, „ნანინები" კარგი საახალწლო საჩუქარია დედებისთვის და საშუალებას აძლევს მათ, შვილები მცირე ასაკიდანვე ქართულ ეროვნულ საგანძურს აზიარონ.

საერთოდ, ჩვენი გამომცემლობის პრიორიტეტი ბავშვებისთვის, მოზარდებისა და სტუდენტებისთვის ეროვნული საგანძურის მიწოდებაა. ამავე დროს, ვცდილობთ, გამოცემების ვიზუალური



მარინა ცხადაია:

„ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი მკითხველისათვის ეროვნული საგანძურის მიწოდებაა"

ერთი მეგობარი მყავს, მისი შვილი დაახლოებით ორი წლისაა. ცოტა ხნის წინათ, დედა-შვილს გამომცემლობა „პეგასის" ახალგამოცემული წიგნი „ნანინები" აჩუქეს, რომელიც ახალბედა დედებისა და მათი ჩვილებისთვისაა. „ნანინებს" თან ერთვის აუდიო ჩანაწერი, რომელშიც ავტორი მარიამ წიკლაური, კომპოზიტორ ზურაბ მჟავიას არაჩვეულებრივი მელოდიის თანხლებით, ლექსებს კითხულობს. ძილის წინ, „საღილინო" ლექსებს - თბილ ნანინებს, დედა პატარა ელენიკოს ჯერ თვითონ უკითხავს, შემდეგ კი, აუდიო ჩანაწერის საშუალებით ასმენინებს. ჩვილს ძილისპირულივით ჩაესმის ნანინები, მის გარეშე აღარც იძინებს. როგორც კი ოთახში, მშვენიერ მელოდიასთან ერთად, ნანინა გაისმება, „დედა, დედა", — ეხმიანება ელენიკო. ამ მშვენიერი წიგნის მიმართ ბავშვის დამოკიდებულების შესახებ, მეგობარს ჩემთვის არაერთხელ უთქვამს. ამიტომ, როცა გამომცემლობა „პეგასის" დირექტორს, ქალბატონ მარინა ცხადაიას ინტერვიუსთვის ვეწვიე, შემთხვევით ვისარგებლე და ელენიკოს შესახებ ვუამბე, ჩვენი საუბარიც სწორედ „ნანინებით" დაიწყო.

მხარე ევროპული სტანდარტების შესაბამისი იყოს. ბოლო წლებში, საქართველოში, საგამომცემლო საქმე საგრძნობლად განვითარდა, ბევრი საინტერესო წიგნი დაიდო. ჩემი აზრით, უცხოურიდან თარგმნილი საბავშვო წიგნები, მათი მიმზიდველი ვიზუალის მიუხედავად, შინაარსობრივად მდარეა. ტექსტები დასავლური მენტალიტეტის მქონე ბავშვებისთვისაა შექმნილი, მათ კი სხვა ფსიქოლოგია, განსხვავებული აზროვნების სტილი აქვთ. გამომცემლობა „პეგასი" ქართველ ბავშვებს ეროვნულ წიაღში შექმნილ ლიტერატურას სთავაზობს. ჩვენ ძალიან მაღალმხატვრული ტექსტები გვაქვს, როგორც საბავშვო, ისე უფროსებისთვის. ვცდილობთ გამოცემები შთამბეჭდავად გავაფორმოთ და მკითხველს ასე მივაწოდოთ.

— გამომცემლობა „პეგასი" 2006 წელს დაფუძნდა. ამ ხნის განმავლობაში, ორ ათეულზე მეტი წიგნი გამოეცით, ისინი სხვადასხვა მიმართულებასა და ჟანრს განეკუთვნებიან. მინდა თქვენი პირველი ლიტერატურული სერიის „ილუსტრირებული ბიოგრაფიის" შესახებ მესაუბროთ...

— საგამომცემლო საქმიანობა მართლაც ამ სერიით დავიწყეთ. „ილუსტრირებული ბიოგრაფიის" პირველი წიგნი აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძე" იყო. ამ ნაწარმოებს მკითხველი კარგად იცნობს, პირველად იგი გამომცემლობა „ნაკადულმა" 1984 წელს დაბეჭდა. წინა გამოცემებისგან განსხვავებით, „პეგასის" „ილია ჭავჭავაძე" უხვადაა ილუსტრირებული, ტექსტს უნიკალური ფოტოები ერთვის. წიგნის რედაქტორი და გამომცემელია ლაშა ბაქრაძე, მანვე მოიძია ეს იშვიათი საარქივო ფოტო-მასალა. ვფიქრობ, ამ წიგნის გამოცემა ჩვენთვის კარგი დასაწყისი იყო.

„ილუსტრირებული ბიოგრაფიების" მეორე წიგნი მალევე გამოვიდა. ეს გახლდათ სტენდალის მიერ შექმნილი ლიტერატურული ჩანახატი „ლეონარდო და ვინჩი". წიგნში მარტივი და პოპულარული ენითაა მოთხრობილი დიდი ხელოვანის ცხოვრება და ის ამბები, ცნობილი ნაწარმოებების შექმნას რომ უკავშირდება. ვფიქრობ, სტენდალის თვალით დანახული და ვინჩი ძალიან საინტერესოა. ფერად ილუსტრაციებად თვით ამ დიდი მხატვრის ნამუშევრები გამოვიყენეთ. ამან თითქოს უფრო შეკრა გამოცემა, თავისებური სახე მისცა.

მესამე წიგნი „ზიგმუნდ ფროიდი" გახლავთ. მისი ავტორია გერმანელი ჰანსმარტინ ლომანი. იგი ფროიდის შემოქმედების ანალიზს არ გვთავაზობს, არამედ მისი ცხოვრებისა და ზოგადად, საქმიანობის შესახებ მოგვითხრობს.

სერიის ახალი წიგნი გამოსაცემად უკვე მზადდება. მკითხველს, ამჯერად, მიხეილ ჯავახიშვილზე მოვუყვებით. სერია გაგრძელდება. ამ შემთხვევაშიც, გამომცემლობის ძირითადი ორიენტირი ახალგაზრდობაა;მსოფლიოს ცნობილ ადამიანებზე მათ რაც შეიძლება მეტი უნდა იცოდნენ.

— მემუარული ლიტერატურა თქვენი გამომცემლობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს. ძალიან საინტერესი პროექტი იყო ცნობილი ქალბატონის, ბაბო დადიანის ჩანაწერების შეკრება-გამოცემა...

— მოგეხსენებათ, ბაბო დადიანმა მეტად რთული ცხოვრება განვლო. შვილებთან ერთად, იგი ხუთჯერ იყო გადასახლებული. მისმა ქალიშვილმა, დედის გარდაცვალების შემდეგ, მიაგნო ჩანაწერებს, რომელშიც ბაბო დადიანი თავისი ცხოვრებისა და განცდების შესახებ ყვება. ნიჭიერმა ლიტერატორმა ნინო ხოფერიამ მასალას თავი მოუყარა და გამოსაცემად მოამზადა. „დღიურების" მიმართ ინტერესს ისიც ზრდის, რომ წიგნში ქალბატონი ბაბოს ფოტო-არქივიცაა შესული. საუბარია დაახლოებით რვაას უნიკალურ ფოტოზე, რომელზეც ქართველი არისტოკრატიაა გამოსახული. ბაბო დადიანისთვის ძალიან ძვირფასი იყო ეს ფოტოები, გადასახლებებშიც მალულად თან დაქონდა და შეიძლება ითქვას, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, შეინარჩუნა, გადაარჩინა ეს არქივი. „მოგონებათა დღიურს" კომპიუტერული ვერსია ერთვის. „არისტოკრატული საგა" - ასე ეწოდება ჩანაწერს, რომელშიც ბაბო დადიანი თითოეული ფოტოსურათის შესახებ თავად გვიამბობს.

გამოვეცით, ასევე გრიგოლ აბაშიძის მოგონებები. გამოცემა მწერლის ვაჟმა და ქალიშვილმა მოამზადეს. ...თავის დროზე, როცა ბატონი გრიგოლის „ლაშარელა" გამოვიდა, ლიტერატურულ წრეებსა და საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა. მოგეხსენებათ, „ლაშარელაში" საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მძიმე პერიოდი - მეფე ლაშა-გიორგისა და მეფე რუსუდანის მმართველობის ეპოქაა აღწერილი; იმდროინდელი სინამდვილე, სხვადასხვა ისტორიული წყაროს გათვალისწინებით, მხატვრულადაა გადმოცემული. ქვეყნის უბედურების მიზეზი, გარეშე ფაქტორების გარდა, ავტორმა ქართველთა ხასიათში დაინახა და შეეცადა ეთქვა, რომ პრობლემა ხშირად ჩვენშივეა. ამას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. გრიგოლ აბაშიძე მწერალთა კავშირის სხომაზე სიმართლისათვის გააკრიტიკეს, ძალიან ატკინეს გული და სიტყვის თქმის საშუალებაც არ მისცეს. მოგვიანებით, მან საპასუხო წერილი დაწერა. ეს „პასუხი" ჩვენს მიერ გამოცემულ მოგონებების წიგნშია შესული...

— გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელაზე" საუბრისას, „პეგასის" მიერ გამოცემული „წათეს წითელი წაღები" გამახსენდა. ამ პიესის გამო, თავის დროზე, ბატონ ოთარ ჭილაძესაც აუხირდნენ...

— „წათეს წითელ წაღებსაც" თავისი ისტორია აქვს. თეატრის სცენაზე პიესის განხორციელება არაერთხელ სცადეს. აფიშები დაბეჭდილი იყო, ბილეთები – გაყიდული, მაგრამ, როგორც ჩანს, მაშინდელ ხელისუფალს მოეჩვენა, რომ პიესაში ისეთ თემებზე მიანიშნებდნენ, მას რომ არ სიამოვნებდა. სპექტაკლმა საბჭოთა ცენზურა ვერ გაიარა და რეპერტუარიდან მოხსნეს... აღსანიშნავია, რომ ოთარ ჭილაძის პიესები -„წათეს წითელი წაღები" და „ლაბირინთი" - წიგნად პირველად გამოვიდა. ის ჩვენ გამოვეცით.

ბატონი თამაზ ჭილაძის ბოლო რომანიც, „ბრეიგელის მთვარე", „პეგასში" დაიბეჭდა...

— მკითხველის ინტერესი დაიმსახურა, ასევე, სერიამ „წამების გზით", რომელიც ერთგვარი გახსენებაა იმ ქართველებისა, რეპრესიული რეჟიმის სიმწარე რომ გამოსცადეს. მათი ცხ-

ოვრების მაგალითზე საბჭოთა ეპოქის მთელი სიავე ჩანს...

— სერიის - „წამების გზა" – პირველი წიგნი გია ჭუბაბრიას ხელმძღვანელობით გამოიცა. ბატონი გიას დეიდა, ქალბატონი ლიზიკო ქავთარაძე, შეიძლება ითქვას, საბჭოთა დისიდენტებამდელი დისიდენტი იყო, ოცდარვა წელი გულაგში გაატარა. წიგნში ის თავისი ცხოვრების მძიმე წლებზე ყვება და იხსენებს ადამიანებს – მათ შორის არაერთ ცნობილ მოღვაწეს — მასთან ერთად რომ გამოიარეს ის სატანჯველი.

— საგამომცემლო ბაზარზე „პეგასის" წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი, ვფიქრობ, ავტორებისა და ტექსტებისადმი თქვენეული მიდგომა, დამოკიდებულებაა. ლიტერატურის შერჩევისას ყოველთვის სწორ არჩევანს აკეთებთ, მხედველობაში მაქვს პატრიკ ოურჟედნიკის დიდებული სატირა...

— პატრიკ ოურჟედნიკის „ევროპეანა" ჩვენი ახალი წიგნია. პროექტის ავტორი ბატონი ვახტანგ როდონაია გახლავთ. წიგნი მისი ინიციატივით გამოიცა. „ევროპეანა" - XX საუკუნის მოკლე ისტორია - თანამედროვე ჩეხი მწერლის ბრწინვალე სატირას წარმოადგენს. ეს გახლავთ აბსურდისა და ბურლესკის სულისკვეთებით გამსჭვალული ერთგვარი სტილისტური ექსპერიმენტი. წიგნში თავმოყრილია ყველა სისულელე, რაც კი კაცობრიობას გასულ ასწლეულში ჩაუდენია. „ევროპეანაში" XX საუკუნე წარმოგვიდგება როგორც რიტორიკული ფიგურა, როგორც ფიქცია, აბსურდული ლოზუნგების, უაზრო რწმენა-წარმოდგენებისა და სტერეოტიპების დაუნდობელი მიქსი. წიგნი მსოფლიო ბესტსელერი გახლავთ. 2001 წელს, ჩეხეთში ის „წლის წიგნად" აღიარეს. თარგმნილია ოცდაერთ ენაზე. ჩეხურიდან თარგმნა ქალბატონმა გიული ლეჟავამ.

ახლა კიდევ ერთ პროექტზე ვფიქრობთ, გვაინტერესებს ლიტერატურა ქვეყნებისა, რომლებიც ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრები იყვნენ და შემდეგ განვითარებული დასავლეთის სივრცეში გადაინაცვლეს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრები გახდნენ. გვაქვს სურვილი ასეთ ქვეყნებში შექმნი-



ლი ლიტერატურული ნიმუშები ვთარგმნოთ. ეს იქნება ერთგვარი დოკუმენტური პროზა, რომელიც მკითხველს დაანახებს, თუ რა გზა გაიარეს სხვებმა და რა ეტაპების გადალახვა მოუხდათ მათ...

ვცდილობთ, საზოგადოების მაჯისცემას მივუგდოთ ყური. მივაწოდოთ ლიტერატურა, რომელიც მას სჭირდება, აინტერესებს და რაც მნიშვნელოვანია მისთვის. ძირითადად, მაინც ახალგაზრდებზე ვფიქრობთ, მათთვის ვირჯებით. მომავალი თაობა ძალიან მცოდნე, განათლებული უნდა იყოს. ფართო თვალსაწიერი და საერთაშორისო გამოცდილების ფლობა დაეხმარება მათ ეს რთული, გარდამავალი ისტორიული პერიოდი ნაკლებად მტკივნეულად განვლონ.

— ქალბატონო მარინა, რადგან საუბარი უცხოურ ლიტარატურას, თარგმანებს შეეხო, მინდა მხატვრული თვალსაზრისით კიდევ ერთი ძალიან ღირებული წიგნის შესახებ გკითხოთ, მას „დიდება შენდა" ჰქვია და სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი ღვთის სადიდებლების კრებულს წარმოადგენს. წიგნს საუკეთესო თარგმანი გამოარჩევს, იგი ქალბატონი მანანა გიგინეიშვილის მიერაა შესრულებული...

— „დიდება შენდა" მართლაც გამორჩეული გამოცემაა. ქალბატონმა მანანამ ღვთის სადიდებლები ექვსი ენიდან თარგმნა. ეს ფანტასტიკური თარგმანია. მასვე ეკუთვნის წინასიტყვაობა, რომელშიც ჰიმნოგრაფიული დარგის წარმოშობასა და ისტორიაზე მოგვითხრობს, მის მნიშვნელობაზე, არსზე, „გამოუთქმელის გამოთქმის" ოსტატებზე გვესაუბრება. წიგნში სხვადასხვა რელიგიური მიმართულების ავტორთა საგალობლებია წამოდგენილი. ძალიან საინტერესო მასალაა თავმოყრილი. ამდენად, ეს გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის.

— ცნობილია, რომ გქონდათ მცდელობა ქართველი ავტორები უცხო ენაზე გეთარგმნათ...

— ჩვენ გერმანულად ვთარგმნეთ აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძე". გერმანულენოვანი გამოცემა ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე, რომელშიც „პეგასი" ყოველწლიურად მონაწილეობს, გარკვეული რაოდენობით გაიყიდა. თუმცა, სამწუხაროდ, საზღვარგარეთ წიგნის დიდ ტირაჟით რეალიზების საშუალება არ მოგვეცა. მოგეხსენებათ, ეს იოლი არ არის, თუმცა, ამაზე ვმუშაობთ.

— ქალბატონი მარინა, თანამედროვე ქართველი ავტორების ნაწარმოებებს ხშირად ბეჭდავთ?

— 2009 წელს ახალგაზრდა ავტორის, ნინო სადღობელაშვილის რომანი „ორსული" გამოვეცით. საინტერესო ნაწარმოებია, ცხოვრებისეული რომანი გახლავთ. ავტორი საკმაოდ აქტუალურ თემებს ეხება და თანამედროვე ქართველი ქალის განცდებზე მოგვითხრობს.

აქვე, მინდა ვახსენო, ქალბატონ ლიანა ანთელავას ნაწარმოები „დედოფალი", რომელიც „პეგასმა" 2008 წელს გამოსცა. „დედოფალი" საინტერესო კუთხიდან დანახული ისტორიული ამბავია, ესაა წიგნი დიდმოწამე ქეთევანზე. მისი ცხოვრებისა და მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ არაერთი წერილობითი წყარო არსებობს. ავტორმა, სათქმელის უკეთ გადმოსაცემად, ლიტერატურული კინოსცენარის ფორმა აირჩია. წიგნის მხატვრობა ბატონ გია ბუღაძეს ეკუთვნის.

— „პეგასი" ქართულ პოეზიასაც უფრთხილდება.. რამდენადაც ვიცი, ანა კალანდაძის ბოლო კრებული თქვენ გამოეცით...

— გამოცემა პოეტის დაბადების ოთხმოცა წლისთავს მიეძღვნა. მასში, ძირითადად, რელიგიურ თემებზე შექმნილი ლექსები შევიდა. თუმცა, პოეზიის გარდა, ანას წერილებს, სხვადასხვაგვარ ლიტერატურულ ჩანახატებსაც მოვუყარეთ თავი. წიგნმა სხვათა მიერ ანაზე გამოთქმულიც დაიტია. გამოცემის შემდგენელია ქალბატონი თინა კობალაძე.

— ანამ თუ ნახა წიგნი?

— სამწუხაროდ, მხოლოდ სასიგნალო ეგზემპლარის ნახვა მოასწრო...

— ქალბატონო მარინა, თქვენი გამომცემლობა ცნობილი, საინტერესო და ნიჭიერი ადამიანების თავშეყრის ადგილია. დღესაც, სანამ საუბარს დავიწყებდით, ჩემთვის ძალიან ავტორიტეტულ და საყვარელ ლიტერატორს შევხვდი. გარემო, რომელსაც ეს ხალხი ქმნის, უდავოდ თქვენს საგამომცემლო საქმიანობაზეც აისახება. „პეგასში" ღრმა ლიტერატურული იდეები და საინტერესო პროექტები იბადება...

— პროფესიით პედიატრი ვარ. საგამომცემლო საქმეში მეუღლის სურვილისა და რჩევის გათვალისწინებით ჩავები. ის „საქართველოს მაცნეს" ხელმძღვანელობს, სწორედ ამ გამომცემლობის შვილობილია „პეგასი". შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი გამომცემლობის ირგვლივ მართლაც ძალიან საინტერესო ხალხია შეკრებილი. ესენი მწერლები, პოეტები, ლიტერატორები არიან. მათთან ურთიერთობა იმდენად საინტერესოა, რომ ვფიქრობ, ჩემი მხრიდან, ამ საქმის წამოწყება, მიუხედავად ეკონომიკური რისკისა, ნამდვილად ღირდა. ქალბატონი მანანა გიგინეიშვილი, ბატონები თამაზ ჭილაძე, ვახტანგ რო-

დონაია, ზაზა აბზიანიძე და სხვები ჩვენი ხშირი სტუმრები, მეგობრები არიან. ისინი მნიშვნელოვან პროექტებს გვთავაზობენ... გარდა ამისა, მათი დახმარებით ბევრი ნიჭიერი ავტორი გავიცანი. ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედებას, ლიტერატურული პერიოდული გამოცემების მეშვეობით, თვალს თვითონაც ინტენსიურად ვადევნებ. ავტორებს ვუკავშირდები, ზოგიც თვითონ გვაკითხავენ.

— რამდენადაც ვიცი, საბავშვო წიგნების გამოცემა ახლახან დაიწყეთ...

— „საჩუქარი პეგასისაგან" – ეს გახლავთ საბავშვო პროექტი, რომლის განხორციელებაც ცოტა ხნის წინ დავიწყეთ. ჯერ-ჯერობით, სერიის სამი წიგნი გამოვეცით – მარიამ წიკლაურის ლექსების კრებული „ნატვრისთვალო მზისაო", ირმა მალაციძის მოთხრობა „ონავარი ლუკი დროთა ქვეყანაში" და იტალიელი მწერლის, ჯანი როდარის ნაკლებადცნობილი მოთხრობა „გონდოლა აჩრდილი", რომელიც თეა ნიკობაძის მიერ, ქართულად პირველად ითარგმნა. სამივე წიგნი უხვადაა ილუსტრირებული და ვფიქრობ ბავშვებს გაახალისებს.

მინდა განსაკუთრებით გამოვარჩიო ცნობილი მწერლისა და ლიტერატორის, ბატონი ზაზა აბზიანიძის ლექსების კრებული „ბუსუნსულები". წიგნი იუმორითაა გაჯერებული და ბავშვებისა და უფროსებისთვის ერთნაირად საინტერესო და თავშესაქცევია. მნიშვნელოვანი გახ-



ლავთ, რომ ბატონი ზაზა „ბუსუნსულების" ილუსტრაციების ავტორიცაა. ვფიქრობ, წიგნი კარგი საჩუქარია მკითხველისთვის. ამჟამად, ბატონ ზაზასთან ერთად, ახალ პროექტზე ვმუშაობთ.

— წელიწადში დაახლოებით რამდენ წიგნს გამოსცემთ?

— ასე, ათამდე.

— ამ მხრივ, 2009 წელი შედარებით დატვირთული იყო, ასე არ არის?

— დიახ, გასული წელი უფრო ნაყოფიერი იყო. მომავალშიც ბევრი საინტერესო პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული. როგორც გითხარით, „საქართველოს მაცნეს" შვილობილი კომპანია ვართ, საკუთარი პოლიგრაფიული ბაზა გვაქვს, ყველაფერს ჩვენს სტამბაში ვბეჭდავთ და ეს საქმეს საგრძნობლად გვიადვილებს. გარდა ამისა, სრული საგამომცემლო ციკლი - რედაქტირება, ილუსტრაციებისა და დიზაინის შექმნა, კომპიუტერული მომსახურება და ყველა სხვა ეტაპი, რომელიც წიგნმა უნდა „გაიაროს" - ადგილზე ხორციელდება. ამდენად, ხარისხიანი გამოცემის მოსამზადებლად ძალიან კარგი პირობები გვაქვს.

— რა ტირაჟით ბეჭდავთ?

— მაქსიმალური ტირაჟი, ბაზრის გათვალისწინებით, ათასი ეგზამპლარია.

— მყიდველი ბევრი ყავს თქვენს წიგნებს?

— სამწუხაროდ, ვისაც ჩვენი წიგნები აინტერესებს, ვისაც ჭირდება ასეთი ლიტერატურა, მას წიგნის შეძენის საშუალება ნაკლებად აქვს. მოგეხსენებათ, წიგნი იაფი არ ღირს. ხოლო, მატერიალური თვალსაზრისით უკეთეს მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს, ხშირ შემთხვევაში, სხვა ფასეულობები გააჩნიათ. ამდენად, ვერ გეტყვით, ჩვენი გამოცემები კარგად იყიდება-თქო. მიუხედავად ამისა, მაინც ვცდილობთ წიგნი მკითხველამდე მივიტანოთ.

— მკითხველის განსაკუთრებული ინტერესი რომელმა გამოცემამ გამოიწვია?

— განსაკუთრებული მოთხოვნაა სერიაზე „ილუსტრირებული ბიოგრაფია". ძალიან კარგად გაიყიდა, ასევე, ბაბო დადიანის „მოგონებათა დღიური". დიდი ინტერესი გამოიწვია წიგნმა „მსოფლიოს მონარქები", რომლის ავტორი ბატონი გია ჭანტურიაა. იგი საინტერესოდ მოგვითხრობს უკლებლივ ყველა სამეფო დინასტიაზე, რაც დღეს მსოფლიოში არსებობს. წიგნი უნიკალური ფოტო-მასალითაა ილუსტრირებული.

— ალბათ დამეთანხმებით, რომ ქართული წიგნის ხარისხი და ასევე, გამომცემლობებს შორის კონკურენცია საკმაოდ მაღალია...

— ქართული გამოცემის ხარისხი, უკანასკნელ წლებში, საგრძნობლად გაიზარდა. ამას ცნობილმა თანამედროვე ქართულმა გამომცემლობებმა შეუწყო ხელი, მათ შექმნეს კონკურენტუნარიანი გარემო და თამასა საკმაოდ მაღლა ასწიეს. ეს ძალიან კარგია. ჯანსაღი კონკურენციის უპირატესობა იმაშია, რომ გაიძულებს არ შეჩერდე, მუდმივად ახლის ძიებაში იყო და პროცესებს ფეხდაფეხ მიყვე. თუმცა, გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, რომ ქართველ მწერალს დღეს ძალიან უჭირს. მიუხედავად დიდი სურვილისა, გამომცემელი წიგნს დიდი ტირაჟით ვერ ბეჭდავს, ამის საშუალებას მას დღევანდელი სოციალური ფონი, ბაზარი არ აძლევს. თუმცა, ბოლო დროს, სახელმწიფომ საინტერესო პროექტები შემოგვთავაზა. მათი განხორციელება ბევრ პრობლემას გამოასწორებს. ასე რომ, წიგნის განვითარების პროცესი თანდათან წინ მიდის. მუშავდება, ასევე, წიგნის პოპულარიზაციის პროგრამები. ცოტა ხნის წინ, შვედეთიდან ამ პროგრამის სპეციალისტები ჩამოვიდნენ, საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარეს.

როგორც მწერლის, ისე გამომცემლის სტიმულირება, წახალისება აუცილებელია. ბევრი კარგი ავტორი გვყავს. ქართუ-

ლი წიგნის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ლიტერატურული კონკურსები, თბილისში რომ იმართება. თუმცა, სამწუხაროა, რომ ისეთ პოპულარულ და ცნობილ კონკურსს, როგორიც „საბაა", საუკეთესო საბავშვო წიგნის ნომინაცია არ აქვს.

— თქვენი გამომცემლობის ოფისში შემოსვლისას, ჩემი ყურადღება დიდ ფორმატზე ამობეჭდილმა, ჯონ როკფელერის ცნობილმა სიტყვებმა მიიქცია: „წარმატების საიდუმლო იმაშია, რომ ჩვეულებრივი საქმეები არაჩვეულებრივად კარგად აკეთო". „პეგასის" წარმატების ფორმულაც ესაა?

— წარმატების მისაღწევად, მთავარია საქმისადმი დიდი სიყვარული. გარდა ამისა, „პეგასი" ყოველთვის ცდილობს მკითხველს მიაწოდოს არა კომერციულად მომგებიანი, არამედ მხატვრულად მაღალხარისხიანი, კარგი ლიტერატურა. შესაძლოა, ასეთი მიდგომა, ბიზნესის თვალსაზრისით, გამართლებული არცაა, მაგრამ ჩვენ ამ გზით მივდიდვართ – გვინდა ჩვენი წიგნები საზოგადოებაში ზნეობრივი, მორალური ფასეულობების დამკვიდრებას, მიძინებული ეროვნული გრძნობების გამოღვიძებას ემსახურებოდეს. ვცდილობთ, ჩვენი ლიტერატურით, მკითხველს სულიერებასთან მიახლოების საშუალება მივცეთ.

ესაუბრა თამარ ჟურული

ჰაინრიხ ბიოლი



მოცინარი

როცა პროფესიას მეკითხებიან, ვიბნევი ხოლმე: ვწითლდები და ხმა მიკანკალებს; სხვა მხრივ თავდაჯერებულ კაცად მიცნობენ. მშურს იმ ადამიანების, ვისაც შეუძლია თქვას: კალატოზი ვარ, პარიკმახერი... ასევე ბუღალტრებისა და მწერლების, შესაშურია მათი აღიარების უბრალოება, რადგან ყველა ეს პროფესია ერთი სიტყვით აიხსნება და ვრცელ ახსნა-განმარტებებს არ მოითხოვს. მე კი იძულებული ვარ, ამგვარ კითხვებზე ასე ვუპასუხო: მოცინარი ვარ. ხოლო ასეთი აღიარება მოითხოვს შემდგომ კითხვას: ,,ამით ცხოვრობთ?" ჭეშმარიტების შესაბამისად თუ გნებავთ, უნდა მეპასუხა: ,,დიახ"; და მე მართლაც ჩემი სიცილით ვცხოვრობ და კარგადაც, რადგან ჩემი სიცილი არის – კომერციულად რომ ვთქვათ— მოთხოვნადი. კარგი, ნასწავლი მოცინარი ვარ: სხვა არავინ იცინის ისე, როგორც მე, სხვა არავინ ფლობს ხელოვნების ჩემეულ ნიუანსებს. მომაბეზრებელი ახსნა-განმარტებების თავიდან ასაცილებლად, კარგა ხანს თავს მსახიობად ვასაღებდი, მაგრამ ჩემი მიმიკური და სამეტყველო უნარები იმდენად მწირია, რომ ეს განსაზღვრება რეალობისაგან მეტად შეუსაბამოდ გამოიყურება: მე მიყვარს ჭეშმარიტება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მოცინარი ვარ. არც კლოუნი ვარ და არც კომიკოსი, ადამიანებს კი არ ვამხიარულებ, არამედ მხიარულებას წარმოვადგენ: რომის იმპერატორივით ვიცინი, ან ვინმე მგრძნობიარე აბიტურიენტივით, მე-17 საუკუნის სიცილი ისევე მემარჯვება, როგორც მე-19 საუკუნისა. და თუ საჭიროა, ყველა საუკუნის სიცილი შემიძლია; საზოგადოების ყველა კლასის, ყველა ასაკობრივი ჯგუფისა. ეს მე უბრალოდ ისევე ვისწავლე, როგორც სხვები მაგალითად, ფეხსაცმელზე ძირების მიკვრას სწავლობენ. ჩემს მკერდში ამერიკის სიცილი სუფევს, აფრიკის სიცილი, თეთრი, წითელი, ყვითელი სიცილი — და შესაბამისი ჰონორარის საფასურად — ავაჟღერებ ხოლმე იმგვარად, როგორც რეჟისურაშია აღწერილი.

ამ მხრივ შეუცვლელიც კი გავხდი: ფირფიტებზე ვიცინი, ვიცინი ფირზეც და ხმის რეჟისორები დელიკატურად მექცევიან. ვიცინი მძიმედ, მოზომილად, ისტერიულად — ვიცინი, როგორც ტრამვაის ვატმანი ან როგორც მოსწავლე, სასურსათო პროდუქტების სფეროს შეგირდი; სიცილი დილით, სიცილი საღამოს, ღამის სიცილი და გარიჟრაჟის სიცილი, მოკლედ: სადაც ყოველთვის და როგორც ყოველთვის უნდა იცინოდნენ, და ეს ყოველივე ხელმეწიფება.

ალბათ დამიჯერებთ, რომ ასეთი ხელობა დამქანცველია, მითუმეტეს, რომ — ეს ჩემი სპეციალობაა — ვფლობ აგრეთვე გადამდებ სიცილს, ასე გავხდი შეუცვლელი მესამე და მეოთხე რანგის კომიკოსებისათვის, რომლებიც სამართლიანად კანკალებენ თავიანთი ოხუნჯობების გამო, მე კი თითქმის ყოველ საღამოს ვარიეტეში ვზივარ, როგორც გარკვეული სახის კლაკერი (Claquer), სუსტ მხარეებზე გადამდებად საცინრად. ეს უდიდესი სამუშაოა: ჩემი გულწრფელი, ველური სიცილი არც დროზე ადრე, არც დაგვიანებული უნდა იყოს, ის ზუსტ მომენტში უნდა მოხდეს—შემდეგ, პროგრამის შესაბამისად, ხმამაღალი სიცილი უნდა ავტეხო, მსმენელთა მთელი ჯარი ჩემთან ერთად ფრუტუნებს და ეს სიმძაფრე უნდა შევინარჩუნო.

შემდეგ კი დაქანცული გარდეროებისკენ მივიპარები, პალტოს ვიცვამ, ბედნიერი იმით, რომ ბოლოს და ბოლოს დასვენების საღამოა. სახლში უმეტესად შემდეგი შინაარსის დეპეშები მხვდება: ,,სასწრაფოდ გვჭირდება თქვენი სიცილი. მიღება სამშაბათს,"... და რამდენიმე საათის შემდეგ გადაჭედილი მატარებლის ვაგონში ვეკვეხები და საკუთარ ბედზე მოვთქვამ.

ყველა მიხვდება, რომ სამუშაოს შემდეგ ან შვებულებისას სიცილისათვის მაინცდამაინც არ უნდა ვიყო განწყობილი: მწველავს უხარია, რომ ძროხას ივიწყებს, ხოლო კალატოზი—სამშენებლო ბეტონს; დურგალს კი, როგორც წესი, სახლში ყოველთვის მოშლილი კარი ან უჯრები აქვს, რომლებიც ძლივს იღება. კონდიტერს მჟავე კიტრი უყვარს, ყასაბს — მარციპანი და ხაბაზს კი პურს ძეხვი ურჩევნია; ტორეადორებს მტრედების გარემოცვაში ყოფნა მოსწონთ, მოკრივეები ფითრდებიან, როცა მათ შვილებს ცხვირიდან სისხლი მოსდით: მე ეს ყველაფერი კარგად მესმის, რადგან თავად სამუშაო დღის ბოლოს არასოდეს ვიცინი. მე ყველაზე უფრო მკვდარი ადამიანი ვარ და ხალხი პესიმისტად მთვლის – და ალბათ სამართლიანადაც.

ჩვენი ქორწინების პირველ წლებში ცოლი ხშირად მეუბნებოდა: ,,გაიცინე, რა!" მაგრამ თანდათან მისთვის ცხადი გახდა, რომ ამ სურვილის შესრულება არ შემეძლო. მიხარია, რომ ჩემ დაძაბულ სახის კუნთებს და განწყობას ღრმა სერიოზულობით განვმუხტავ ხოლმე. დიახ, სხვისი სიცილიც მაღიზიანებს, რადგან ძალზედ მახსენებს ჩემს პროფესიას. ასე და ამგვარად, ჩვენ ჩუმი, მშვიდი ცოლ-ქმრობა გვაქვს, რადგან ჩემი ცოლიც გადაეჩვია სიცილს: ზოგჯერ ღიმილს ვამჩნევ ხოლმე და მაშინ მეც ვიღიმები. ერთმანეთს ჩუმად ველაპარაკებით, რადგან მძულს ვარიეტეს ხმაური, ხმაური მისაღებ ოთახებში რომაა გამეფებული. ვინც არ მიცნობს, საკუთარ თავში ჩაკეტილ კაცად მთვლის. იქნებ ვარ კიდეც, რადგან პირს ძალიან ხშირად მხოლოდ სიცილისთვის ვაღებ.

უძრავი მიმიკით მივაბიჯებ ცხოვრებაში, დროდადრო თავს მხოლოდ ნაზი ღიმილის უფლებას ვაძლევ და ხშირად იმაზე ვფიქრობ, მართლაც გავიცინე თუ არა, მე მგონი, არა. ჩემი და-ძმა ამბობს, რომ ყოველთვის ყველაფერში პირველი ვიყავი.

ასე და ამგვარად, მრავალნაირად ვიცინი, მაგრამ საკუთარ სიცილს როდი ვიცნობ.

ხიდზე

მათ მე ფეხები შემიკეთეს და პოსტი მომცეს, სადაც შემიძლია დავჯდე: მე ადამიანებს ვითვლი, რომლებიც ახალ ხიდზე გადადიან. მათ ხომ სიამოვნებას ანიჭებთ საკუთარი გულმოდგინება, ყველაფერი

რიცხვებით დაამოწმონ, ისინი ხომ ამ უაზრო ციფრების არარაობით ტკბებიან. და მთელი დღის განმავლობაში ჩემი მუნჯი პირით საათის მექანიზმივით ნომრიდან ნომრამდე ვაგროვებ, რათა მათ საღამოს ერთი რიცხვის ტრიუმფი ვაჩუქო.

სახეები უბრწყინავთ, როცა ჩემი ცვლის შედეგს ვუზიარებ, რაც უფრო დიდია რიცხვი, მით უფრო ბრწყინავენ ისინი და სრული საფუძველი აქვთ, კმაყოფილმა დაიძინონ, რადგან ყოველი დღე მრავალი ათასი ადამიანი გადადის ამ ახალ ხიდზე...

მაგრამ მათი სტატისტიკა არ არის სწორი. ვწუხვარ, მაგრამ არ არის სწორი. მე არასაიმედო ადამიანი ვარ, თუმცა კეთილგანწყობის შთაბეჭდილების გამოწვევა შემიძლია.

ზოგჯერ ჩუმ-ჩუმად ერთი ფეხის შემოკეცვაც კი მახარებს და ყოველ ჯერზე, როცა კი თანაგრძნობას განვიცდი, ცოტაოდენს მათაც ვუზიარებ. მათი ბედი ჩემს ხელთაა. როცა გაბრაზებული ვარ, როცა მოსაწევი არა მაქვს, ვანიშნებ ნახევარს, ზოგჯერ უფრო ნაკლებსაც და როცა სიხარულით გული ამიჩქარდება, ჩემ დიდსულოვნებას ნებას ვაძლევ შეყოვნდეს რიცხვი ხუთის ადგილას. ისინი ისე ბედნიერები არიან! შედეგს ყოველთვის ოფიციალურად მტაცებენ ხელიდან, თვალები უბრწყინავთ, მხარზე ხელს მირტყამენ. ისინი ხომ ვერაფერს ხვდებიან! შემდეგ იწყებენ გამრავლებას, გაყოფას, პროცენტებში გადაყვანას და რა ვიცი კიდევ რას. დღეს რამდენი ადამიანი გაივლის ყოველ წუთში ამ ახალ ხიდზე, ანდა რამდენი გაივლის ათ წელიწადში. მათ უყვართ მეორე მომავალი დრო (Il Futur), მეორე მომავალი დრო (Il Futur) მათი სპეციალობაა – და მაინც, ვწუხვარ, რომ ეს ყველაფერი არასწორია...

როცა ჩემი პატარა შეყვარებული მოდის ხიდზე — და ის ორჯერ მოდის აქ —, მაშინ უბრალოდ გული მიჩერდება, ჩემი გულის დაუღლელი დუგდუგი უბრალოდ წყდება, ვიდრე იგი ხეივანში არ შეუხვევს და გაუჩინარდება. ყოველივეს, რაც ამ მომენტში ხდება, ვერაფრით გაგიმხელთ. ეს ორი წუთი მე მეკუთვნის, მხოლოდ მე და წართმევის ნებას არავის მივცემ. და მაშინაც, როცა საღამოს თავისი სანაყინედან მოდის, როცა მაღლობის მეორე მხარესაა, რა ემართება ჩემ მუნჯ პირს, რომელმაც უნდა ითვალოს და ითვალოს. ამ დროს ჩემი გული ისევ ითიშება, ხოლო როცა იგი თვალს მიეფარება, ისევ ვიწყებ დათვლას, — და ყველა, ვისაც გაუმართლა და იმ წუთებში ჩემი ბრმა თვალის წინ საზეიმოდ ჩაიარა, საუკუნოდ ვეღარ შევა სტატისტიკაში: კაცი — აჩრდილები და ქალი — აჩრდილები, არარაობა არსებანი, რომლებიც სტატისტიკის მეორე მომავალში (Il Futur) მარშით ვერ ჩაივლიან...

ცხადია, მე ის მიყვარს, მაგრამ მან არ იცის ამის შესახებ და არც მინდა, რომ გაიგოს. ის ვერც უნდა ხვდებოდეს, თუ რა უცნაური სახით აყრის ანგარიშის ქვითრებს მათ მთელ გროვას; ყოველივე ამის გაუაზრებლად და უცოდველად უნდა გამოვიდეს დემონსტრაციულად თავისი გრძელი წაბლისფერი თმებით და ნაზი ფეხებით იმ თავის სანაყინედან, ბევრი ფეხის ქირაც უნდა მიიღოს. მე ის მიყვარს. ეს ხომ სრულიად ნათელია, რომ მე ის მიყვარს.

ახლახან შემამოწმეს. ჩემმა კოლეგა-ამფოსნმა, რომელიც მეორე მხარეს ზის და მანქანების თვლა ევალება, საკმაოდ ადრე გამაფრთხილა და მეც ჯოჯოხეთურად დავძაბე მთელი ყურადღება. შეშლილივით ვითვლიდი, სპიდომეტრიც კი ვერ დათვლიდა უკეთ. თავად უფროსი სტატისტიკოსი იდგა მეორე მხარეს და შემდეგ ერთი საათის შედეგი საათების ჩემ განრიგს შეადარა. მე მხოლოდ ერთით ნაკლები აღმომაჩნდა. ჩემმა პატარა შეყვარებულმა ჩაიარა, და მე ცხოვრებაში ამ მშვენიერ არსებას მეორე მომავალ დროში ხომ არასოდეს გადავაგზავნი. ეს ჩემი პატარა შეყვარებული არ უნდა გამრავლდეს, გაიყოს ან პროცენტულ არაფრად იქცეს. გულში სისხლი ამიჩქროლდა, რადგან მასზე თვალის გაუყოლებლად უნდა დამეთვალა. მეტად მადლობელი ვარ ჩემი ამფსონისა, მეორე მხარეს მანქანებს რომ ითვლის. ჩემი არსებობის მხრივაც, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი კარგად მიდიოდა.

უფროსმა სტატისტიკოსმა მხარზე ხელი დამკრა და მითხრა, რომ კარგი ვარ, საიმედო და ერთგული. ,,საათში ერთის გამოტოვება, – თქვა მან – ბევრს არაფერს წყვეტს. ჩვენ მაინც გარკვეულ პროცენტულ დანამატს მივათვლით. განვაცხადებ, რომ თქვენ ცხენებიან ეტლში გადაგიყვანონ."

ცხენებიანი ეტლი, რა თქმა უნდა, გვარიანი შემოთავაზებაა. ცხენებიანი ეტლი ხომ თავისუფალი დროა, ისე როგორც არასოდეს. ცხენებიანი ეტლი დღეში მაქსიმუმ ოცდახუთია და ყოველ ნახევარ საათში ერთხელ საკუთარ ტვინში მომდევნო ნომრის გამოტოვების ნებას მოგცემს, ეს შეღავათია! ცხენებიანი ეტლი შესანიშნავი იქნებოდა. ოთხიდან რვამდე საერთოდ აკრძალულია ცხენიანი ეტლები ხიდზე და მე შემეძლო გასეირნება ან კიდევ სულაც სანაყინეში წასვლა, სადაც ალბათ ის დიდხანს დამაკვირდებოდა, იქნებ მცირე მანძილზე, ან შინაც წამეყვანა, ეს ჩემი მიუთვლელი სიყვარული...

თარგმნა რუსულიდან ბეჟაშვილმა

რუბენ დარიო - ნიკარაგუელი პოეტი (1867-1916). ესპანურენოვანი ლიტერატურის პირველი მოდერნისტი, „სპილოსძვლის კოშკის“ მომღერალი, მშვენიერი გედების ტრფიალი, სათუთი პრინცესებისა და მარკიზთა ნებიერი ასულების თაყვანისმცემელი, ჰელიოგაბალის ბრწყინვალე სასახლეებისა თუ ვერსალის მოვარაყებული დარბაზების მეხოტბე, სინამდვილეს განრიდებული, ოცნებით ნაგები ზღაპრული სამყაროს ხიზანი, პოეზიის გზაზე ტრიუმფით მავალი, მიწიერ-ნივთიერ სამყაროში ღარიბ-ღატაკი, მრავალგზის ხელმოცარული, იმედგაცრუებული, სულიერად და ფიზიკურად არაერთხელ გატეხილი, ალკოჰოლისგან ნებაგამოცლილი, ქვეყნიდან ქვეყანაში ხეტიალით ილაჯგაწყვეტილი, სილამაზის მაღმერთებელი, თავად უგვანი, ფარჩა-აბრეშუმზე და პორფირზე მეოცნებე, აფიშებით აკრული უღიმღამო მანსარდების ბინადარი; ჩოროტეგას ტომის ინდიელის ფართოყვრიმალებიანი, შავყვითელა, გატანჯული სახის პოეტის ეს ესკიზური პორტრეტი მიახლოებით წარმოდგენას მაინც შეგვიქმნის ესპანურენოვანი ქვეყნებისა და არა მარტო ნიკარაგუას ლიტერატურის სწორუპოვარ წარმომადგენელზე, რომელზეც წერდნენ, თუ არა რუბენ დარიო, მოდერნიზმი შეიძლება მსოფლიო მოვლენა არც გამხდარიყოო.



რუბენ დარიო

ოქროს სიმღერა

ერთ დღეს ვინმე უპოვარი თუ მათხოვარი, ანდა ყარიბი, - ეგებ სულაც პოეტი იყო, შეჩერდა ცადაზიდული ალვების ჩრდილში, ფართო ქუჩაზე, იქ, სადაც სასახლეებია ჩარიგებული, სადაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ონიქსი და პორფირი, აქატი და მარმარილო, სადაც მაღალ სვეტებს, მშვენიერ ფრიზებს და მოვარაყებულ გუმბათებს ჩამავალი მზის გაცრეცილი სხივები ელამუნება.

ფუფუნების ვრცელ პალატებში, ფანჯრებს მიღმა, ლაღი ქალები და მომხიბლავი ბავშვები კეკლუცობენ; გისოსებს მიღმა კი ბაღი გაშლილა, მწვანე ბალახში მიმობნეული ვარდის რტოები ირწევიან ვითარცა რიტმის კანონს აყოლილები. ფართო სალონებში, ალბათ, მეწამული ხალიჩ-ფარდაგები და ოქრომკედი ბზინავს; თეთრი ქანდაკება, ჩინური ბრინჯაო, ვეება იაპონური ლარნაკი ლურჯი მდელოებითა და ბრინჯის ყანებით მოხატული; კაბის კალთასავით აკეცილი, მდიდრულად მოქარგული აბრეშუმის განიერ ფარდას აღმოსავლური ოხრა ასხივოსნებს; ვენეციური სარკეები, პალისანდრები, კედრები, სადაფი და ებანოზი; შავი, თავახდილი როიალი თითქოს იცინის თავისი თეთრი მიჯრილი კბილებით — კლავიშებით; ბროლის ჭაღები, აურაცხელი სანთლის ლიცლიცი, ცვილისფერი არისტოკრატულობის ზეიმი! ოჰ! ცოტა მოშორებით ძვირფასი ოქროსვარაყიანი სურათი, თვით დიურასა და მონეს ხელმოწერილი პორტრეტები; თვალწარმტაცი აკვარელები, თითქოს ციდან ჩამოღვენთილი ვარდისფერი რომ გადავლებია საამო ტალღად და შორეთიცა და პაწაწა სუროც ერთნაირად დაუთქორავსო... და ცოტა კიდევ მოშორებით...

* * *

საღამო კვდება.

სასახლის ალაყაფთან ჩერდება ეტლი, ბრწყინვალე და ლაპლაპა. გადმოდის წყვილი და იმგვარი მედიდურობით შეაბიჯებს კარებში, რომ მათხოვარს უნებურად აზრი გაჰკრავს: ეჭვი არ არის, არწივის მართვე თავის დედალთან ერთად ბუდისაკენ მიეშურება. ცხენს მათრახი აუწვავს ზურგს და ეტლიც დაიძრება. ქვები ალაპლაპდება მის კვალად. ღამე.)

და მეყსეულად დაძონძილი ქუდით შემოსილ თავში აზრი ისე აღმოცენდება, ვითარცა რამ მცენარე, გულს გაივლის და ჰიმნად მიაწყდება ბაგეს, ენას აუთრთოლებს, კბილებს აუღრჭიალებს. ესაა ხილვა ყოველი მათხოვარისა, ყოველი თვითმკვლელისა, ლოთისა, უპოვარ-უქონელისა, სულდაწყლულებულისა, მათი, ვინც ცხოვრობს, - ღმერთო მაღალო! - ვინც ცხოვრობს მუდმივ ღამეში, დაბორიალებს წყვდიადში, ვარდება უფსკრულში, რამეთუ გამხმარი პურის ნატეხიც კი არ მოეპოვება კუჭის დასაყუჩებლად, და მერე... ბრბო ბედნიერთა, გალაღებულთა, ფაფუკი სარეცელი, ტრიუფელი, ოქროსფერი, შუშხუნა ღვინო, ატლასი მყარი, ტკრციალით რომ გელამუნება. ოქროსთმიანი საქმრო და გიშრისთმიანი საცოლე, პატიოსანი თვლებით დახუნძლული და მაქმანებში ჩაფლული, - და მერე... ვეება საათი, ბედის ნებიერთა დროის მრიცხველი, ქვიშის ნამცეცების ნაცვლად ოქროს ესკუდოები რომ სცვივა.

პოეტის ამ მინამგვანმა ჩაიქირქილა, - სახეს მისას დანტეს იერი დაჰკრავდა, - ჯიბიდან შავი პურის გამხმარი ნატეხი ამოიღო, მოკბიჩა და თავისი ჰიმნი ქარს გააყოლა... განა არის რაიმე უფრო სასტიკი, ვინემ სიმღერა და ლოღნა ერთად!

ვუმღეროთ ოქროს!

ვუმღეროთ ოქროს, ამა ქვეყნის მბრძანებელს, მუდამ და ყველგან თან რომ დაჰყვება ბედნიერება და სინათლე, ვითარცა მზის ნატეხები!

ვუმღეროთ ოქროს, ჩვენი დედა მიწის ნაყოფიერ მუცელში დავანებულს, აუწონელ განძს, ოქროს რძედ რომ მოედინება ვეება ჯიქნიდან.

ვუმღეროთ ოქროს, უშრეტ მდინარეს სიცოცხლისას, რამეთუ იგი აზიანებს სიჭაბუკეს და სილამაზეს მარადიულს, ყოველს და ყველას, ვინც კი მის ნაკადში განიბანება; მაგრამ ვაი მათ, ვისაც მის შხეფიც არ მოხვედრია, უდროო სიბერისთვის განწირულია იგი!

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგია შემოქმედი მღვდელმთავართა ტიარებისა, მეფეთა გვირგვინებისა თუ იმპერატორთა სკიპტრებისა; მოედინება მძლავრი, ცეცხლოვანი ნიაღვარივით და გადაევლება ეპისკოპოსთა მანტიებს, ააელვარებს საკურთხევლებს და უშურველად უვსებს უკვდავ ღმერთებს დიდ-დიდ ზანდუკებს.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი საფარველია ჩვენი წარწყმედისა, ტავერნების ამაზრზენი ზარ-ზეიმისა, სიძვის სარეცელთა სირცხვილისა!

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ მის დისკზე აღბეჭდილია კეისრის ამაყი პროფილი; რამეთუ იგი პირთამდე ავსებს ტაძრის ზარდახშებს, ხაზინებს, ბანკებს; რამეთუ იგი უხანგრძლივებს სიცოცხლესა და ხორცსაც ჰმატებს წარჩინებულებს.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ მისი წყალობითაა, რომ იქმნება სასახლეები, მდიდრული ეტლები და ძვირფასი სამოსელი, მომხიბლავ ბანოვანთა მკერდის მაშვენი გულქანდები, რამეთუ სწორედ იგია მლიქვნელთ ქედს რომ მოახრევინებს, მუხლს მოადრეკინებს და ბაგეს მათსას მანჭვა-ღიმილით ააცახცახებს.

ვუმღეროთ ოქროს, პურის მარანს!

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი, დიამანტის ბუდედ ქცეული, კიდევ უფრო დაამშვენებს დიდებულ ქალთა ნაზ, ვარდისფერ ყურის ბიბილოს, თვალწარმტაც მკერდზე მიბნეული კი ყურს მიუგდებს მათ გულისძგერას; სიყვარულის ნიშანიც არის და წმინდა ფიცის დასტურიც ხშირად!

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ ხმა მისი საამური მუსიკაა, რაინდთა საცნაურია, ჰომეროსის გმირთა ფარების ლაპლაპია, ღმერთების სანდლების მაშვენია, ჰესპერიდების ბაღის ვაშლების კრიალია.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ მისგანაა ქნართა სიმები, მისით ბრწყინავს უნაზეს შეყვარებულთა თმა, ხორბლის თავთავი და ოლიმპიური ავრორას შესამოსელი.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი დაბრძანდება მთელ დუნიაზე ქაღალდით, ვერცხლით, სპილენძითა და თუთიითაც კი.

ვუმღეროთ ოქროს, სიკვდილთან ყვითელს!

ვუმღეროთ ოქროს, მშივრებისაგან ჭუჭყად შერაცხულს, ქვანახშირის, ამ შავ ოქროდ წოდებულის, ძმას, დიამანტის მშობლისას, მაღაროს მეფისას, სად კაცი იბრძვის და კლდეებს არღვევს; მზის ჩასვლისას უმშვენიერესს, თითქოს სისხლით რომ იღებება, კერპთა სხეულს, ძვირფას ქსოვილს, რომლისგანაც ფიდიასი თვით მინერვას უთხზავდა კაბას.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი აბზინვარებს ცხენის აკაზმულობას, საომარ ეტლებს, ხმლების ვადებს, ბრწყინვალე თავებს და იმავე დროს გვირგვინად ედგმის, დიონისოს ნადიმებში ფიალებს ანთებს და აელვარებს, მნათობთა სხივსაც და შამპანურსაც ერთნაირად რომ აგიზგიზებს გადამდნარი ტოპაზის მსგავსად.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი გვასათუთებს, გვალამაზებს და სათნოებს გვხდის.

ვუმღეროთ ოქროს, რამეთუ იგი მეგობრობის სასინჯი ქვაა!

ვუმღეროთ ოქროს ცეცხლში ნაწრთობს, ვითარცა კაცი ტანჯვა-გვემაში, ქლიბისგან ნაკბენს, ვითარცა კაცი შურისაგან, ჩაქუჩით ნაცემს, ვითარცა კაცი უიღბლობით, აბრეშუმებში ჩაფლულს, ვითარცა კაცი სასახლეში დავანებული.

ვუმღეროთ ოქროს იერონიმისგან ბილწად შერაცხულს, ანტონისაგან შორს მოსროლილს, მაკარისაგან ავადხსენებულს, ილარიონისგან შეჩვენებულს, პავლე განდეგილისგან დაწყევლილს, პავლესაგან, გამოქვაბულში რომ დაიდო ბინა სასახლის ნაცვლად, მეგობრებად რომ აირჩია ღამის მნათობნი, ცისკრის ფრინველში და უდაბურ ტყეთა საშიში მხეცნი, დაგმობილ იქნა.

ვუმღეროთ ოქროს, კერპს, კლდეთა წიაღში იდუმალებით გაყუჩებულს, მერე მზის გულზე ციმბალების ქოროსავით აზავთებულს, მნათობთა ნაშობს, სხივის ნაჟურს, თავად ეთერს განივთებულს და ხელშესახებს.

ვუმღეროთ ოქროს, მზედ მოვლენილს, ღამის ტრფიალს, უკანასკნელი კოცნის მერე ვარსკვლავებით რომ მოირწყვება, ზვინებს ფუნტი სტერლინგებისას!

ეჰჰ, თქვენ, საწყალობელო ლოთებო, ჭეშმარიტად შესაბრალისო მეძავებო, მათხოვრებო, ქურდებო და ქურდბაცაცებო, ღვთისგლახებო და თქვენც დევნილებო, უსაქმურებო და უწინ, ყველაზე უწინ, ოჰ, თქვენ, პოეტებო!..

შევუდგეთ ბედის ნებიერთ, ამა ქვეყნის ძლიერთ მივსდიოთ, ბანკირებსა და ამქვეყნიურ, მიწიერ, ნახევრად ღმერთებს!..

ვუმღეროთ ოქროს!

და ექომ უმალ აიტაცა ის ჰიმნი, ჰიმნი კვნესანარევი, ხოტბა ესე ქირქილნარევი და იდგა რა ღამე უკუნი და საშინლად ცივი, ექომ წაიღო შორს, წყვდიადში... და ამ დროს მოხუცმა ქალმა ჩაიარა იქვე, მის გვერდით და მოწყალება ითხოვა მდაბლად... და მან თავად არარას მქონემ, თავად ღვთისგლახამ, თუ მაწანწალამ, ვინ იცის, ეგებ ყარიბიც იყო, ანდა პოეტი, თავისი ლუკმა, უკანასკნელი პურის გამხმარი ლუკმა გაუზიარა იმ საცოდავს და გზას გაუყვა უკუნ ღამეში კბილთა ღრჭენით.

თარგმნა მერი ტიტვინიძემ

თეონა დოლენჯაშვილი

როგორ დავკარგე სოფელი

სოფელი მახსოვს ბუნდოვნად. მახსოვს დიდი მწვანე ეზო, უზარმაზარი, ორასწლოვანი წიფლის ხე, ორსართულიანი სახლი, სხვენი ამ სახლში, სხვენშითხილის, შემჭკნარი ვაშლის, კომშის გორები და სადღაც გადამალული ჩურჩხელის სუნი. ტყე სახლის უკან. წყარო სახლიდან კარგა მოშორებით და ამ სიშორის გამო იყო, რომ წყაროდან წლის ამოტანა ბავშვებს ყოველთვის გვეზარებოდა. კიდევ იყო უამრავი რამ. და ეს უამრავი რამ იყო სივრცეები, სულ გაშლილი და ვრცელი ველები, ტყეები, მინდვრები გვიმრით, დიდი, მიწიდან ამოჩრილი და უცნაური შავთეთრი ქვებით, მაყვლის ბუჩქებით, ლეღვის, თუთის, ტყემლის, ბლის, ეკლის, მუხის ხეებით (ეს ის ხეებია, რომელთაც ვცნობდი), სახლის ქვემოთ ჩადიოდა ყვითელი ქვით მოხრეშილი ვიწრო გზა, სადაც ათასში ერთხელ გაივლიდა ავტომობილი და ამ გზაზე არა თუ ავტომობილის, არამედ ადამიანის ჩავლაც იმდენად იშვიათად ხდებოდა, რომ ბებიაჩემი მარგალიტას ცხოველ ინტერესს იწვევდა. ისიც იდგა ჭიშკართან თავსაფარწაკრული, თვალზე ხელმოჩრდილული, დაჟინებით აკვირდებოდა და დროდადრო დაუფარავი ცნობისწადილით საკუთარ თავს ჩაეკითხებოდა ხოლმე: "ვინაა ნეტაი?"

სოფელი იყო იმერეთში. ერქვა ნაგარევი. ჩვენი სახლის ზემოთ იყო სალია, გვერდით ბეჟანისოული, ნაქერალი (ეს სრულიად დაუსახლებელი უბნები იყო) ქვემოთ წერეთლისოული, სულ სამიოდე სახლით და ეს იყო მთელი სამეზობლო. სამი, თუ ოთხი კომლისგან შემდგარი და ერთმანეთისგან კარგად დაშორებით მცხოვრები სამეზობლო.

დედაჩემი მიჩვენებდა სად დადიოდა სკოლაში. გაიწვდენდა თითს და შორს, შორს, მზის შუქზე ჩანდა ციხის ნანგრევები და თურმე სადღაც იქ, ანუ სახლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით იყო სკოლაც. თურმე ამ სკოლაში ყოველდღე დადიოდნენ ფეხით ის და მისი ექვსი დაძმა, და მე ეს ისეთივე წარმოუდგენელი ამბავი და მითი მეგონა, როგორც ბებიაჩემის ძილის წინ მოყოლილი ამბები. ბებიაჩემის ამბები კი ალბათ ძალიან წააგავდა იმ ისტორიებს, რომლებსაც გაბრიელ გარსია მარკესს უყვებოდა მისი მხცოვანი წინაპარი. მხოლოდ ჩემი ბებია ღამით მუდმივად თავსაფარში შემალულ უგრძეს თმას გაიშლიდა, გარჯით დაღლილი გლეხის ქალიდან ლამაზ, ცისფერთვალა მეზღაპრედ იქცეოდა და ამბებს ყვებოდა ძალიან დამაჯერებლად, ხატოვნად, იმერულ კილოზე. და ისინი იყო ძალიან უცნაური, საშიში და რელიგიური. ამბები იყო ეშმაკებზე, ანგელოზებზე, შავი ჭირის დროს გარდაცვლილ ბავშვებზე, ცეცხლზე დამწვარ წმინდანებზე, "ეფუთზე" – ასე ერქვა წიგნს სამყაროს დასასრულის შესახებ. საერთოდ, ბებია ყოველ წამს ახსენებდა ამ ეფუთს. მე ძალიან მეშინოდა და თან ძალიან მინდოდა მენახა ეს წიგნი, სადაც ეწერა, როდის და როგორ მოხდებოდა მეორედ მოსვლა. მაგრამ წიგნი არც ბებიას ჰქონდა ნანახი, თურმე ვიღაცას წაეკითხა და მისთვისაც ეამბნა, რომ მეორედ მოსვლის წინ უთუოდ გაერთიანდებოდა ყველა ქვეყანა, იქნებოდა ერთი ფული და იმეფებდა ერთი ხელმწიფე..

კიდევ ბევრ ასეთ ამბავს მიყვებოდა ბებია და მერე ღამე საბნის ქვეშ შემძვრალს ძალიან მეშინოდა. არადა, ჩემს სოფელში გამაოგნებლად ლამაზი ღამეები იცოდა. ვარსკვლავიანი ცით, ციცინათელების გუნდით, კალიების კრუალით, ხეების შეწყობილი შრიალით. სიბნელეც კი გამჭვირვალე იყო იმ ღამეებში და თუ შემოვრჩებოდით უფროსები წიფლის ხის ქვეშ ქვის მაგიდაზე გაშლილ ვახშამთან და პატარები ამ ხეზე დაკიდებულ საქანელებზე, მაშინ ჩემი ბავშვური და ამავე დროს, აპოკალიფსური შიშები სრულებით ქარვდებოდა, იფანტებოდა, რადგან წარმოუდგენლად მეჩვენებოდა ასეთ სრულყოფილ სამყაროს ოდესმე დასასრული ჰქონოდა.

საერთოდ, ბებია იყო ძალიან მორწმუნე, კომუნისტების დრო იყო, კოლექტივიზმი და რაღაც ასეთები, მაგრამ ბებიაჩემს ეჯავრებოდა კომუნისტები, იცავდა ყველა მარხვას, ამოავლებდა თაფლში ჩვენს სიგრძე სანთლებს და ფეხშიშველი მიდიოდა რომელიღაც უშორეს და მიტოვებულ ეკლესიაში სადაც სიცარიელის და სიჩუმის მიუხედავად ყოველთვის ხვდებოდა მთავარი.

ბაბუა კი იყო მოქეიფე და მხიარული. ჰქონდა დიდი ვენახები, ჭურები, საწნახლები. უყვარდა სტუმრები და ყოველ საღამოს საიდანღაც მოჰყავდა მეარღნე. იშლებოდა სუფრა, მეარღნე სევერა უკრავდა ულამაზეს არღანზე. ზოგჯერ ბავშვებსაც გვატრიალებინებდა სახელურს, ჩვენთან თავს იყრიდნენ მეზობლები. მე განსაკუთრებით კარგად მახსოვს მოცკვავე რეზო, რომელსაც ყოველთვის ეცვა აზიაცკები და ცეკვავდა ძალიან უცნაურად, ალბათ თვითნასწავლი ილეთებით, თუმცა მოხდენილად, და დროდადრო, ამ ცეკვის დროს, ეშხში შესული ხმამაღლა შეჰყვირებდა: "აბა, ფიგურა რეზო, ფუგურაო!"

წიფელი, რომელიც ეზოში იდგა, იყო ჩვენი საგვარეულოს სიმბოლო. მე მსოფლიოში მასზე მაღალი ხე არ მეგულებოდა და ვერც ვერავინ დამაჯერებდა, თუ სადმე არსებობდა. ის, ვინც წიფელზე აძრომას ახერხებდა და მის სქელ ტოტებზე საკუთარ სახელს ამოჩხაპნიდა, ძალიან ამაყი და გაბღენძილი დადიოდა. ჩემი დეიდაშვილ-ბიძაშვილები უფროსები იყვნენ და თითქმის ყველას მოეხერხებინა წიფლის ქვედა დონის დაპყრობა. ჩემი და ჩემი ძმის სახელები კი იქ არ ეწერა და მე გული მწყდებოდა. ისე გამოდიოდა, თითქოს ჯერ კიდევ არ ვიყავი იქაურობის სრულფასოვანი წევრი და ბინადარი. ამიტომ უმეტესად ვიწექი წიფლის ქვეშ ფარდაგზე, ვკითხულობდი წიგნებს და იქ წაკითხული წიგნები დღემდე ყველაზე შთამბეჭდავია ოდესმე წაკითხულ წიგნებს შორის.

მოკლედ, წიფელი იყო ჩვენი მთავარი სიამაყე და ღირსშესანიშნაობა. ყველა დიდი და მნიშვნელოვანი სუფრა ამ წიფლის ქვეშ იშლებოდა. ყველა სტუმარი აქებდა და მერე ქალაქად ჩასული ნატრობდა მის ჩრდილს. ყველა ამბავი, მნიშვნელოვანი საუბარი, იქვე ჭურიდან ამოღებული ღვინის, თუ სამოვარზე ადუღებული ჩაის სმა მის ჩრდილში იმართებოდა... და ბოლოს, როდესაც ბაბუა და ბებია გარდაიცვალა და სახლი დაცარიელდა, წიფელმა ჯერ შეუმჩნევლად და მერე უკვე ძალიან სწრაფად დაიწყო ჭკნობა და კვდომა. ხოლო როდესაც შთამომავლობამ სოფელი, სახლი და ეზო-კარი საერთოდ მიივიწყა, გამხმარი წიფლის უზარმაზარ ფუღუროებში დაიბუდა ძალიან აგრესიულმა და ველურმა კრაზანებმა. როდესაც სახლში შემოვიდნენ ვიღაც უცხოები, გადაღმელები, ეს კრაზანები დაესივნენ და საშინლად დაკბინეს.

მოკლედ, ეს ხეც რაღაცა ძალიან უცნაური და ბებიაჩემის ერთ-ერთი ამბავივით მისტიური გამოდგა. და ამ ხის სიკვდილით ჩემთვის საბოლოოდ დაიკარგა სოფელი. სოფელი ბებია-ბაბუას სახეებით, გაშლილი მინდვრებით, სიზმრებით და მითებით, იელის ყვავილების და ჯანჯუხების სუნით, არღნის ტკბილი და ეჟვნების მელანქოლიური ხმით, ახლადმოწველილი რძის და ნეშოში გამომცხვარი მჭადის გემოთი, სოფელი, სადაც ვატარებდი ცხელ, ჭრელ და ზღაპრულ ზაფხულებს. მაშინ ვიყავი ალბათ სადღაც თორმეტი, თუ ცამეტი წლის და მას შემდეგ მე აღარასდროს არ მინახავს იქაურობა, გზა არის იქამდე ძალიან ცუდი, სახლია მიტოვებული, ცარიელი და დაკეტილი, წყარო დაშრა, წიფელი გახმა და მთავარი მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ ალბათ, ძალიან სენტიმენტალური ვარ და იქაურობა მინდა ზუსტად ისეთი მახსოვდეს, როგორიც მაშინ იყო, ჩემი დიდი წინაპრების სიცოცხლეში.

ერთი ის ვიცი, რომ იქ უკვე საერთოდ აღარავინ ცხოვრობს. წელს, აღდგომამდე, ვნების კვირაში გარდაიცვალა ჩვენი უკანასკნელი მეზობელი – ციალა. თავის დროზე ძალიან კოხტა და მარჯვე ქალი, რომელიც ყანის თოხნის, თუ ბოსტნის მარგვლის დროს, შესვენებებში ამოიღებდა სიგარეტის კოლოფს და გააბოლებდა მწარე ასტრას. იმერეთის მიყრუებული სოფლის ბოსტანში ჩამომჯდარი ასტრის მწეველი ციალა იყო ჩემთვის ყველაზე დიდი მეამბოხე და რევოლუციონერი. და ვინ იყო მასთან ჩე გევარა თუ ჯენის ჯოპლინი...

სოფელთან დაკავშირებული ბოლო ამბავი კი ასეთია. ციალას სიზმარი დასიზმრებია და ზუსტად უწინასწარმეტყველებია საკუთარი სიკვდილი. ამ და ამ დღეს და ამ საათზე მოვკვდები და სახლი დაალაგეთო, შვილებისთვის შეუთვლია. სიკვდილამდე ერთი საათით ადრე კი რიგრითობით ჩამოუთვლია მეზობელ უბნებში კანტი-კუნტად შემორჩენილი მოხუცების სახელ-გვარები. იმათი, რომლებიც ციალას კვალს ალბათ ასე, რიგრიგობით გაუყვებიან და სოფლების ადგილზე დარჩება მხოლოდ ნასახლარები. ულამაზესი, მაგრამ უკაცური, მიტოვებული, გაუდაბურებული ადგილები...

ძალიან სევდიანი გამოვიდა ჩემი წერილი, მაგრამ სამაგიეროდ, ჩემი მოგონებები არის ძალიან ფერადი, ნათელი, სავსე. ისე როგორც მოგონებები ბავშვობაზე, დაკარგულ სამოთხეზე, სუფთა, ხელუხლებელ, შეურყვნელ და სრულყოფილ სამყაროზე.

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com